რასიზმი, კაპიტალიზმი, პატრიარქატი

თარგმანების კრებული

EMC

თარგმანების კრებული - რასიზმი, კაპიტალიზმი, პატრიარქატი

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი

EMC

თბილისი, 2020

მთარგმნელი: მარიამ შალვაშვილი, ქამრან მამედლი
ხელმძღვანელი: თამთა მიქელაძე
გარეკანი: სალომე ლაცაბიძე

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ორგანიზაციის წერილობითი ნებართვის გარეშე.

© ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)
მისამართი: ი. აბაშიძის 12ბ, თბილისი, საქართველო
ტელ: +995 032 2 23 37 06

www.emc.org.ge
info@emc.org.ge
https://www.facebook.com/EMCRIGHTS/

სარჩევი

შესავალი 4

სამი ბოროტება - მარტინ ლუთერ კინგი 5

მონობის მემკვიდრეობა: ახალი ქალობის სტანდარტები - ანჯელა დევისი 9

დებატები კემბრიჯის უნივერსიტეტში - ჯეიმს ბოლდუინი 26

ბიულეტენი ან ტყვია - მალკოლმ იქსი 33

ასაკი, რასა, კლასი და სქესი: განსხვავებულობის გადაფასება ქალების მიერ - ოდრი ლორდი 46

ინტერვიუ მიშელ ალექსანდერთან 57

შესავალი

კრებულში თავმოყრილია აფრო-ამერიკელი აქტივისტების, მკვლევრების და მოაზროვნეების საჯარო გამოსვლების, ესეებისა და ინტერვიუების თარგმანები ქართულ ენაზე. ავტორები აჩვენებენ იმ ისტორიას და სტრუქტურულ მიზეზებს, რაც განაპირობებს რასიზმის არსებობას ამერიკაში და სახავენ სხვადასხვა გზებს, რითაც შესაძლებელია არსებული სისტემის კრიტიკა, მასთან დაპირისპირება თუ სხვადასხვა ჯგუფს შორის სოლიდარობის გზების ძიება. კრებულში ნაჩვენებია, რომ რასიზმი არ დაიყვანება უარყოფით განწყობებამდე და ინდივიდუალურ პასუხისმგებლობამდე, არამედ დაშენებულია ეკონომიკურ უთანასწორობაზე და შავკანიანთა ექსპლოატაციაზე. ის გამყარებული იყო უსამართლო კანონმდებლობით, ხოლო ამგვარი კანონების ძირითადი ნაწილის გაუქმების შემდეგ უსამართლო ადმინისტრაციული და საპოლიციო პრაქტიკით და დღესაც ამერიკული პოლიტ-ეკონომიკური სისტემის და წარმოსახვის განუყოფელი ნაწილია. კრებულში შესული ავტორები სათავეში თავად ედგნენ ან მონაწილეობდნენ რასიზმის წინააღმდეგ მიმართულ მოძრაობებში, საპროტესტო აქციებში, სასამართლო პროცესებში. ესეებში ჩანს, რომ რასიზმთან ბრძოლა მუდმივად იდგა აფრო-ამერიკელების განუწყვეტელ, მიზანმიმართულ, მრავალმხრივ პროტესტზე, რომელსაც ყოველთვის ხვდებოდა წინააღმდეგობა, მათ შორის, პოლიციის შერიფების ან სახელმწიფო მოხელეების სახით.

კრებული მოიცავს მარტინ ლუთერ კინგის, ანჯელა დევისის, ჯეიმს ბოლდუინის, მალკოლმ იქსის, ოდრი ლორდის და მიშელ ალექსანდერის ტექსტების თარგმანებს. ავტორები ააშკარავებენ, რომ „ამერიკული ოცნება“ და დოვლათი დიდწილად მიღწეულია წარსულში შავკანიანი მონების და ახლა უკვე შავკანიანი იაფი მუშა-ხელის ხარჯზე (ბოლდუინი, დევისი, მალკოლმ იქსი), აღწერენ იმ სიღარიბისა და უიმედობის ჩაკეტილ წრეს, რომელსაც ამჟამინდელი მკაცრი პოლიციური რეჟიმი იწვევს (ალექსანდერი), ცდილობენ შავკანიანი ქალებისთვის, ღარიბებისთვის და ლესბოსელებისთვის ხმის დაბრუნებას (ლორდი), შავკანიანი მონა-ქალების ჩაგვრის კომპლექსურობის აღწერას (დევისი) და აჩვენებენ რასიზმის წინააღმდეგ მიმართული მოძრაობის აუცილებლობას (კინგი, მალკოლმ იქსი).

სამი ბოროტება - მარტინ ლუთერ კინგი

მთარგმნელი: *მარიამ შალვაშვილი*

მარტინ ლუთერ კინგ ჯუნიორი (1929-1968) *იყო ბაპტისტი მღვდელი და ამერიკული სამოქალაქო მოძრაობის ლიდერი 1955 წლიდან 1968 წლამდე. 1968 წელს იგი მოკლეს. 1964 წელს მარტინ ლუთერ კინგს ნობელის პრემია მიენიჭა მშვიდობის დარგში რასობრივი თანასწორობისთვის არაძალადობრივი სამოქალაქო დაუმორჩილებლობის გამო.*

სამი მთავარი ბოროტება - რასიზმი, სიღარიბე და ომი. ეს არის ის სამი საკითხი, რის შესახებაც დღეს ვისაუბრებ. მოდით, დავიწყოთ სამიდან ერთ-ერთი ბოროტებით - რასიზმით. მგონი, არავინ უარყოფს იმ ფაქტს, რომ რასიზმი ჯერ კიდევ ცოცხლობს მთელი ამერიკის მასშტაბით. რასობრივი უსამართლობები ზანგების[1] სატარებელი ტვირთი და ამერიკის სირცხვილია. ჩვენ გვიწევს, თვალი გავუსწოროთ იმ რეალობას, რომ ბევრ ამერიკელს სურს, ჰქონდეს დემოკრატიული სახელმწიფო თეთრკანიანი ამერიკელებისთვის, მაგრამ ამავდროულად უნდა დიქტატურის დამყარება შავკანიან ამერიკელებზე. ჩვენ გვიწევს, თვალი გავუსწოროთ იმ რეალობას, რომ რასობრივი ურთიერთობების სფეროში კიდევ ბევრი საქმეა გასაკეთებელი.

რა თქმა უნდა, პროგრესი სახეზეა. არ შეიძლება ეს არ აღინიშნოს. ჩვენ ძალიან დიდ პროგრესს ვხედავთ ამერიკის სამხრეთ ნაწილში. ალბათ ერთ-ერთი ყველაზე დიდი პროგრესი სამართლებრივ დონეზე სეგრეგაციის მოშლაა - სამხრეთში არსებულმა მოძრაობამ სეგრეგაციის მთლიანი სტრუქტურა შეარყია. მე მტკიცედ მჯერა, რომ სამართლებრივ დონეზე სეგრეგაცია საბოლოოდ დასრულებულია, ერთადერთი ისაა გაურკვეველი, კიდევ რამდენ ხანს გასტანს მისი დაკრძალვის პროცესია, რადგან ჯერ კიდევ დაძრწის ერთი-ორი სეგრეგაციის მომხრე. ხაზს ვუსვამ, რომ პროგრესს მივაღწიეთ, მაგრამ პროგრესის მიღწევის გამო ყალბ და საშიშ ოპტიმიზმს არ უნდა მივეცეთ. თავისუფლების ნერგს ჯერ მხოლოდ კვირტი გამოუღია და არა ყვავილი. ჩვენს შორის ძმობის გამყარებაში სუფთა ხელებით ჩვენი ქვეყნის ვერცერთი რეგიონი დაიკვეხნის. ქვეყნის ყველა დიდ ქალაქში რასიზმის პრობლემის წინაშე ვდგავართ.

არიან ისეთი ადამიანებიც, რომლებიც ამბობენ, რომ სამოქალაქო მოძრაობა მკვდარია. მაგრამ მინდა დაგარწმუნოთ, რომ ის ისეთივე ცოცხალია დღეს, როგორც არასდროს. რასაც სკეპტიკოსები ვერ ხვდებიან ისაა, რომ ახლა ჩვენ გარდამავალ ეპოქაში ვიმყოფებით და ბრძოლის ახალ ეტაპზე გადავდივართ. 12 წლის მანძილზე ბრძოლა ეხებოდა სამართლებრივ დონეზე სეგრეგაციის დასრულებას. რაღაც თვალსაზრისით, ეს ღირსებისთვის ბრძოლა იყო. ეს იყო ბრძოლა იმისთვის, რომ სამართლებრივი სეგრეგაციის გამო არსებული დამცირებისგან და ძარცვისგან თავი დაგვეღწია. მგონი

[1] მარტინ ლუთერ კინგი და სამოქალაქო მოძრაობის სხვა წევრები ამ სიტყვის ინგლისურ ექვივალენტს აქტიურად იყენებდნენ საჯარო გამოსვლებსა და წერილებში. იმის მიუხედავად, რომ ამ სიტყვას უარყოფითი კონოტაცია აქვს, თარგმანში, ავთენტურობის მიზნით, ეს სიტყვა თარგმნილია შეუცვლელად.

ყველას გვახსოვს ეს დიდებული დღეები: არ შეიძლება „მონტგომერის დღეების“ დავიწყება, როცა თხუთმეტი ათასმა ზანგმა გადაწყვიტა, რომ უფრო ღირსეული იქნებოდა იქნებოდა ქუჩებში გამოსვლა, ვიდრე სეგრეგაციის უპირობოდ მიღება. არასდროს დავივიწყებთ 1960 წლის ჯდომით პროტესტს, როდესაც ათასობით სტუდენტმა გადაწყვიტა სასადილო დახლებთან „მჯდომარე პროტესტით“ სეგრეგაციისა და დამცირების გაპროტესტება. სინამდვილეში, დახლებთან ჯდომით, ისინი ზურგს უმაგრებდნენ ამერიკული ოცნების უმთავრეს პრინციპებს და სურდათ სახელმწიფოს მიბრუნება დემოკრატიის იმ დიდებულ ჭაბურღილებთან, რომლებიც გათხრილი იყო დამაარსებელი მამების მიერ კონსტიტუციისა და დამოუკიდებლობის დეკლარაციის შემუშავებით. არაფრის დიდებით არ დავივიწყებთ ათას ცხრაას სამოცდაერთი წლის პროტესტს „მგზავრობა თავისუფლებისთვის“[2] და სამოცდასამი წლის „ბირმინგემის მოძრაობას.“[3] სწორედ ამ მოძრაობამ წარადგინა მორალური სამსჯავროს წინაშე ამერიკის მოსახლეობის ცნობიერება, რათა მათ გაეაზრებინათ სამოქალაქო მოძრაობის მორალურობის მნიშვნელობა. არც „სელმას მარშს“ დავივიწყებთ, როდესაც ათასობით ადამიანი ქალაქ სელმადან ქალაქ მონტგომერამდე მიმავალ მსვლელობაში მონაწილეობდა, ამით ისინი ცდილობდნენ ყურადღება მიეპყროთ იმ პრობლემისკენ, რომ ზანგებს ხმის მიცემა არ შეეძლოთ. ეს ნამდვილად საკვირველი დრო იყო, მაგრამ ეგ დღეები უკან მოვიტოვეთ და ბრძოლის ახალ ეტაპზე გადავდივართ.

რადგანაც ბრძოლის ახალ ეტაპზე გადავდივართ, ზოგიერთს ჰგონია, რომ სამოქალაქო მოძრაობა მკვდარია. სინამდვილეში, ახალი ეტაპი ჭეშმარიტი თანასწორობის ბრძოლაა. ახლა მხოლოდ ღირსებისთვის კი არ ვიბრძვით, მხოლოდ ბულ კონორისა[4] და ჯიმ კლარკის[5] სისასტიკეს კი არ ვუპირისპირდებით, არამედ ყველა საფეხურზეე ჭეშმარიტი თანასწორობის მიღწევისთვა გვინდა, ამიტომ ეს ბევრად უფრო რთული ბრძოლა იქნება. ძალაუფლების სისტემას პირველი სტადიის თუ ეპოქის მიღწევები იაფად გამოვძლიეთ - სახელმწიფოს გროშიც კი არ დაჯდომია სასადილო დახლების ინტეგრაციის პროცესი. სახელმწიფოს ფინანსურად არაფერი დაჯდომია დიდი თუ მცირე სასტუმროების ინტეგრაცია. სახელმწიფოს ერთი ცენტიც კი არ დაჯდომია ჩვენთვის ხმის მიცემის გარანტიის მოცემა. ახლა კი იმ ეპოქაში ვიმყოფებით, როცა სახელმწიფოს მილიარდობით დოლარი დაუჯდება სიღარიბისგან თავის დაღწევა, ბარაკებისგან გათავისუფლება, ხარისხიანი ინტეგრირებული საგანმანათლებლო სისტემის რეალობაში განხორციელება. ამჟამად ისტორიის სწორედ ამ წერტილში

---

[2] „მგზავრობა თავისუფლებისთვის“ იყო საპროტესტო მოძრაობა სეგრეგირებულ შტატებში. პროტესტის შავკანიანი მონაწილეები სპეციალურად მგზავრობდნენ ავტობუსებით სამხრეთის სეგრეგირებულ შტატებში, რათა ეჩვენებინათ, რომ ეს შტატები არ ემორჩილებოდა ამერიკული უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვითაც სეგრეგირებული ავტობუსები არაკონსტიტუციური იყო.

[3] ბირმინგემი 1960-იან წლებში ერთ-ერთი ყველაზე სეგრეგირებული ქალაქი იყო როგორც კანონმდებლობით, ისე კულტურულად. 1963 წელს სამოქალაქო მოძრაობამ ბოიკოტი გამოაცხადა ბიზნესის მფლობელებისთვის წნეხის შესაქმნელად, რომლებიც შავკანიანებს არ ასაქმებდნენ. პროტესტი გადაიზარდა როგორც კერძო, ასევე საჯარო ადგილების: მაღაზიების, სკოლების, რესტორნების, საჯარო დაწესებულებების დესეგრეგირების მასობრივ მოძრაობად.

[4] ბულ კონორი იყო ამერიკელი პოლიტიკოსი ალაბამაში, რომელიც ეწინააღმდეგებოდა სამოქალაქო მოძრაობას და მხარს უჭერდა რასობრივ სეგრეგაციას საკანონმდებლო დონეზე. ის ინსტიტუციური რასიზმის ერთ-ერთი ყველაზე ნათელი მაგალითია.

[5] შერიფი ჯიმ კლარკი 1955-1966 წლებში ძალადობრივად აკავებდა სამოქალაქო მოძრაობის მშვიდობიან აქტივისტებს და ის ღიად უპირისპირდებოდა რასობრივი ინტეგრაციის პროცესს.

ვიმყოფებით. ჩვენ ბევრ მეგობარს დავკარგავთ ამ ბრძოლისას. ის მოკავშირეები, რომლებიც ქალაქ სელმაში მხარს გვიჭერდნენ, ამ ეტაპზე ჩვენს გვერდით უკვე აღარ იქნებიან. აუცილებელია გავიაზროთ, თუ რა პროცესები მიმდინარეობს ჩვენს გარშემო. ახლა თავიანთ წინააღმდეგობას ისინი თეთრკანიანთა უკურეაქციას დაარქმევენ... არადა ეს ხომ უბრალოდ ახალი სახელია ძველი ფენომენის აღსაწერად. სინამდვილეში კი ცხადია, რომ თეთრკანიანი ამერიკელების მხრიდან არასდროს უარსებია მყარ, შეუპოვარ თავდადებას ზანგებისთვის ჭეშმარიტი თანასწორობის მოსაპოვებლად. სინამდვილეში, მათი მხრიდან მუდმივად არსებობდა გაორება, ამბივალენტურობა...

1863 წელს მონობიდან გათავისუფლების პროკლამაციით ზანგს მონობიდან ფიზიკური თავისუფლება მიენიჭა, მაგრამ არასდროს მიუციათ მისთვის მიწა, რომ თავისუფლების შინაარსი არსებითი ყოფილიყო. სწორედ ამ დროს ჩვენმა სახელმწიფომ მილიონობით აკრი მიწა გასცა ცენტრალურ და დასავლეთ ამერიკაში. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი სახელმწიფო თანახმა იყო, ევროპიდან წამოსული თეთრკანიანი გლეხებისთვის მინიმალური ეკონომიკური დონე შეექმნა, იმავდროულად კი უარს ამბობდა იმავე პირობების დაკმაყოფილებაზე აფრიკიდან ჩამოსული გლეხებისთვის, რომლებიც 240 წლის მანძილზე მონობაში იმყოფებოდნენ. ამიტომაც ამბობდა ფრედერიკ დაგლასი,[6] რომ ზანგებისთვის ემანსიპაცია ნიშნავდა უფლებას, ეშიმშილა. ეს ნიშნავდა თავისუფლებას, გადაეტანა წარღვნა და ქარიშხალი, ეს ნიშნავდა უფლებას, არ ჰქონოდა თავზე ჭერი. ეს ნიშნავდა თავისუფლებას ლუკმა-პურის გარეშე, თავისუფლებას მიწის დამუშავების გარეშე. ერთდროულად ეს იყო თავისუფლებაც და შიმშილიც და ნამდვილად სასწაულია, რომ ზანგი გადარჩა.

1875 წელს სახელმწიფომ გამოსცა სამოქალაქო უფლებების აქტი და უარი თქვა მის მოქმედებაში მოყვანაზე. 1964 წელს სახელმწიფომ გამოსცა კიდევ უფრო სუსტი სამოქალაქო უფლებების აქტი და დღემდე არ მოუყვანია სისრულეში მისი ყველა ასპექტი. 1954 წელს უზენაესმა სასამართლომ გამოაცხადა გადაწყვეტილება საჯარო სკოლებში სეგრეგაციის აღმოფხვრის შესახებ და მაინც დღემდე სამხრეთში ზანგი ბავშვების 5%-ზე ნაკლები სწავლობს ინტეგრირებულ სკოლებში. წელს ერთი მისხალი პროგრესიც კი არ გვქონია. პროგრესი ამ ტემპით თუ გაგრძელდა, ამერიკის სამხრეთსა და მთელს სახელმწიფოში კიდევ 97 წელი დაგვჭირდება სკოლების ინტეგრაციისთვის...

მოდით, გავერთიანდეთ იმისთვის, რომ სახელმწიფოს მიმართ მუდმივი წნეხი შევინარჩუნოთ. ჩვენ აქამდე მუდმივი, დაჟინებული, სამართლებრივი და არაძალადობრივი წნეხის გარეშე სამოქალაქო უფლებების სფეროში არანაირი სარგებლისთვის არ მიგვიღწევია. არ დაუჯეროთ მათ, ვინც გეუბნებათ, რომ პრობლემა თავისთავად მოგვარდება...

მეორე ბოროტება, რომელზე საუბარიც მინდა არის სიღარიბე. მას რვაფეხა მონსტრივით გაუშლია თავისი საცეცები და დაპატრონებია ჩვენი ქვეყნის ქალაქებს, დაბებსა და სოფლებს. დაახლოებით 40 მილიონი ჩვენი და-ძმა სიღარიბეში ცხოვრობს

[6] ფრედერიკ დაგლასი (1818-1895) იყო მონობას გამოქცეული შავკანიანი ინტელექტუალი, ორატორი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე, რომელიც იბრძოდა შავკანიანების მონობისგან გათავისუფლების მოძრაობისთვის. მონობის გაუქმების შემდეგ კი აქტიურად მუშაობდა შავკანიანებისა და ქალების თანასწორობის მოპოვებისთვის.

და იმის ძალაც არ შესწევს, რომ სიცოცხლისთვის საჭირო ელემენტარული საჭიროებები მოიპოვოს. ჩვენ დავუშვით, რომ ისინი უჩინრები გამხდარიყვნენ, რადგან ჩვენი საზოგადოება იმდენად დოვლათიანია, ღარიბების დანახვა გვიჭირს. მათგან ზოგიერთი მექსიკელი ამერიკელია. ზოგიერთი ინდიელი, ზოგი - პუერტო რიკოდან, ზოგი - თეთრკანიანია აპალაჩებიდან. დანარჩენ მოსახლეობასთან შედარებით კი უმეტესობა ზანგია... სიღარიბე ჩვენთვის სიახლე არ არის. ის საზოგადოების განუყოფელი ნაწილი იყო წლების და საუკუნეების მანძილზე. მაგრამ ჩვენ ახლა უკვე გვაქვს რესურსები, ჩვენ ამჟამად გვაქვს უნარები, ჩვენ ამჟამად გვაქვს მექანიზმები სიღარიბისგან თავის დასაღწევად. ახლა ის უნდა ვიკითხოთ, აქვს თუ არა ჩვენს სახელმწიფოს ამისი ნება."

მესამე ბოროტება, რაზე საუბარიც მსურს, მწვავე დილემის წინაშე აყენებს ჩვენს სახელმწიფოს და მთელს მსოფლიოს - ეს ბოროტება ომია. სამივე ბოროტება ერთმანეთშია გადაჭდობილი: ერთი სხეულის მქონე სამთავიანი ბოროტებაა რასიზმი, ეკონომიკური ექსპლოატაცია და მილიტარიზმი. დღეს უდიდესი გამოწვევა კაცობრიობის წინაშე ომების სამუდამოდ შეწყვეტაა... ჩვენ ჩვენი სახელმწიფო ამ სამყაროში სხვებისგან მორალურად და პოლიტიკურად გამოვყავით. ჩვენ ამერიკაში გავაძლიერეთ წინააღმდეგობა და გავაღრმავეთ ძალადობა და სიძულვილი ჩვენივე ხალხის მიმართ. ჩვენ სამოქალაქო უფლებების გზას გადავუხვიეთ. ომის დროს, როდესაც სახელმწიფო ომებისთვის იარაღის წარმოებითაა შეპყრობილი, სოციალური პროგრამები გარდაუვალად ზარალდება და ადამიანები მათ თვალწინ არსებული ტკივილისა და აგონიის მიმართ უგრძნობები ხდებიან...

ვიცი, რომ არიან ადამიანები, რომლებიც ომთან დაკავშირებით გაურკვევლობაში არიან და მეც მეუბნებიან და ომის სხვა მოწინააღმდეეგებსაც: „ომზე შენ ხმას საერთოდ არ უნდა იღებდე. შენ ხომ სამოქალაქო მოძრაობის ხელმძღვანელი ხარ. ეს ორი რამ ერთმანეთთან კავშირში სრულიად არ არის." მაგრამ ეს ორი მოვლენა ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული და მე ვაპირებ, ამ ორ საკითხს ერთმანეთთან კავშირში ვუყურო. ჩემო მეგობრებო, ძალიან კარგია რომ ინტეგრირებული სასადილოებისთვის თუ ინტეგრირებული სკოლებისთვის ვიბრძვით. ამ ბრძოლას აუცილებლად გავაგრძელებთ, მაგრამ დაფიქრდით, უგუნურება არ არის, ინტეგრირებულ სკოლებზე ვილაპარაკოთ და არ გვაღელვებდეს იმ სამყაროს ფიზიკური გადარჩენა, სადაც ინტეგრაცია უნდა განხორციელდეს?..

მათ გასაგონად, ვინც გაჩუმებას მთხოვს, მე ვერ გავჩუმდები. მე სასადილოების სეგრეგაციის მოწინააღმდეგე ვარ და არც ჩემი მორალური ინტერესების სეგრეგაციას ვაპირებ. უნდა ვიცოდეთ, რომ ხანდახან სიმხდალე დაგვისვამს კითხვას, „უსაფრთხო გზით მივდივართ?" უპრინციპობა დაგვისვამს კითხვას, „კეთილგონიერი გზით მივდივართ?" პატივმოყვარეობა დაგვისვამს კითხვას, „პოპულარული გზით მივდივართ?" მაგრამ ნამუსი გვკითხავს, „სწორი გზით მივდივართ?" და მოვა დრო, როდესაც არ უნდა იდგე არც უსაფრთხოების, არც კეთილგონიერების და არც პოპულარულობის მხარეს, არამედ უნდა გააკეთო ის, რაც სწორია.

მონობის მემკვიდრეობა: ახალი ქალობის სტანდარტები - ანჯელა დევისი

მთარგმნელი: *მარიამ შალვაშვილი*

ანჯელა ი. დევისი (1944) *არის ამერიკელი პროფესორი, მკვლევარი, ფილოსოფოსი და აქტივისტი. ის სხვადასხვა დროს ასოცირებული იყო „შავი პანტერების პარტიასთან," მეორე ტალღის ფემინიზმთან და 1969 წლიდან 1991 წლამდე იყო „ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის" წევრი. ის დღემდე პოლიტიკურად აქტიურია და აქტიურად ილაშქრებს სხვადასხვა საკითხების, მათ შორის, ამერიკის მიერ ომების წამოწყების, სიკვდილით დასჯის და ზოგადად, პოლიტიკური ძალადობის წინააღმდეგ და მხარს იმაღლებს ქალების, მშრომელების და შავკანიანების მხარდასაჭერად.*

წინამდებარე თარგმანი წარმოადგენს ანჯელა დევისის წიგნის „ქალები, რასა და კლასი" (1983) პირველი თავის შემოკლებულ ვერსიას.

როდესაც გავლენიანმა მკვლევარმა, ულრიხ ბ. ფილიპსმა 1918 წელს გამოაცხადა, რომ სამხრეთის შტატებში მონობამ აფრიკელ ველურებსა და მათ ამერიკაში დაბადებულ შთამომავლებზე ცივილიზაციის დიდებული კვალი დატოვა, მან სათავე დაუდო გრძელვადიან, მხურვალე დებატებს. ათწლეულების მანძილზე გრძელდებოდა გააფთრებული მსჯელობა, ერთმანეთის მიყოლებით ისტორიკოსები დარწმუნებით აცხადებდნენ, რომ მონობის, ამ „უჩვეულო ინსტიტუტის," ნამდვილი არსი გაშიფრეს, თუმცა, ამ მეცნიერულ დისკუსიაში შეუვალი რჩებოდა მონა ქალის საკითხი. გაუთავებელი მსჯელობა „სექსუალურ თავაშვებულობაზე" ან მის „მატრიარქალურ" მიდრეკილებებზე მონობის დროს შავკანიანი ქალის მდგომარეობას გასაგებს კი არა, უფრო მეტად ბუნდოვანს ხდიდა. [...]

აშკარა იყო, რომ ზღვა პუბლიკაციების ნაკადში არ არსებობდა წიგნი მონა-ქალებზე. ისინი, ვინც მოუთმენლად ველოდით სერიოზულ კვლევას მონობის დროს შავკანიანი ქალების მდგომარეობის შესახებ, ჯერჯერობით კვლავაც იმედგაცრუებულნი ველით. იმედგაცრუებას იმის აღმოჩენაც იწვევდა, რომ ახალ-ახალ წიგნებშიც ავტორები არასაკმარის ყურადღებას აქცევდნენ ქალებს და მათ როლს მხოლოდ ჩვეულ ჭრილში განიხილავდნენ, რაც მოიცავდა თავაშვებულობისა და ქორწინების შეპირისპირებას, თუ თეთრკანიან კაცებთან ნებაყოფლობითი და იძულებითი სექსუალური კავშირების შედარებას.

ბოლო კვლევებიდან ქალების საკითხს შუქი ყველაზე კარგად ჰერბერტ გუტმანის შავკანიანი ოჯახის შესახებ ანალიზმა მოფინა. მან დეტალურად აღწერა, რომ ოჯახის სიცოცხლისუნარიანობა უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე მონობის ადამიანობადაკარგული სისასტიკე, რამაც გუტმანს საშუალება მისცა, დაპირისპირებოდა დანიელ მოინიჰანის და მისი თანაავტორების 1965 წლის თეზისს

შავკანიანი მატრიარქატის არსებობის შესახებ. თუმცა, მისი დაკვირვებები მონა ქალების შესახებ, როგორც წესი, ხაზს უსვამდა ქალების მისწრაფებას, გამხდარიყვნენ ცოლები. ამიტომ მის ნაშრომებში ადვილი ამოსაკითხია ის აზრი, თითქოს მონა ქალებს თეთრკანიანი ქალებისგან მხოლოდ მონობის წყობილების მიერ შექმნილი ბარიერები განასხვავებდათ, რომლებიც მათ საშინაო ცხოვრების ასრულებაში უშლიდა ხელს. გუტმანის მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ მონობის წყობილებისთვის დამახასიათებელი ნორმები ქალებს ქორწინებამდელი თავისუფალი სექსუალური ცხოვრების ბევრად უფრო დიდ საშუალებას აძლევდა, დროთა განმავლობაში ქალები ქორწინდებოდნენ და მუდმივ ოჯახურ კავშირებს იმგვარად ქმნიდნენ, რომ ქალებისა და მათი ქმრების აზრი თანაბრად ყოფილიყო გათვალისწინებული. გუტმანის დამაჯერებელი, კარგად დოკუმენტირებული არგუმენტები მატრიარქატის დებულების წინააღმდეგ ძალიან ღირებულია, მაგრამ წარმოიდგინეთ, რამდენად უფრო ძლევამოსილი იქნებოდა მისი წიგნი, ავტორს რომ ოჯახში თუ, ზოგადად, მონების თემში შავკანიანი ქალის მრავალგანზომილებიან როლზე ესაუბრა.

როდესაც რომელიმე ისტორიკოსი შავკანიანი დამონებული ქალის გამოცდილებაზე ნაშრომს დაწერს, მისი ღვაწლი აღუწერელი იქნება. ეს კვლევა მხოლოდ ისტორიის ზედმიწევნით ცოდნისთვის არაა მნიშვნელოვანი, არამედ მონობის ეპოქიდან შესაძლებელია გაკვეთილის სწავლა, რაც გამოსადეგი იქნება შავკანიანი ქალების და დანარჩენი ყველა ქალის ემანსიპაციის ახლანდელი ბრძოლისთვის. როგორც არაპროფესიონალს, მე მხოლოდ ის შემიძლია, რომ რამდენიმე სავარაუდო იდეა შემოგთავაზოთ, რამაც, შესაძლოა, შავკანიანი ქალების მონობის ისტორიის გადასინჯვისკენ გაგვიკვლიოს გზა.

პროპორციულად, ყოველთვის უფრო მეტი შავკანიანი ქალი მუშაობდა საკუთარ სახლს გარეთ მათ თეთრკანიან დებთან შედარებით. სამუშაო შავკანიანი ქალების ცხოვრებაში ძალიან დიდ სივრცეს იკავებს, რაც სათავეს იღებს მონობის ყველაზე ადრეულ პერიოდში. მონად ყოფნის გამო, იძულებითი შრომა ქალების ცხოვრების ყველა სხვა ასპექტს აღემატებოდა. ამ მიზეზით, შავკანიანი მონა ქალების ცხოვრების განხილვა აუცილებლად უნდა დაიწყოს მათი, როგორც მუშის, როლის განხილვით.

მონობის სისტემა შავკანიანებს განსაზღვრავდა, როგორც მოძრავ ქონებას, რადგან ქალები, მსგავსად კაცებისა, დანახულები იყვნენ, როგორც შემოსავლის შემომტანი შრომითი ერთეული, მონათმფლობელებისთვის გენდერს მნიშვნელობა დიდად არ ჰქონია. ერთ-ერთი მკვლევარის სიტყვებით, „მონა-ქალი, პირველ რიგში, თავისი მფლობელისთვის იყო სრულგანაკვეთიანი მუშა და მხოლოდ მცირე თავისებურება შეიძლება ყოფილიყო მათი ცოლად, დედად თუ დიასახლისად ყოფნა.“ მეცხრამეტე საუკუნეში ფემინურობის შესახებ გავრცელებული იდეოლოგიის თვალით თუ განვსჯით, რომლის მიხედვითაც ქალების როლი განისაზღვრებოდა მომვლელი დედების, ქმრებისთვის მზრუნველი ცხოვრებისეული თანამგზავრებისა და დიასახლისების სახით, შავკანიანი ქალები, პრაქტიკულად, ანომალიას წარმოადგენდნენ.

მართალია, შავკანიან ქალებზეც ვრცელდებოდა ქალობის თანმდევი საეჭვო „სიკეთეები,“ მაგრამ რატომღაც მიჩნეულია, რომ მონა-ქალები ძირითადად საშინაო

საქმეში იყვნენ დასაქმებულები - იყვნენ მზარეულები, მოსამსახურეები ან ბავშვების დედილოები „დიდ სახლებში.“ ბიძია თომა და სამბო ყოველთვის პოულობდნენ ერთგულ თანამგზავრებს დეიდა ჯემაიმას და შავი დედილოს სახით - ეს ის სტერეოტიპებია, რომლებიც თითქოს კარგად წარმოაჩენდა შავკანიანი ქალების სახეს მონობის დროს. თუმცა, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, რეალობა მითის აბსოლუტურად საპირისპიროა. როგორც მონა-კაცების უდიდესი ნაწილის შემთხვევაში, მონა-ქალებიც, ძირითადად, წარმოადგენდნენ ყანის მუშებს. ჩრდილოეთ ამერიკის მოსაზღვრე შტატებში მონების უმრავლესობა შესაძლოა სახლის მოსამსახურეები ყოფილიყვნენ, თუმცა ღრმა სამხრეთში, ნამდვილი მონათმფლობელობის სამშობლოში, მონები ძირითადად წარმოადგენდნენ სასოფლო სამეურნეო მუშებს. მე-19 საუკუნის შუა წლებში რვა მონიდან შვიდი იყო ყანაში მომუშავე მუშა, განურჩევლად იმისა, ქალი იქნებოდა ეს თუ კაცი.

სათანადო ასაკში როგორც კი შედგამდნენ ფეხს, ბიჭებს მაშინვე ყანაში აგზავნიდნენ ხოლმე. მათ მსგავსად გოგონებისთვისაც განსაზღვრული იყო, რომ მათ უნდა ემუშავათ მიწაზე, მოეკრიფათ ბამბა, დაელეწათ ლერწამი, მოემკათ თამბაქო. 1930-იან წლებში ინტერვიუებში მოხუცი ქალი იხსენებდა თავის ბავშვობას ალაბამას ბამბის პლანტაციაში მუშაობის დროს:

ჩვენ გვქონდა მოუხეშავი ფიცრულები, რომლებიც ნაგები იყო ჭოკებისგან, ღრიჭოები ხან ტალახით და ხავსით იყო ამოვსებული, ხან სრულიად არაფრით. არ გაგვაჩნდა კარგი საწოლები, ჭოკებისგან შეკოწიწებულ კედელზე მიჭედებული იყო ფიცნაგარები, რასაც ზევიდან ძველი, დაძონძილი ქვეშაგები ჰქონდა წამოსხმული. რთული იყო ამაზე ძილი, მაგრამ ესეც კი შვებას გვრიდა ჩვენს გადაქანცულ ძვლებს ყანებში გრძელი და რთული სამუშაო დღეების ბოლოს. როცა პატარა გოგონა ვიყავი, ბავშვებს ვემსახურებოდი და ვცდილობდი სახლი ისე მომეწესრიგებინა, როგორც ამას ქალბატონი მასწავლიდა. მერე, როგორც კი ათი წლის გავხდი, ბატონმა გრძანა, ეს ზანგი გოგო ბამბის ყანაში გაუშვითო.

ჯენი პროკტორის მსგავსი გამოცდილება ხშირი იყო. გოგოებისა და ქალების უმრავლესობა, ისევე როგორც ბიჭებისა და კაცების უმეტესობა, როგორც წესი, გათენებიდან მზის ჩასვლამდე ყანებში მძიმე შრომას ეწეოდა. როდესაც საქმე ეხებოდა შრომას, სქესთა შორის განსხვავებაზე უფრო მნიშვნელოვანი იყო ძალა და პროდუქტიულობა, რომელიც მიიღწეოდა გამათრახების მუქარით. ამ მხრივ, ქალების ჩაგვრა იდენტური იყო კაცების ჩაგვრისა.

მაგრამ ქალები სხვა მხრივაც იტანჯებოდნენ, რადგან ისინი ხშირად იყვნენ სექსუალური ჩაგვრის ან სხვა სახის ბარბაროსული მოპყრობის მსხვერპლი, რაც მხოლოდ ქალებზე ვრცელდებოდა. მონათმფლობელების შეხედულებები მონა ქალების შესახებ პრაგმატულ საჭიროებებს ერგებოდა: **როდესაც მომგებიანი იყო მათი ექსპლოატაცია კაცების მსგავსად, მათ ეპყრობოდნენ როგორც გენდერის არმქონეს, მაგრამ როცა შესაძლებელი იყო მათი ექსპლოატაცია, დასჯა და ჩაგვრა როგორც ქალების, უცებ მხოლოდ ქალობა ხდებოდა მათი მთავარი დამახასიათებელი თვისება.**

როდესაც მონათა საერთაშორისო ვაჭრობის აკრძალვამ ახლადშექმნილი ბამბის ინდუსტრიას საფრთხე შეუქმნა, მონათმფლობელი კლასი იძულებული შეიქნა,

გამოეყენებინა ბუნებრივი რეპროდუქცია, როგორც მონათა პოპულაციის გამრავლებისა და სამუშაო ძალის შევსების ყველაზე სანდო მეთოდი. ამიტომ დიდი ფასი დაედო ქალის რეპროდუქციულ უნარს. სამოქალაქო ომამდე ათწლეულების მანძილზე ქალების გამრავლების უნარს უფრო და უფრო მეტი ღირებულება ენიჭებოდა: ნამდვილ საგანძურად იქცა ის, ვინც პოტენციურად ათი, თორმეტი, თოთხმეტი ბავშვის დედა შეიძლება გამხდარიყო. რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავდა, რომ შავკანიანი ქალებისთვის მათი დედობის სტატუსი უფრო დაფასებული იყო, ვიდრე მათი მუშის სტატუსი. დედობის განდიდების იდეოლოგიური ტენდენცია, რომელიც ასეთი პოპულარული იყო მეცხრამეტე საუკუნეში, მონებზე არ ვრცელდებოდა. სინამდვილეში, მონათმფლობელების თვალში მონა ქალები დედები სულაც არ იყვნენ, ისინი უბრალოდ წარმოადგენდნენ ინსტრუმენტებს, რომელთაც მუშათა ძალის გამრავლება შეეძლოთ. მათი ფუნქცია იყო „შეჯვარება“ ცხოველების მსგავსად, რომელთა მონეტარული ღირებულება იმისდა მიხედვით გამოითვლება, თუ რამდენ პირმშოს შობენ.

რადგან მონა ქალებს უყურებდნენ, როგორც „საჯიშეებს“ და არა „დედებს,“ დასაშვები იყო მათი კალთებიდან ახალშობილების მოშორება და გაყიდვა, როგორც ხბოების შემთხვევაში. აფრიკიდან მონების შემოყვანის აკრძალვიდან 1 წლის თავზე სამხრეთ კაროლინას სასამართლომ მიიღო განჩინება, რომლის მიხედვითაც მონა ქალებს თავიანთ შვილებზე კანონიერი უფლება არ ჰქონდათ. ამ განჩინების მიხედვით, დასაშვები იყო შვილების ჩამოშორება დედებისთვის და მათი გაყიდვა ნებისმიერ ასაკში, რადგან „ახალგაზრდა მონები... დგანან იმავე საფეხურზე, რომელზეც დგანან ცხოველები.“

მონა ქალებისთვის, ქალად ყოფნის გამო, იშვიათობას არ წარმოადგენდა ნებისმიერი სახის სექსუალური სახის ჩაგვრა. თუ მამაკაცების ძალადობრივი დასჯა იყო გაროზგვა და დასახიჩრება, ქალებს გაროზგვასთან და დასახიჩრებასთან ერთად აუპატიურებდნენ კიდეც. გაუპატიურება, სინამდვილეში, წარმოადგენდა შავკანიან ქალებზე, როგორც მუშებზე, მონათმფლობელების ეკონომიკური ძალაუფლებისა და ზედამხედველების კონტროლის შეუფარავ გამოხატულებას.

ქალებზე მიმართული ძალადობა ამარტივებდა მათი შრომის სასტიკ ეკონომიკურ ექსპლოატაციას. ექსპლოატაცია მოითხოვდა, მონათმფლობელებს გვერდით გაეწიათ თავიანთი ტრადიციული სექსისტური დამოკიდებულებები, გამონაკლისებს წარმოადგენდა შემთხვევები, როცა ეს შეხედულებები გამოყენებული იყო ქალების დამატებითი ჩაგვრისთვის. შავკანიანი ქალები საყოველთაო გაგებით „ქალებად“ თითქმის არ მიიჩნეოდნენ, თუმცა **მონობის სისტემამ ხელი შავკანიანი კაცების უპირატესობასაც შეუშალა. რადგან ქმრები და ცოლები, მამები და ქალიშვილები თანაბრად იყვნენ დაქვემდებარებულები მონათმფლობელის აბსოლუტურ ავტორიტეტს, ძალაუფლების ამ ჯაჭვში მონა მამაკაცების უპირატესობას შეიძლება არეულობა შეეტანა. ამას გარდა, რადგან შავკანიან მუშა ქალს სულაც არ ექცეოდნენ როგორც „სუსტ სქესს“ ან „დიასახლისს,“ შავკანიანი კაცები ვერ გახდებოდნენ „ოჯახის თავები,“ მითუმეტეს „ოჯახში სარჩოს შემტანები.“ როგორც მონათა კლასის წარმომადგენლებს, ქალებსა და ბავშვებს ხომ კაცების მსგავსად შეჰქონდათ ოჯახში სარჩო.**

ბამბის, თამბაქოს, სიმინდის, შაქრის ლერწმის პლანტაციებში ქალები მათი კაცების მხარდამხარ მუშაობდნენ. როგორც ერთი ყოფილი მონა ამბობდა:

დილის ოთხ საათს ზარი გვამცნობს და ყველას ნახევარი საათი აქვს მოსამზადებლად. კაცები და ქალები ერთად იწყებენ შრომას. აუცილებელია, ქალებმა ისევე მუყაითად იმუშაონ, როგორც კაცებმა და იგივე სამუშაო შეასრულონ, რასაც კაცები ასრულებენ.

მონათმფლობელთა უმეტესობა თითოეული მონის სავალდებულო საშუალო პროდუქტიულობის გამოსათვლელად საანგარიშო სისტემებს იგონებდა, რომლის მიხედვითაც ბავშვები წარმოადგენდნენ სრული სამუშაო ძალის მეოთხედს. ქალები, როგორც წესი, ითვლებოდნენ სრულ სამუშაო ძალად, იმ გამონაკლისების გარდა, სადაც ისინი ღიად მიიჩნეოდნენ „საჯიშეებად“ ან „მეძუძურებად,“ ამ შემთხვევებში მათი სამუშაო ძალა ოდნავ ნაკლები იყო სრულ სამუშაო ძალაზე. რა თქმა უნდა, მონათმფლობელები ცდილობდნენ „საჯიშე“ ქალებს იმდენი ბავშვი გაეჩინათ, რაც ბუნებრივად შესაძლებელი იყო. თუმცა ეს არ ნიშნავდა ორსული ან ახალნამშობიარები ქალების სამუშაოდან გათავისუფლებას. ზოგ დედას აიძულებდნენ, ბავშვები სამუშაო ადგილთან ახლოს, მიწაზე დაეტოვებინათ, თუმცა ზოგიერთი დედა კატეგორიულ უარს ამბობდა ახალშობილების უყურადღებოდ დატოვებაზე და ცდილობდა, ზურგზე მოკიდებულ ბავშვებთან ერთად ემუშავა ჩვეულებრივი დატვირთვით. ერთ-ერთი მონადყოფილი აღწერს ყოველდღიურობას იმ პლანტაციის მაგალითზე, სადაც თავად ცხოვრობდა:

ერთი ახალგაზრდა ქალი, თავის შვილს სხვების მსგავსად მიწაზე არაფრის დიდებით არ ტოვებდა, ტანზე შემოიხვევდა მტკიცე ტომარას, რომელიც წარმოადგენდა მის ტანზე შემოხვეულ ტილოს ნაჭერს და თოთო ბავშვის ზურგზე ამ გზით იმაგრებდა. მთელი დღე ასე დაჰყავდა ბავშვი და სხვების გვერდით ასრულებდა მიწის დათოხნის სამუშაოებს.

სხვა პლანტაციებში ხანდახან შესაძლებელი იყო ქალებს საკუთარი ჩვილები პატარა ბავშვებისთვის ან ძალიან ხნიერი მოხუცებისთვის დატოვება, რომლებსაც ასაკის გამო ყანებში მძიმე სამუშაოს შესრულება აღარ შეეძლოთ. მაგრამ რადგან ახალშობილებს ძუძუთი ხშირად ვერ კვებავდნენ, ქალები ხშირად განიცდიდნენ გამაგრებული მკერდის გამო ტკივილს. [...]

ორსული ქალები იძულებულები იყვნენ არა მხოლოდ სამეურნეო შრომაში ყოფილიყვნენ ჩართულნი, არამედ მათ ჩვეულებრივ გაროზგავდნენ ხოლმე, თუ ისინი დღიურ ნორმას ვერ შეასრულებდნენ ან თუ „თავხედურად“ უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ მოპყრობის წესების გამო.

ქალი, რომელიც ყანაში რაიმეს დააშავებდა და დიდი მუცელი ჰქონდა, ვალდებული იყო დაწოლილიყო თხრილში იმგვარად, რომ შიგნით მუცელი ჩაეტია და მას ჩვეულებრივ გაროზგავდნენ წკეპლით ან ნახვრეტებიანი ხელჯოხით, რომლის თითოეული დარტყმისგან ბებერები ჩნდებოდა. ჩემი ერთ-ერთი და ისე მწარედ დასაჯეს, რომ მშობიარობა დაეწყო და ბავშვი პლანტაციაში დაიბადა. იმავე ზედამხედველს, მისტერ ბრუკსს, ამ გზით მანამდე ერთი გოგოც მოეკლა, სახელად მერი, მაშინ, როცა გოგოს დედ-მამაც იმავე ყანაში მუშაობდნენ.

იმ პლანტაციებსა და ფერმებში, სადაც ორსულ ქალებს უფრო ლმობიერად ეპყრობოდნენ, მიზეზი იშვიათად იყო კაცთმოყვარეობა. უბრალოდ მონათმფლობელები მეტად აფასებდნენ მონა ბავშვის ცოცხლად დაბადებას ახალშობილი ხბოს ან კვიცის დაბადების მსგავსად. როდესაც ინდუსტრიალიზაციის მცირე მასშტაბებმა სამოქალაქო ომამდელ სამხრეთამდეც ჩააღწია, მონათა შრომა ენაცვლებოდა, ან ხანდახან კონკურენციაშიც შედიოდა დამოუკიდებელ სამუშაო ძალასთან.

მონათმფლობელური ინდუსტრიები თანაბრად იყენებდა კაცებს, ქალებსა და ბავშვებს და როდესაც ფერმერები და პლანტაციების მფლობელები მონებს ქირაობდნენ, ქალებსა და ბავშვებზე ისეთივე დიდი მოთხოვნა იყო, როგორც კაცებზე. ქალი და ბავშვი მონები შეადგენდნენ ქსოვილის, ბოჭკოსა და თამბაქოს ქარხნებში მომუშავეთა დიდ ნაწილს... მონა ქალები და ბავშვები ხანდახან „მძიმე“ მრეწველობაშიც იყვნენ ჩართულები, როგორებიცაა შაქრის რაფინირება და ბრინჯის დაფქვა... სხვა მძიმე მრეწველობები, როგორიცაა ტრანსპორტირება და ტყის გაკაფვა დიდწილად ასაქმებდა მონა ქალებსა და ბავშვებს.

ქალები სულაც არ მიიჩნეოდნენ ზედმეტად „ფემინურებად,“ რომ ისინი ქვანახშირის მაღაროებში, რკინის მომპოვებელ საწარმოებში მუშაობისთვის არ გაემეტებინათ, ან ორმოს სათხრელად და ტყის საჩეხად არ წაეყვანათ. როდესაც ჩრდილო კაროლინაში სანტეს არხი აშენდა, მონა-ქალები სამუშაო ძალის ნახევარს შეადგენდნენ. ქალები ლუიზიანაში კაშხლების შენებაშიც იყვნენ ჩართულები და სამხრეთში არსებული რელსები, რომელთა დიდ ნაწილსაც დღესაც ვიყენებთ, ნაწილობრივ ქალების შრომითაა დაგებული.

მონა ქალების გამოყენება როგორც მძიმე ტვირთის გამწევი პირუტყვებისა სამხრეთის მაღაროებში, ინგლისში თეთრკანიანი ქალების შრომის საშინელ უტილიზაციას მოგვაგონებს, რასაც კარლ მარქსი აღწედა ნაშრომში „კაპიტალი“:

ინგლისში ქალებს ხანდახან ისევ იყენებენ ცხენების მაგივრად ხომალდებზე ტვირთის გადასაზიდად, რადგან ცხენებისა და დანადგარების წარმოებისთვის საჭირო შრომა ზუსტად არის ცნობილი და ჭარბი პოპულაციის წარმომადგენელი ქალების შენახვა ბევრად უფრო ნაკლები ჯდება.

ბრიტანელი კოლეგების მსგავსად, არც სამხრეთელი მრეწველები მალავდნენ თავიანთ საწარმოებში ქალების დასაქმების მიზეზებს. **ქალი მონები ბევრად უფრო დიდი მოგების მომტანები იყვნენ, ვიდრე დამოუკიდებელი მუშები ან კაცი მონები. მათი „შენახვა და კაპიტალიზება უფრო ნაკლები ჯდება, ვიდრე ახალგაზრდა კაცებისა.“**

აიძულებდნენ რა მათი ბატონები, რომ სამუშაოს შესრულებისას ისეთივე „მამაკაცურები“ ყოფილიყვნენ, როგორც მათი კაცები, შავკანიან ქალებზე დიდი გავლენა მოახდინა მონობის გამოცდილებამ. ზოგი, რა თქმა უნდა, გატეხეს და გაანადგურეს, თუმცა უმეტესობა გადარჩა და, ამ პროცესში, შეიძინა ისეთი თვისებები, რომლებიც მეცხრამეტე საუკუნეში ფემინურობის იდეოლოგიის მიხედვით ტაბუდადებული იყო. იმ დროს ერთ-ერთი მოგზაური მისისიპიში შეესწრო, როგორ

ბრუნდებოდა სახლში ყანებიდან მონათა ბრიგადა და აღწერა, რომ ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდა:

ორმოცი ყველაზე უფრო მასიური და ძლიერი აღნაგობის ქალი, რაც კი ოდესმე მინახავს. ყველას მოლურჯო ფერის, სადა კაბის უნიფორმა ეცვა, ფეხშიშველები იყვნენ, მედიდურად მიდიოდნენ, ყველა მათგანს მხარზე თოხი ჰქონდა შემოდებული და დადიოდნენ თავისუფალი, ძლევამოსილი რწევით.

რთულია იფიქრო, რომ ეს ქალები სიამაყეს გრძნობდნენ შესრულებული სამუშაოს გამო, რადგან სამუშაოს შეუსრულებლობისთვის მათ გამათრახება ელოდათ, მაგრამ ალბათ მაინც ხვდებოდნენ თავიანთ წარმოუდგენელ ძალაუფლებას - მათ შეეძლოთ წარმოება და შექმნა. როგორც მარქსი წერდა, „შრომა არის ცოცხალი, მქმნელი ცეცხლი, ის ცვალებადობას და წარმავალობას გამოხატავს."

რა თქმა უნდა, შესაძლებელია, რომ ამ მოგზაურის დაკვირვებები რასიზმის პატერნალისტური გამოვლინებით იყო ნაკარნახევი, მაგრამ თუ ეს ასე არ არის, იქნებ ამ ქალებმა ისწავლეს, მათი მჩაგვრელი რეალობიდან როგორ გამოეწვრთნათ ის ძალა, რაც მათ მონობის მიერ ყოველდღიური დეჰუმანიზების წინააღმდეგობისთვის სჭირდებოდათ. იმის გაცნობიერებამ, რომ შესწევდათ გამუდმებული მძიმე შრომის უნარი, მათ მიანიჭა თავდაჯერება, ებრძოლათ საკუთარი თავისთვის, საკუთარი ოჯახებისთვის, საკუთარი ხალხისთვის.

როდესაც ამერიკის შეერთებულ შტატებში სამოქალაქო ომამდე არსებული ქარხნების ამუშავების ფრთხილი ნაბიჯები ჩაანაცვლა მრეწველობის უფრო აგრესიულმა პოლიტიკამ, ამან ბევრი თეთრკანიანი ქალი გაძარცვა პროდუქტიული შრომის შესრულებისგან. მათი საკერავი მანქანები გამოუსადეგარი გახდა ქსოვილის ქარხნების არსებობის გამო. მათი გაკეთებული სანთლები, იმ სხვა ხელსაწყოებთან ერთად, რაც მანამდე ოჯახის აუცილებელ საყოფაცხოვრებო ნივთებს წარმოადგენდნენ, სამუზეუმო ექსპონატებად იქცნენ. ფემინურობის იდეოლოგია, რომელიც ინდუსტრიალიზაციის გვერდითი მოვლენა იყო, გავრცელდა და პოპულარული გახდა ქალების ახალ-ახალი ჟურნალებითა და რომანტიკული რომანებით. თეთრკანიანი ქალები პროდუქტიული სამუშაოდან სრულიად მოწყვეტილი სფეროს ბინადრებად იქცნენ. **სახლსა და საზოგადო ეკონომიკას შორის ინდუსტრიული კაპიტალიზმის წყალობით გაჩენილმა უფსკრულმა კიდევ უფრო მეტად გაამყარა ქალების ქვემდგომობა მამაკაცებთან შედარებით, ვიდრე ოდესმე. „ქალი," გავრცელებული პროპაგანდის მიხედვით, „დედისა" და „დიასახლისის" სინონიმი გახდა და ორივეს, „დედასაც" და „დიასახლისსაც" დაქვემდებარებულის დაღი დაესვა, მაგრამ შავკანიან მონა ქალებს შორის არ არსებობდა ეს ლექსიკა. მონობის ეკონომიკური სისტემა უპირისპირდებოდა ამ ახალი იდეოლოგიის მიერ შემოღებულ იერარქიულ სქესობრივ როლებს. ამის გამო, ქალებსა და კაცებს შორის ურთიერთობა მონათა საზოგადოებაში არ ემორჩილებოდა დომინანტური იდეოლოგიის გავრცელებულ ნიმუშებს.**

ზედმეტად სერიოზულად აღვიქვით მონათმფლობელების წარმოდგენები, რომლებიც შავკანიან ოჯახებს მატრილოკალურ[7] სტრუქტურას მიაწერდნენ. პლანტაციებში დაბადების დოკუმენტებიდან მამების სახელები ამოღებული იყო და მხოლოდ ბავშვების დედების სახელები იწერებოდა. მთელს სამხრეთში, კანონმდებლობა მიჰყვებოდა პრინციპს - *partus sequitur ventrem* - ბავშვს აქვს დედის სტატუსი.[8] თუმცა ეს იყო მონათმფლობელების მითითება, რადგან ხშირად ისინი თავად იყვნენ ხოლმე მონა ბავშვების მამები. მაგრამ იყო კი ეს ის ნორმები, რის მიხედვითაც ერთმანეთთან საშინაო ურთიერთობებს მონები თავად აწესრიგებდნენ? მონობის დროს შავკანიანების ოჯახის შესახებ შექმნილი ისტორიული და სოციალური კვლევების დიდი ნაწილი უბრალოდ ასკვნიდა, რომ ბატონის უარს, ეღიარებინათ მამობა თავიანთ მონებზე, პირდაპირი გავლენა ჰქონდა მონების ცხოვრებაზე და მატრიარქალურ ოჯახურ წყობას განაპირობებდა.

1965 წლის სენსაციური კვლევა „ზანგების ოჯახი," რომელიც მასებისთვის ცნობილია, როგორც „მოინიჰანის ანგარიში," პირდაპირ უკავშირებდა შავკანიანთა საზოგადოების თანამედროვე სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემებს ოჯახის სავარაუდო მატრიარქალურ სტრუქტურას. „თავისი არსით," ამბობდა დანიელ მოინიჰანი,

ზანგების საზოგადოებას მოუწია მატრიარქალურ სტრუქტურაზე იძულებით გადაწყობა, რომელიც შეუთავსებელია ამერიკულ საზოგადოებასთან და ამიტომ სერიოზულად აფერხებს ზანგების პროგრესს, აკისრებს რა მძიმე ტვირთს ზანგ კაცს და შედეგად ბევრ ზანგ ქალსაც.

ამ ანგარიშის თეზისის მიხედვით, ჩაგვრის წყარო უფრო ღრმა იყო, ვიდრე რასობრივი დისკრიმინაცია, რომელიც იწვევდა უმუშევრობას, უხარისხო სახლებში ცხოვრების ტვირთს, შეუსაბამო განათლებას და დაბალი ხარისხის ჯანდაცვას. ჩაგვრის ძირს ის აღწერდა, როგორც „აბურდულ პათოლოგიას," რომელსაც ჰქმნიდა შავკანიან საზოგადოებაში მამაკაცის ავტორიტეტის არარსებობა! მოინიჰანის ანგარიშის სადავო დასკვნის რეკომენდაციაში ეწერა, რომ აუცილებელი იყო შავკანიანთა ოჯახებში და სრულიად საზოგადოებაში მნიშვნელოვანი როლი ჰქონოდა მამაკაცის ძალაუფლებას. (რაც, რა თქმა უნდა, ნიშნავდა მამაკაცების გაბატონებულ უპირატესობას!)

მოინიჰანის ერთ-ერთი „ლიბერალი" მხარდამჭერი, სოციოლოგი ლი რეინვოტერი შეეწინააღმდეგა ანგარიშში მოცემული პრობლემების გადასაჭრელ რეკომენდაციებს. ამის მაგივრად, მან წამოაყენა დასაქმების, უფრო მაღალი ხელფასების და სხვა ეკონომიკური რეფორმების აუცილებლობა. ის უფრო შორსაც წავიდა და თქვა, რომ საჭირო იყო სამოქალაქო უფლებებისთვის პროტესტი და დემონსტრაციები. მაგრამ, სხვა თეთრკანიანი სოციოლოგების და ზოგიერთი შავკანიანი სოციოლოგის მსგავსად, მან გაიმეორა ის თეზისი, რომელიც ამტკიცებდა, რომ მონობამ ეფექტურად დაანგრია შავკანიანთა ოჯახური სისტემა. შედეგად, შავკანიანები თურმე ისეთი ოჯახების ანაბარა დარჩნენ, რომლების „ცენტრიც იყო ქალი და ამიტომ დედაშვილური

[7] ტრადიცია, სადაც მამაკაცი გადადის ქალის სახლში საცხოვრებლად

[8] განურჩევლად იმისა, მონა ქალის გაჩენილი ბავშვის მამა მონა იყო თუ ბატონი, ბავშვს მაინც მონის სტატუსი ჰქონდა.

ურთიერთობა იყო ის ერთადერთი ძაფი, რომლითაც კაცი უკავშირდებოდა თავის ოჯახს.“

„დღეს,“ ამბობდა ის, „კაცებს ხშირად თავიანთი სახლები არ გააჩნიათ. ისინი დაიარებიან იმ ერთი ოჯახიდან მეორეში, სადაც რაიმე სახის ნათესაური ან სექსუალური ხასიათის კავშირი გააჩნიათ. ისინი საერთო საცხოვრებლებში, მრავალმდგმურიან სახლებში ცხოვრობენ, სხვადასხვა ინსტიტუციებში ატარებენ დიდ დროს. ისინი არ წარმოადგენენ ოჯახის წევრებს იქ, სადაც ნამდვილად „მათი სახლია“ და სადაც ცხოვრობენ მათი დედები და შეყვარებულები.“

თუმცა არც მოინიჰანს და არც რეინვოტერსს თავად არ მოუგონიათ თეორია მონობის უღელქვეშ შავკანიანთა ოჯახის შინაგან ნგრევაზე. პირველი ნაშრომები ამ თეზისის გასამყარებლად ეკუთვნოდა გამოჩენილ შავკანიან სოციოლოგს ე. ფრანკლინ ფრეზიერს 1930-იან წლებში. მის წიგნში „ზანგების ოჯახი,“ რომელიც 1939 წელს გამოქვეყნდა, ის დრამატულად აღწერდა მონობის სასტიკ გავლენას შავკანიანებზე, მაგრამ მან სათანადოდ ვერ შეაფასა შავკანიანთა წინააღმდეგობის ძალა, რისი საშუალებითაც ისინი თავიანთ ცხოვრებაში მონობის გავლენის შეღწევას უპირისპირდებოდნენ. მას ასევე არ ესმოდა, ამ პირობებში რამდენად გაიწვრთნა შავკანიანი ქალების დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი სული ან რამხელა ნდობა ჩამოუყალიბდათ საკუთარი თავების მიმართ. ის დანანებით აღნიშნავდა, რომ „არც ეკონომიკური საჭიროებას და არც ტრადიციას არ განუმტკიცებია (შავკანიანი ქალების) მორჩილება მამაკაცთა ძალაუფლების ქვეშ.“

სადავო საკითხებზე მოინიჰანის კვლევით გამოწვეული დებატებითა და ფრეზიერის თეორიაში ეჭვის თვალით ყურებით მოტივირებულმა ჰერბერტ გუტმანმა მონათა ოჯახის კვლევა დაიწყო. დაახლოებით ათი წლის შემდეგ - 1976 წელს მან გამოაქვეყნა ღირსშესანიშნავი ნაშრომი „შავკანიანი ოჯახი მონობისა და თავისუფლების დროს.“ გუტმანის კვლევამ ფარდა ახადა იმ საოცარ მტკიცებულებებს, რომლებიც მიუთითებდა მონათა ოჯახის აყვავებასა და განვითარებაზე. მისი აღმოჩენით, ეს არ იყო ცნობილი მატრიარქალური ოჯახი, ეს ოჯახი მოიცავდა ცოლს, ქმარს, ბავშვებს, ხშირად სხვა ნათესავებს, ისევე როგორც ნაშვილებ ოჯახის წევრებს. ჩამოშორდა რა ფოგელისა და ენგერმანის საეჭვო ეკონომეტრიულ დასკვნებს, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ ოჯახების უმეტესობას მონობის ტვირთი არც კი შეხებია, გუტმანი ამტკიცებდა, რომ ძალიან ბევრი ოჯახი ძალით დაანგრიეს. ოჯახების ნგრევა ქმრების, ცოლებისა და შვილების გაყიდვის საშუალებით, ჩრდილო ამერიკაში მონობას განსაკუთრებით სასტიკ დამღას ასვამს, მაგრამ, როგორც ავტორი მიუთითებს, მოსიყვარულე კავშირებმა, ოჯახური ურთიერთობის განმსაზღვრელმა კულტურულმა ნორმებმა და ოჯახის ერთად ყოფნის დაუძლეველმა სურვილმა მონობის უღელს გაუძლო. წერილებსა და დოკუმენტებზე დაყრდნობით, როგორებიცაა პლანტაციებიდან მოპოვებული დაბადების მოწმობები, სადაც მამების სახელი დედების სახელის გვერდითაა მითითებული, გუტმანი აჩვენებს, რომ მონები არა მხოლოდ ემორჩილებოდნენ იმ თანმიმდევრულ წესებს, რომლებიც აწესრიგებდა მათ ოჯახურ სისტემას, არამედ მათი ნორმები განსხვავდებოდა მათ გარშემო არსებული თეთრკანიანების ოჯახური სისტემებისგან.

ქორწინებასთან დაკავშირებული ტაბუ, როგორიც იყო ბავშვებისთვის სახელის დარქმევისა და სექსუალური ხასიათის ნორმები, მაგალითად ქორწინებამდელი სექსუალური კავშირების დასჯა, მონათა წრეში სრულიად განსხვავებული იყო. რადგან მონა კაცები და ქალები ამჟღავნებდნენ შეუკავებელ წინააღმდეგობას ადამიანობადამკარგველი გარემოსადმი, რომელსაც მათი გარდაქმნა სურდა მშრომელ ჯგროდ, ისინი მაქსიმალურად დიდი ავტონომიის მოპოვებას ცდილობდნენ. მონა კაცებისა და ქალების ყოველდღიური არჩევანი, მაგალითად, წლობით ერთ მეუღლესთან თანაცხოვრება, ბავშვისთვის მამის სახელის გამჟღავნება ან დამალვა, იმ ქალზე ქორწინება, ვისაც ბავშვები ჰყავდა სხვა კაცებისგან, ახალდაბადებული ბავშვისთვის მამის სახელის, ან დეიდის და ბიძის ან ბებია-ბაბუის სახელის დარქმევა თუ განქორწინების შესაძლებლობა წყვილის შეუთავსებლობის შემთხვევაში, არა რიტორიკის, არამედ ქმედებების საშუალებით უარყოფდა მძლავრ იდეოლოგიას, რომლის მიხედვითაც მონა თითქოს მთელი ცხოვრების მანძილზე „ბავშვი“ ან გაკავებული „ველური“ იყო. ... საშინაო სისტემა და ნათესაური კავშირები ხელს უწყობდა თემის განვითარებას და პრიმორდიალური კავშირების მეშვეობით მათი შვილებისთვის ცხადი ხდებოდა, რომ მონები არ იყვნენ „არაკაცები“ და „არაქალები.“

სამწუხაროა, რომ გუტმანი არ ცდილობდა, დაედგინა, სინამდვილეში რა როლი ჰქონდათ ქალებს მონათა ოჯახში. ოჯახის კომპლექსურობის ჩვენებით, რომლებიც ისევე მოიცავდა ქმრებს, როგორც ცოლებს, გუტმანმა მატრიარქალურ არგუმენტს გამოაცალა ერთ-ერთი ყველაზე მთავარი ღერძი. თუმცა, მან არ დააყენა ეჭვქვეშ მომიჯნავე მტკიცება, რომლის მიხედვითაც ორმშობლიან ოჯახებში ქალი იყო ზემდგომი. [...]

მეცნიერული კვლევების დიდი ნაწილის ინტერპრეტაციით, ოჯახში ორივე მშობელიც რომ ყოფილიყო, მონათა ოჯახის ცხოვრებაში ქალის როლი დიდი იყო, ხოლო მამაკაცის - მცირე. სტენლი ელკინსის მიხედვით, მაგალითად, დედის როლი ... ბევრად უფრო დიდად იყო გამოკვეთილი მონა ბავშვისთვის, ვიდრე მამისა. ქალი აკონტროლებდა სხვადასხვა საქმიანობებს - საშინაო ზრუნვას, საჭმლის მომზადებას და ბავშვების აღზრდას საშინაო ყოფაში.

ელკინსის მიხედვით, ბატონების მიერ მონა კაცების სისტემური მონიშვნა, როგორც „ბიჭებისა,“ იმ რეალობის არეკვლას წარმოადგენდა, რომლის მიხედვითაც მათ თავიანთი მამობრივი პასუხისმგებლობების აღსრულება არ შეეძლოთ. კენეტ სტამპს ეს მსჯელობის ჯაჭვი უფრო შორს მიჰყავს, ვიდრე ელკინს:

... ჩვეულებრივი მონათა ოჯახი ფორმით მატრიარქალური იყო, რადგან დედის როლი უფრო მნიშვნელოვანი იყო ვიდრე მამისა. ოჯახური საქმიანობა მოიცავდა მოვალეობებს, რასაც, ტრადიციულად, ქალები ასრულებენ. მაგალითად, სახლის დალაგება, საჭმლის მომზადება, ტანსაცმლის კერვა და ბავშვების აღზრდა. კაცი, დიდი-დიდი ცოლის დამხმარე ყოფილიყო, ან მისი კომპანიონი და სექსუალური პარტნიორი. კაცი ხშირად მიიჩნეოდა ქალის ისეთივე საკუთრებად (მერი და თომას მსგავსად), როგორც ის ქოხი, რომელშიც ისინი ცხოვრობდნენ.

სიმართლეა ის ფაქტი, რომ საშინაო ცხოვრებას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მონების სოციალურ ცხოვრებაში, რადგან ეს იყო ის ერთადერთი სივრცე, სადაც

მონებს შეეძლოთ საკუთარი თავები ადამიანებად აღექვათ. ამ მიზეზით და იმის გამოც, რომ შავკანიანი ქალები, კაცების მსგავსად, მუშებს წარმოადგენდნენ, საშინაო საქმის შესრულებას ნაკლები ღირებულება არ ჰქონდა, როგორც ეს თეთრკანიანი ქალების შემთხვევაში იყო. თეთრკანიანი ქალებისგან განსხვავებით, ისინი ვერასდროს იქნებოდნენ მხოლოდ „დიასახლისები," მაგრამ იმის თქმა, რომ მათ შავკანიან მამაკაცებზე მუდმივად მეტი ძალაუფლება ჰქონდათ, მათი ცხოვრების არასწორ აღქმას წარმოადგენს.

1971 წელს ჩემს ესეიში, რომელიც იმ მცირედი რესურსებით დავწერე, რაზე წვდომაც ჩემი ციხის კაბინაში მქონდა, აღვწერე ის ღირებულება, რაც მონა ქალის საშინაო საქმეს მოჰქონდა:

ქალი ვალდებული იყო დაუსრულებელად ეზრუნა მის გარშემო მყოფი კაცებისა და ბავშვების საჭიროებებზე, ... მონათა თემში ის ასრულებდა იმ ერთადერთ საქმეს, რომლის დაჩემებაც მის მჩაგვრელს პირდაპირ და უშუალოდ არ შეეძლო. ყანაში მუშაობისთვის მონა არანაირ კომპენსაციას არ იღებდა, ამიტომ მონებისთვის იქ გაწეულ შრომას არანაირი გამოყენებითი მნიშვნელობა არ ჰქონია. მონათა თემისთვის საშინაო საქმე იყო ერთადერთი ღირებული სამუშაო მათი მთელი საზოგადოებისთვის ... ზუსტად მძიმე სამუშაო, ქალების სოციალურად განპირობებული ქვეშევრდომობის მთავარი გამოხატულება, აძლევდა დატყვევებულ შავკანიან ქალებს საშუალებას, მათი და მამაკაცების ავტონომიისთვის ფუნდამენტი ჩაეყარათ. მაშინაც კი, როცა ქალი იტანჯებოდა მხოლოდ უნიკალურად ქალებისთვის განკუთვნილი გზებით, ის წარმოადგენდა მონათა საზოგადოების ცენტრს. შესაბამისად, მას თემის გადარჩენისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა.

ახლა უკვე გააზრებული მაქვს საშინაო საქმის განსაკუთრებული და ცენტრალური როლი არა მხოლოდ ქალებისთვის, არამედ კაცებისთვისაც, რადგან საშინაო საქმე მოიცავდა შრომას, რომელიც მხოლოდ ქალების საკეთებელი არ იყო. მონა კაცები ასრულებდნენ მათთვის განკუთვნილ საშინაო მოვალეობებს და ამიტომ არ წარმოადგენდნენ მხოლოდ მათი ქალების დამხმარეებს, როგორც ამას კენეტ სტამპი ამტკიცებდა. მაგალითად, სანამ ქალები საჭმელს ამზადებდნენ და კერავდნენ, კაცები უვლიდნენ ბაღჩებს და ნადირობდნენ. [...] საშინაო საქმის სქესობრივი დანაწილება, როგორც ჩანს, იერარქიული არ იყო: კაცების სამუშაო არც ზემდგომი და არც ქვემდგომი არ იყო ქალების მიერ შესრულებულ საქმეზე, ორივე ერთნაირად იყო საჭირო. მეტიც, ყველაფერი იმისკენ მიანიშნებს, რომ სქესთან შორის საქმის დანაწილება არ იყო ასეთი მკაცრი, რადგან სრულიად შესაძლებელია კაცებს სახლში ეშრომათ, ხოლო ქალებს ბოსტნისთვის მიეხედათ ან სხვებთან ერთად ენადირათ.

აშკარაა, რომ მონების საშინაო ცხოვრებიდან ამოიზარდა სქესობრივი თანასწორობა. ის შრომა, რასაც მონები ასრულებდნენ არა ბატონების გაძლიერებისთვის, არამედ საკუთარი თემისთვის, სრულდებოდა თანასწორობის პირობებში. საკუთარ ოჯახსა და თემში შავკანიანმა ხალხმა უდიდეს საგმირო გამარჯვებას მიაღწია. **ნეგატიური მნიშვნელობის თანასწორობა - მათი თანაბარი ჩაგვრა, რომელსაც ისინი იზიარებდნენ ყველა სხვა მონასთან ერთად - მათ აქციეს აქციეს პოზიტიურ ნიშან-თვისებად: ეგალიტარიანული ხასიათის სოციალურ ურთიერთობად.** [...] მათ ბიჭებს ისევე

სჭირდებოდათ ძლიერი, სანიმუშო კაცები, როგორც გოგონებს სჭირდებოდათ ძლიერი, სანიმუშო ქალები.

შავკანიანი ქალები იზიარებდნენ სასტიკი ჩაგვრის თანასწორ უღელს და თუ ისინი ასევე თანასწორები იყვნენ საშინაო გარემოში და ისინი ასევე თანაბრად იყვნენ ჩართულები არაადამიანური ინსტიტუციის - მონობის წინააღმდეგ ბრძოლაში. ქალები წინააღმდეგობას უწევდნენ თეთრკანიანი კაცების სექსუალური სახის ძალადობას, იცავდნენ თავიანთ ოჯახებს და მონაწილეობდნენ გაფიცვებსა და აჯანყებებში. როგორც ჰერბერტ აპტეკერი შენიშნავს თავის პირველ ნაშრომში „ამერიკელი მონა ზანგების აჯანყებები," ქალები წამლავდნენ ბატონებს, იყენებდნენ დივერსიის სხვა აქტებს, თავიანთი კაცების მსგავსად, უერთდებოდნენ მოხეტიალე ჯგუფებს და თავისუფლების მოსაპოვებლად ხშირად იპარებოდნენ ჩრდილოეთ ამერიკაში. თუ დავეყრდნობით იმ ფაქტს, რომ აურაცხელი იყო ზედამხედველების მიერ ქალების მიმართ მიყენებულ სასტიკი ჩაგვრის მაგალითები, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქალები, რომლებიც უმოქმედოდ ემორჩილებოდნენ საკუთარ ბედს, უფრო მეტად გამონაკლისს წარმოადგენდნენ და არა გავრცელებულ ნორმას. [...]

საკმაოდ ბევრი ქალი იპარებოდა მონობისგან თავდასაღწევად ჩრდილოეთში. ბევრი მათგანი წარმატებით, მაგრამ კიდევ უფრო მეტს გზაში იჭერდნენ. ერთ-ერთი ყველაზე დრამატული გაქცევის ეპიზოდი ერთ ახალგაზრდა ქალს ეხება, დიდი ალბათობით, მოზარდს, რომლის სახელია ენ ვუდი. ის სათავეში ედგა ერთი ვაგონის ოდენობის შეიარაღებულ ბიჭებსა და გოგოებს, რომლებიც გაიქცნენ თავისუფლების მოსაპოვებლად. 1855 წლის შობის ღამეს დაწეული მაძებრები იარაღით დაეტაკნენ გაქცეულებს. ორი მათგანი მოკლეს, მაგრამ დანარჩენებმა, როგორც ჩანს, მშვიდობით ჩააღწიეს ჩრდილოეთში.

მონობის გაუქმების მომხრე სარა გრიმკე აღწერდა ერთ-ერთი ქალის შემთხვევას, რომლის წინააღმდეგობაც ისეთივე წარმატებული არ აღმოჩნდა, როგორც ენ ვუდისა. რადგან ის სამხრეთ კაროლინადან გაპარვას გამუდმებით ცდილობდა, რათა თავისი ბატონის ჩაგვრისგან თავი დაეღწია, ის იმდენჯერ გაროზგეს, რომ „მის ჭრილობებს შორის თითისტოლა ადგილიც არ იყო დარჩენილი." რადგან ის ყველა შესაძლო შემთხვევას პლანტაციიდან გაპარვისთვის იყენებდა, ბოლოს ის საპატიმროში ჩასვეს და მძიმე, ლითონის ყელსაბამით დააბეს - ვაი და საყელურის გაწყვეტას თუ მოახერხებდა, წინა კბილს აცლიდნენ ხოლმე. გრიმკე ამბობს,

მისი მფლობელები ერთი შეხედვით ქველმოქმედი, ქრისტიანი ოჯახი იყო ... ეს დატანჯული მონა კი, რომელიც მათ ოჯახში მკერავი გახლდათ, მთელი ცხოვრების მანძილზე საპყრობილეში იჯდა და კერავდა ან ... სხვა საოჯახო საქმეს ასრულებდა. თუმცა მისი დასახიჩრებული და სისხლიანი ზურგი, დასახიჩრებული პირი და მძიმე საყელური, როგორც ჩანს, მათში სიბრალულის გრძნობას ვერ აღძრავდა.

ქალები წინააღმდეგობას უწევდნენ და იბრძოდნენ მონობის წინააღმდეგ ყოველი შესაძლებლობის დროს. [...] მოხეტიალე საზოგადოებები, რომლების შემადგენლობაში შედიოდნენ გაპარული მონები და მათი შთამომავლები, მთელს სამხრეთ ამერიკაში არსებობდა ჯერ კიდევ 1642 წლიდან და არ გამქრალა 1864 წლამდე. ეს ჯგუფები წარმოადგენდნენ „თავშესაფარს გაპარული მონებისთვის, ახლომდებარე

პლანტაციების გამანადგურებელ ბაზებად მოიაზრებოდნენ და ხანდახან მათი წევრები დაგეგმილ აჯანყებებს უდგებოდნენ სათავეში.“ 1816 წელს საკმაოდ დიდი ზომის თემი აღმოაჩინეს: სამასი გაქცეული მონა - კაცები, ქალები და ბავშვები, რომლებსაც ფლორიდაში ციხეში გამაგრებულიყვნენ. როდესაც მათ უარი თქვეს საკუთარი სურვილით დანებებაზე, სამხედროებმა ბრძოლა გააჩაღეს, რომელიც 10 დღის მანძილზე გრძელდებოდა და ორას ორმოცდაათზე მეტი ბინადრის სიცოცხლე შეიწირა. ქალები ზუსტად ისეთივე თავგანწირვით იბრძოდნენ, როგორც კაცები. კიდევ ერთი შეტაკების დროს, რომელიც მობილში, ალაბამაში 1827 წელს გაიმართა, კაცები და ქალები ერთნაირი შემართებით იბრძოდნენ, ადგილობრივი გაზეთების მიხედვით, „ისევე, როგორც სპარტელები.“

თუმცა წინააღმდეგობა უფრო ხშირად ბევრად უფრო უჩინარი იყო, ვიდრე აჯანყებები, გაპარვა და დივერსია. **მაგალითად, ეს მოიცავდა ფარულად წერა-კითხვის სწავლებას და ცოდნის სხვებისთვის გაზიარებას. ნათჩეზში, ლუიზიანაში, მონა ქალს „შუაღამის სკოლა“ ჰქონდა, ასწავლიდა მისი თემის წევრებს ღამის 11 საათიდან 2 საათამდე. ეს სკოლა ასობით ადამიანმა „დაამთავრა.“ ისიც უეჭველია, რომ ბევრმა მათგანმა თავად გააყალბა საკუთარი საშვი და თავისუფლების გზას დაადგა.** [...]

მონობის დროს წინააღმდეგობების არცერთი აღწერა არ იქნება ზუსტი, თუ ჩვენ ჰერიეტ ტაბმენს და მის საგმირო საქმეებს არ ვახსენებთ, რომელიც სათავეში ედგა სამასზე მეტ ადამიანს. მისი ახალგაზრდობა სხვა მონა ქალების ახალგაზრდობას ჰგავდა. მერილენდში ყანაში მუშაობდა და თავისი შრომით ისწავლა, რომ მისი პოტენციალი კაცების პოტენციალის მსგავსი იყო. მამამისმა ასწავლა შეშის დაჩეხვა და ღობეების აგება და როდესაც გვერდიგვერდ მუშაობდნენ, მამა ისეთ გაკვეთილებს ასწავლიდა, რაც შემდეგ მისთვის უძვირფასეს ცოდნას წარმოადგენდა სამხრეთსა და ჩრდილოეთს შორის ცხრამეტი მოგზაურობის დროს. მამამისმა ასწავლა, როგორ ევლო ხმაურის გარეშე ტყეში, როგორ მოეძებნა საჭმელი და სამკურნალო საკვები მცენარეებიდან, ფესვებიდან, ბალახეულისგან. ის ფაქტი, რომ ის არასდროს დამარცხებულა ნამდვილად მამამისის რჩევების დამსახურებაც არის. სამოქალაქო ომის დროს ჰერიეტ ტაბმენი აგრძელებდა მის განუწყვეტლივ ბრძოლას მონობის წინააღმდეგ და დღესაც კი გამორჩეულია, რადგან ის ერთადერთი ქალია ამერიკის შეერთებულ შტატებში, რომელიც ოდესმე ბრძოლაში მებრძოლებს უძღვებოდა.

რა სტანდარტების მიხედვითაც უნდა განვსაჯოთ, იქნება ეს თეთრკანიანობის, შავკანიანობის, მამაკაცობის თუ ქალობის, ჰერიეტ ტაბმენი ნამდვილად გამორჩეული ინდივიდი იყო, თუმცა სხვა პერსპექტივით რომ შევხედოთ, რასაც ის აკეთებდა, იყო გამოხატულება იმ ძლიერი და შეუპოვარი სულისა, რომელიც ყველა შავკანიანმა ქალმა განივითარა. მნიშვნელოვანია მუდმივად ვიმეოროთ: შავკანიანი ქალები მათი კაცების თანაბრად და მსგავსად იჩაგრებოდნენ, ისინი მონათა თემში სოციალურად თავიანთი კაცების თანასწორები იყვნენ. ისინი წინააღმდეგობას უწევდნენ მონობას ისეთივე ენთუზიაზმით, როგორც მამაკაცები. ეს იყო მონათა სისტემის ერთ-ერთი ძირითადი ირონია. იმის გამო, რომ ქალები ქვეშევრდომები იყვნენ იმ ყველაზე სასტიკი ექსპლოატაციის, რომელიც სქესს ერთმანეთისგან არ განარჩევდა, შავკანიანი ქალებისთვის შეიქმნა საფუძველი, რომ მათ საკუთარი თანასწორობა არა მხოლოდ სოციალური ურთიერთობების საშუალებით გაემყარებინათ, არამედ თანასწორობა

გამოეხატათ წინააღმდეგობის აქტებითაც. როგორც ჩანს, მონათმფლობელებისთვის ეს საშინელი აღმოჩენა იყო. ისინი ცდილობდნენ, თანასწორობის ეს ჯაჭვი როგორმე გაეწყვიტათ მხოლოდ ქალებისადმი მიმართული ძალადობრივი ქმედებებით. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ ქალებზე განხორციელებული ძალადობრივი ქმედებები ბევრად აღემატებოდა კაცების სასჯელს, რადგან ქალებს მხოლოდ კი არ როზგავდნენ ან ასახიჩრებდნენ, არამედ აუპატიურებდნენ კიდეც.

შეცდომა იქნება, მონობის დროს ინსტიტუციური გაუპატიურების მაგალითები თეთრკანიანი კაცის სექსუალურ სურვილებს მივაწეროთ, რომელიც, სხვა დროს მიჩუმებული იყო თეთრკანიანი ქალების უმანკოების გამო. ეს ზედმეტად მარტივი ახსნაა. გაუპატიურება იყო დომინაციის იარაღი, ჩაგვრის იარაღი, რისი მიზანიც იყო მონა ქალის წინააღმდეგობის სურვილის მოსპობა და ამასთან, მათი კაცების ზნეობრივი წახდენა. [...]

[...] გაუპატიურება აგრესიის გამოხატულების ინსტიტუციონალურ მექანიზმს წარმოადგენდა, ის გამოიყენებოდა იმისთვის, რომ შეერცხვინათ და გამუდმებულ შიშში ჰყოლოდათ ქალები. ამიტომ მონათმფლობელებისთვის მნიშვნელოვანი იყო გაუპატიურების მუდმივი მოლოდინის შექმნა, რათა შავკანიანი ქალებისთვის საკუთარი ადგილი ესწავლებინათ. თუ შავკანიანი ქალი შეიგრძნობდა საკუთარ სიძლიერეს და გამოიჩენდა დიდ სიმტკიცეს წინააააღმდეგობის გასაწევად, მაშინ, მონათმფლობელების აზრით, ძალადობრივ სექსუალურ ქმედებებს უნდა შეეხსენებინა ქალებისთვის იმ არსებითი და შეუცვლელი ფაქტის შესახებ, როგორიც მათი ქალად ყოფნა იყო. იმ პერიოდში მამაკაცების გაბატონებული ძალაუფლების იდეოლოგიის ხედვით, ქალად ყოფნა ნიშნავდა უმოქმედობას, მორჩილებას და სისუსტეს.

მეცხრამეტე საუკუნის თითქმის ყველა მონა ქალების მონათხრობი მოიცავს ბატონებისა და ზედამხედველების მხრიდან მათ სექსუალურ წამებას. [...] იმ აურაცხელი ჩვენების მიუხედავად, სადაც მონებს აუპატიურებდნენ და სექსუალურად ძალადობდნენ, ეს საკითხი მონობის შესახებ ტრადიციულ ლიტერატურაში მსუბუქად არის აღქმული. ხანდახან მიიჩნევა, რომ მონა ქალები წაახალისებდნენ და მიესალმებოდნენ კიდეც თეთრკანიანი კაცების სექსუალური ხასიათის ყურადღებას. ამ ლიტერატურის მიხედვით, ეს ურთიერთობა სექსუალური ექსპლოატაცია კი არ იყო, არამედ „სისხლის აღრევა.“ ჯენოვეზი თავის წიგნში, „მიდი, ჯორდან, მიდი,“ ერთ ნაწილს რასათშორის სექსუალურ კავშირებს უძღვნის და ამტკიცებს, რომ გაუპატიურების რაოდენობა ბევრად უფრო პატარა პრობლემა იყო რასობრივი სისხლის აღრევის დაუნდობელ ტაბუსთან შედარებით. „ბევრი თეთრკანიანი კაცი,“ ამბობდა ავტორი, „ვინც თავიდან ახალგაზრდა მონა ქალს სექსუალური ექსპლოატაციის მიზნით იყენებდა, ბოლოს ქალიც უყვარდებოდა და ქალის გაჩენილი შვილებიც.“ „ამიტომ სისხლის აღრევის ტრაგედია,“ მისი აზრით, ბატონები ვნების გრძნობაში და სექსუალურ ექსპლოატაციაში კი არ მდგომარეობდა, ტრაგედია ის საშინელი წნეხი იყო, რომლის გამოც ბატონი უარს ამბობდა სიამოვნებაზე, სინაზესა და სიყვარულზე, რომელიც უბრალოდ დასაბამს იღებდა ექსპლოატაციის დროს.

ჯენოვეზის ზოგადი მიდგომა ისეთია, რომ საკითხს პატერნალიზმის ფარგლებში განიხილავს. ის ამბობს, რომ მონები, მეტნაკლებად უპრობლემოდ იღებდნენ მათი

ბატონების პატერნალისტურ მიდგომას და სწორედ ამ პატერნალიზმის წყალობით ბატონებიც იძულებულები იყვნენ, მონების ადამიანობა ეღიარებინათ. მაგრამ რადგან ბატონების ყველაზე წარმოდგენით, მათი მონები დიდი-დიდი ბავშვის ჭკუისები თუ იყვნენ, არაა გასაოცარი რომ ავტორმა სისხლის აღრევაში ადამიანური მარცვალი დაინახა.

თუმცა, რისი აღქმაც ავტორს ასე უჭირს ისაა, რომ ძალიან რთული მოსაძებნია საფუძველი „სიამოვნების, სინაზის და სიყვარულისთვის“ მანამ, სანამ თეთრკანიან კაცებს, მათი ეკონომიკური პოზიციის დამსახურებით, შავკანიანი ქალების სხეულებზე განუსაზღვრელი წვდომის ძალაუფლება აქვთ. თეთრკანიანი კაცების შავკანიანი ქალების სხეულებისადმი მიმართება იყო ჩაგვრის, ხოლო, ზედამხედველების შემთხვევაში - უპირატესობის დამტკიცების გამოხატვა. [...]

ე. ფრანკლინ ფრეზიერი ფიქრობდა, რომ მან შავკანიანი ხალხის მთავარი მიღწევა აღმოაჩინა -სისხლის შერევა: თითქოს ბატონი თავის სასახლეში და მისთვის სპეციალურად გამოყოფილ სახლში მყოფი მისი ფერადკანიანი საყვარელი წარმოადგენდნენ ადამიანური სოლიდარობის ყველაზე ტრიუმფალურ მაგალითს. მაგრამ, ამასთან ერთად ის ვერც იმას უარყოფდა, რომ არაერთი ქალი არ ნებდებოდა ბრძოლის გარეშე.

თეთრკანიანი ქალები, რომლებიც მონობის საწინააღმდეგო მოძრაობაში იყვნენ ჩართულები, განსაკუთრებით იყვნენ აღშფოთებულები შავკანიანი ქალების მიმართ სექსუალური ხასიათის ძალადობის გამო. მონობის წინააღმდეგ მომართულ ჯგუფებში ქალი აქტივისტები ხშირად პოულობდნენ კავშირს სასტიკი გაუპატიურების მსხვერპლებთან, რაც ხშირად თეთრკანიან ქალებს მათი შავკანიანი დების დახმარებისკენ წააქეზებდა. იმის მიუხედავად რომ ამ ქალებს აღუწერელი წვლილი მიუძღვით მონობის საწინააღმდეგო კამპანიაში, ხშირად მათ მაინც უჭირდათ მონა ქალების მდგომარეობის ბოლომდე შეცნობა. შავკანიანი ქალები ნამდვილად ქალები იყვნენ მონობის დროს, მაგრამ მათი გამოცდილებები მონობის დროს - მძიმე შრომა თავიანთი კაცების გვერდით, თანასწორობა ოჯახში, წინააღმდეგობა, გაროზგვა და გაუპატიურება - მათ აიძულებდა ისეთი ხასიათის თვისებები გამოემუშავებინათ, რომლებიც მათ მრავალი თეთრკანიანი ქალისგან განასხვავებდა.

მონობის გაუქმების ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სალიტერატურო მაგალითია ჰარიეტ ბიჩერ სტოუს „ბიძია თომას ქოხი,“ წიგნი, რომელმაც დიდი რაოდენობით ადამიანები აამხედრა მონობის წინააღმდეგ და მათ შორის ბევრად უფრო მეტი ქალი, ვიდრე ოდესმე. აბრაამ ლინკოლნმა ერთხელ სასხვათაშორისოდ ახსენა კიდეც, რომ სტოუ ის ქალი იყო, რომელმაც სამოქალაქო ომი წამოიწყო. თუმცა წიგნის უდიდესი გავლენა ვერ აკომპენსირებს იმ ფაქტს, რომ ავტორმა მონათა ცხოვრების დიდი ნაწილი დამახინჯებულად გადმოსცა. წიგნის მთავარი შავკანიანი ქალის ფიგურა წარმოადგენს აბსურდს, რადგან ის უბრალოდ იმ გულუბრყვილო დედის ხატია, რომელიც იმ დროს კულტურული პროპაგანდის მიერ ვრცელდებოდა. უბრალოდ ავტორმა თეთრკანიანი საზოგადოების ფიგურის ასლი შექმნა მონათა თემში. ელაიზა თეთრკანიანი დედობის გამოსახულებაა, შავკანიან ქალად შენიღბული, უფრო სწორად, რადგან ის მხოლოდ ¼-ით არის შავკანიანი, ის, ფაქტიურად, დედობის თეთრკანიანი მოდელისგან სულ მცირედით განსხვავებულ სახეს წარმოადგენს.

ალბათ სტოუ იმედოვნებდა, რომ მისი რომანის თეთრკანიანი ქალი მკითხველები თავიანთ თავებში ელაიზას აღმოაჩენდნენ, მოიხიბლებოდნენ ქრისტიანული მორალის აღმატებულებით, ელაიზას გამბედავი დედობრივი ინსტინქტებით, მისი სინაზითა და სისუსტით - რადგან სწორედ ეს იყო ის თვისებები, რის გამომუშავებასაც ასწავლიდნენ თეთრკანიან ქალებს. ელაიზას სითეთრე მას ნებას აძლევს, დედობის სამაგალითო ნიმუში გახდეს. ხოლო მისი ქმარი, ჯორჯი, რომლის წინაპრებიც თეთრკანიანები არიან, ბევრად უფრო ახლოსაა „კაცობის“ მაშინდელ გაგებასთან, ამ სიტყვის ტრადიციული, გაბატონებული მნიშვნელობით, ვიდრე ნებისმიერი შავკანიანი მამაკაცი წიგნში. მორჩილ, მდუმარე, ბავშვისებრ ბიძია თომასგან განსხვავებით, ჯორჯს აქვს ამბიცია, ინტელექტი, განათლებულია და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მას მონობა მთელი გულით სძულს. როცა წიგნის პირველ გვერდებზე ჯორჯი გადაწყვეტს კანადაში გაქცევას, ელაიზა, ეს წმინდა, მუდმივად მზრუნველობის ქვეშ მყოფი მოსამსახურე ქალი უზომოდ არის შეშინებული ქმრის მიერ მონობის მიმართ შეუკავებელი სიძულვილის გამო:

ელაიზა კანკალებდა და გაყუჩებულიყო. მას აქამდე არასდროს ენახა თავისი ქმარი ასეთ ხასიათზე. მისი ფაქიზი ზნეობრივი მორალი ასეთი მრისხანების წინაშე ისევე იდრიკებოდა, როგორც ლერწამი.

ელაიზა, ფაქტიურად, უყურადღებოა მონობის სისტემის უსამართლობის მიმართ. ქალური მორჩილება მას აიძულებს, ბედისწერას დაემორჩილოს როგორც მონა და იყოს მისი კარგი, კეთილი ბატონისა და ბატონის საყვარლის სურვილების მორჩილი. მხოლოდ მაშინ, როდესაც მის დედობრივ სტატუსს დაემუქრება საფრთხე, ის პოულობს ძალას, ადგეს და იბრძოლოს. [...]

სტოუსთვის მნიშვნელოვანი არ იყო ის ფაქტი, რომ ელაიზას მელოდრამატული საგმირო საქმეები ამ ქალის ხასიათთან თანხვედრაში ვერ მოდიოდა, რადგან მისი აზრით, ღმერთი ზებუნებრივ უნარებს ანიჭებს ნაზ, ქრისტიან ქალებს. მნიშვნელოვანია გავიგოთ, რომ რადგან ავტორი უსიტყვოდ იღებდა მეცხრამეტე საუკუნის დედობის კერპს, მას უჭირს რეალობისა და სიმართლის დანახვა - რომ შავკანიანი ქალები წინააღმდეგობას უწევდნენ მონობას. ეს ქალები, ელაიზასგან განსხვავებით, მოტივირებულები იყვნენ დაეცვათ საკუთარი შვილები მონობის სისასტიკისგან. მათი ძალაუფლების წყარო დედობის მისტიური შესაძლებლობები კი არ იყო, არამედ მათი რეალური გამოცდილებები მონობის უღელქვეშ. [...]

ელაიზასნაირები, თუ ოდესმე საერთოდ უარსებიათ ასეთ ქალებს, ნამდვილად გამონაკლისს წარმოადგენდნენ შავკანიანი ქალების უმეტესობასთან შედარებით. ელაიზასნაირი ქალები არ წარმოადგენდნენ იმ გამოცდილებას, რასაც განიცდიდნენ შავკანიანი ქალები - ისინი შრომობდნენ მათი ბატონების შიშის ქვეშ, ისინი მუშაობდნენ და იცავდნენ საკუთარ ოჯახებს, ისინი მონობის წინააღმდეგ ილაშქრებდნენ, მათ სცემდნენ და აუპატიურებდნენ, მაგრამ ვერასდროს იმორჩილებდნენ. **ესენი ის ქალები იყვნენ, რომლებმაც თავიანთ მეტნაკლებად თავისუფალ შთამომავლებს დაუტოვეს მემკვიდრეობა მძიმე შრომის ატანის, გამძლეობის და საკუთარი თავისადმი ნდობის სახით, ასევე უდრეკობა, წინააღმდეგობის გრძნობა და სქესობრივი თანასწორობის დაჟინებული მოთხოვნილება - სხვა სიტყვებით, ახალი ქალობის სტანდარტები.**

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Ulrich Bonnell Phillips, *American Negro Slavery: A Survey of the Supply, Employment, and Control of Negro Labor as Determined by the Plantation Regime* (New York and London: D. Appleton, 1918).
2. Ulrich Bonnell Phillips, *The Slave Economy of the Old South: Selected Essays in Economic and Social History*, edited by Eugene D. Genovese (Baton Rouge: Louisiana State University Press, 1968).
3. Herbert Aptheker, *American Negro Slave Revolts* (New York: International Publishers, 1970. First edition: 1948); *To Be Free: Studies in American Negro History* (New York: International Publishers, 1969. First edition: 1948); *A Documentary History of the Negro People in the United States*, Vol. 1 (New York: The Citadel Press, 1969. First edition: 1951).
4. Eugene D. Genovese, *Roll, Jordan, Roll: The World the Slaves Made* (New York: Pantheon Books, 1974).
5. John W. Blassingame, *The Slave Community: Plantation Life in the Antebellum South (London and New York: Oxford* Robert W. Fogel and Stanley Engerman, *Time on the Cross: The Economics of Slavery in the Antebellum South*, 2 volumes.
6. Herbert Gutman, *The Black Family in Slavery and Freedom, 1750–1925 (New York: Pantheon Books, 1976)*.
7. Stanley Elkins, *Slavery: A Problem in American Institutional and Intellectual Life*, third edition, revised (Chicago and London: University of Chicago Press, 1976).
8. See Daniel P. Moynihan, *The Negro Family: The Case for National Action*, Washington, D.C.: U.S. Department of Labor, 1965.
9. Reprinted in Lee Rainwater and William L. Yancey, *The Moynihan Report and the Politics of Controversy* (Cambridge, Mass.: MIT
10. Press, 1967).
11. W. E. B. DuBois, *"*The Damnation of Women,*"* Chapter VII of *Darkwater* (New York: Harcourt, Brace and Howe, 1920).
12. Kenneth M. Stampp, *The Peculiar Institution: Slavery in the Antebellum South* (New York: Vintage Books, 1956).
13. Mel Watkins and Jay David, editors, *To Be a Black Woman: Portraits in Fact and Fiction* (New York: William Morrow and Co., Inc., 1970).
14. Benjamin A. Botkin, editor, *Lay My Burden Down: A Folk History of Slavery* (Chicago: University of Chicago Press, 1945).
15. Barbara Wertheimer, *We Were There: The Story of Working Women in America* (New York: Pantheon Books, 1977).
16. *Charles Ball, Slavery in the United States: A Narrative of the Life and Adventures of Charles Ball, a Black Man (Lewistown, Pa.: J. W. Shugert, 1836), pp. 150–151.*
17. Moses Grandy, *Narrative of the Life of Moses Grandy: Late a Slave in the United States of America* (Boston: 1844), p. 18. Quoted in E. Franklin Frazier, *The Negro Family in the United States* (Chicago: University of Chicago Press, 1969. First edition:
18. 1939).
19. Robert S. Starobin, *Industrial Slavery in the Old South* (London, Oxford, New York: Oxford University Press, 1970).
20. Karl Marx, *Das Kapital, Kritik der politischen Ökonomie*, Erster Band (Berlin, D.D.R.: Dietz Verlag, 1965), pp. 415–416.
21. Frederick Law Olmsted, *A Journey in the Back Country* (New York: 1860), pp. 14–15. Quoted in Stampp, *op. cit.*, p. 34.
22. Karl Marx, *Grundrisse der Kritik der politischen Ökonomie* (Berlin, D.D.R.: Dietz Verlag, 1953), p. 266.
23. ციტირებულია წიგნში Robert Staples, editor, *The Black Family: Essays and Studies* (Belmont, Cal.: Wadsworth Publishing Company, Inc., 1971), p. 37. ასევე ნახეთ John Bracey, Jr., August Meier, Elliott Rudwick, editors, *Black Matriarchy: Myth or Reality* (Belmont, Cal.:
24. Wadsworth Publishing Company, Inc., 1971), p. 140.
25. Bracey *et al., op. cit.*, p. 81. Lee Rainwater's article "Crucible of Identity: The Negro Lower-Class Family" თავდაპირველად გამოქვეყნებულია ჟურნალში *Daedalus*, Vol. XCV (Winter, 1966), pp. 172–216.

26. Angela Y. Davis, "The Black Woman's Role in the Community of Slaves," *Black Scholar*, Vol. Ill, No. 4 (December, 1971).
27. Genovese, *Roll, Jordan, Roll*. იხილეთ II ნაწილი, ქვეთავები სათაურებით "Husbands and Fathers" და "Wives and Mothers."
28. Frederick Douglass, *The Life and Times of Frederick Douglass* (New York: Collier; London: Collier-Macmillan Ltd., 1962).
29. Sarah M. Grimke's testimony წიგნში Theodore D. Weld, *American Slavery As It Is: Testimony of a Thousand Witnesses* (New
30. York: American Anti-Slavery Society, 1839). Quoted in Lerner, *op. cit.*, p. 19.
31. Alex Haley, *Roots: The Saga of an American Family* (Garden City, New York: Doubleday and Co., 1976). იხილეთ თავები 66 და 67.
32. Sarah Bradford, *Harriet Tubman: The Moses of Her People* (New York: Corinth Books, 1961. Reprinted from the 1886 edition) Ann Petry, *Harriet Tubman, Conductor on the Underground Railroad* (New York: Pocket Books, 1971. First edition: 1955).
33. Arlene Eisen-Bergman, *Women in Vietnam* (San Francisco: People's Press, 1975), p. 63.

დებატები კემბრიჯის უნივერსიტეტში - ჯეიმს ბოლდუინი

მთარგმნელი: *მარიამ შალვაშვილი*

ჯეიმს ბოლდუინი (1924 – 1987) *იყო ამერიკელი მწერალი, აქტივისტი, პოეტი და დრამატურგი. იგი სამოქალაქო უფლებების მოძრაობის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური ფიგურა იყო. ბოლდუინის ნაწერები ძირითადად ეხებოდა სხვადასხვა სამოქალაქო მოძრაობების პარალელურად განვითარებულ ისტორიებს რასის, სექსუალობის, მასკულინობისა და სიღარიბის შესახებ.*

დებატები კემბრიჯის უნივერსიტეტში[9]

ჯეიმს ბოლდუინის აღნიშნული გამოსვლა გაიმართა 1965 წელს კემბრიჯის უნივერსიტეტში, სადაც ის მეტოქეობას უწევდა ამერიკელ კონსერვატორს უილიამ ფ. ბაკლი ჯუნიორს დებატებში რასობრივი საკითხების შესახებ.

საღამო მშვიდობის,

დღეს, უკვე მერამდენედ, რაღაცნაირად წინასწარმეტყველის როლი მაკისრია. მისტერ ბარფორდის[10] შეხედულებას არ უარვყოფ იმის შესახებ, რომ უთანასწორობამ, რომლითაც ამერიკელი ზანგი[11] მოსახლეობა იტანჯება, ამერიკული ოცნების აღსრულება დააბრკოლა. ეს ნამდვილად ასეა. მე მასთან შეკამათებას სხვა საკითხებზე ვაპირებ. ჩემი წუხილი სხვაა, ის ბევრად უფრო ღრმა და უხერხულობის შემცველია და ეხება ადამიანების ხედვას, ადამიანების რეალობის შეგრძნებას, ადამიანების რეალობის სისტემას. ჩემი შემოთავაზება დღეს პალატის წინაშე იქნება ის, რომ კარგად გავიაზროთ, ამერიკული ოცნების მიღწევის პროცესი ამერიკელი ზანგის ხარჯზე მიმდინარეობდა თუ არა? ეს შეკითხვა საკმაოდ ბევრ ასპექტს მოიცავს, მასზე პასუხი და მასზე რეაქცია დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ადგილი უკავია ადამიანს სამყაროში, როგორია მისი რეალობის შეგრძნება, როგორია მისი რეალობის სისტემა. ამ კითხვაზე პასუხი დამოკიდებულია ჩვენში ისე ღრმად გამჯდარ შეხედულებებზე, რის არსებობას ვერც კი აღვიქვამთ.

დღეს ჩემ მიერ დასმულ საკითხზე ფიქრში თეთრ სამხრეთ აფრიკელს ან მისისიპელს მოიჯარეს, ან მისისიპელ შერიფს, ან იმ ფრანგებს, რომლებიც ალჟირიდან გამოდევნეს, ხელს უშლის ის ფაქტი, რომ მათი რეალობის შეგრძნება სხვანაირია. რთულია წარმოიდგინო, რომ ფრანგები, ალჟირიდან გამოდევნის შემდეგ, იფიქრებენ და დაუპირისპირდებიან საფრანგეთის ამდენხნიან მმართველობას ალჟირში.

---

[9] დებატების ნახვა შეგიძლიათ აქ

[10] ჯერემი ბარფორდი იყო დებატებზე დამსწრე ერთ-ერთი სტუდენტი, რომელიც უილიამ ბაკლის გამოესარჩლა. ბოლდუინი თავის სიტყვას სწორედ ბარფორდის პასუხით იწყებს (მთარგმნ.).

[11] აფრო ამერიკელი მწერლები და აქტივისტები 1960-იან წლებში აქტიურად იყენებენ ამ სიტყვის ამერიკულ ექვივალენტს. იმის მიუხედავად რომ ამ სიტყვას ამჟამად უარყოფითი კონოტაცია აქვს, ავთენტურობის მიზნით, ის შეუცვლელად ითარგმნა (მთარგმნ.).

წარმოიდგინეთ მისისიპის თუ ალაბამას შერიფი. მას მთელი გულით და ნამდვილად სჯერა, რომ შეურაცხადია ეს ზანგი ქალი თუ კაცი ან ბავშვი, რომელიც სწორედ იმ სისტემას უპირისპირდება, რომელსაც მთელ იდენტობას უნდა უმადლოდეს. რა თქმა უნდა, ამ ადამიანისთვის დღეს ჩვენი აქ განსახილველი მოსაზრება აბსურდია. მეორეს მხრივ, მე ვსაუბრობ იმ ადამიანების სახელით, რომლებსაც ყველაზე მეტად დაუპირისპირდა დასავლური თუ ევროპული რეალობის სისტემა. მინდა გაუწყოთ, რომ ჩვენ რასაც თეთრკანიანთა უპირატესობას ვეძახით, სათავეს ევროპიდან იღებს. ამის შემდეგ აღმოჩნდა ის ამერიკაში. ზემოთ დასახელებული ადამიანების გარდა, ჩემს კითხვაზე სხვების რეაქცია დამოკიდებულია იმაზე, მიაჩნიათ თუ არა, რომ ყველა ცივილიზაცია თანასწორია, თუ ჰგონიათ, რომ რომელიმე ცივილიზაციას უფლება აქვს, დაიპყროს, დაიმორჩილოს და გაანადგუროს მეორე. რა შედეგის მომტანია დაპყრობილი ცივილიზაციისთვის მორჩილება? დროებით გვერდით რომ გადავდოთ ყველა ტრაგიკული ფაქტი, ყველა გაუპატიურებისა და მკვლელობის აქტი, გვერდით რომ გადავდოთ ასე ნაცნობი სისხლიანი ჩაგვრის სერიები, ჩაგრულისთვის ყველაზე ახლობელი და სერიოზული მოვლენა ისაა, რომ მისი რეალობის შეგრძნება ინგრევა. მაგალითად, ადამიანს ეს უნადგურებს მამის ავტორიტეტს, მამამისი ახლა მას დამაჯერებელს ვეღარაფერს ეტყვის, რადგან წარსულის მნიშვნელობა გაუფასურებულია და მამამისს ახლა არანაირი ძალაუფლება აღარ გააჩნია ამ სამყაროში.

შენ, ახალდაბადებულ ამერიკელ ზანგს, რომელიც ამ „ბრწყინვალე“ რესპუბლიკაში მოევლინა ქვეყანას, დაბადების დღიდან მოყოლებული ყველგან და ყოველთვის ამერიკელის სახე თეთრკანიანის სახე გგონია და რადგან ჯერ შენ თვითონ სარკეში არ ჩაგიხედავს, შენი თავიც თეთრკანიანი გგონია. როგორც წესი, მოულოდნელია ხოლმე 5, 6 ან 7 წლის ასაკში იმის აღმოჩენა, რომ იმ დროშას, რომელსაც სხვების გვერდით მდგარი ერთგულებას ეფიცებოდი, შენთვის ერთგულება არ შემოუფიცავს. მოულოდნელია იმის აღმოჩენა, რომ გარი კუპერი[12] ინდიელებს ხოცავდა, არადა შენ ხომ გარი კუპერს ასე გულშემატკივრობდი. სინამდვილეში, კი ახლა შენ ხარ ინდიელების ადგილას. დიდი ელდაა იმის აღმოჩენა, რომ იმ ქვეყანას, რომელიც შენი დაბადების ადგილია და რომელსაც მთელს შენს სიცოცხლეს და იდენტობას უმადლი, რეალურად, შენთვის ადგილი არ გამოუყვია. სწორედ მაგ მომენტში მხოლოდ და მხოლოდ კანის ფერის გამო იწყება უკმაყოფილება, მორალი ირყევა და ადამიანებს შორის უფსკრული ჩნდება. ეს გრძნობები უფრო და უფრო ძლიერდება, ძლიერდება მთელი ცხოვრების მანძილზე. 30 წლის ასაკში კი გააცნობიერებ, რომ შენივე თანამემამულეების ნდობა გიჭირს. 30 წლის ასაკში უკვე მრავალი ტანჯვა გაქვს გამოვლილი, მაგრამ ყველაზე დიდი ტანჯვა ის კი არაა, რომ აურაცხელი რაოდენობის მარცხის გადატანამ მოგიწია, ის კი არ არის, რომ ოცდაოთხი საათის მანძილზე ყოველდღე ყველა ადამიანი, პოლიციელები, ტაქსის მძღოლები, მიმტანები, ბინის პატრონები, ბანკები, სადაზღვევო კომპანიები მილიონი სხვადასხვა გზით გეუბნებიან, რომ შენ უვარგისი ადამიანი ხარ. ეს არაა ყველაზე დიდი ტანჯვა. ყველაზე დიდ ტკივილს მაშინ განიცდი, როდესაც ხედავ, რომ შენი ქალიშვილი, ვაჟიშვილი ან შენი დისშვილი ან ძმიშვილი იწყებს იმავეს გაცნობიერებას.

[12] გარი კუპერი იყო ცნობილი ამერიკელი მსახიობი, რომლის გმირებიც ფილმებში ხშირად ხოცავდნენ ამერიკელ ადგილობრივ მოსახლეობას, ე.წ. ამერიკელ-ინდიელებს (მთარგმნ.)

ახლა უკვე ოცდაათი წლის ხარ და ვერაფერი მოიმოქმედე, რომ ამ ხაფანგისგან თავი დაგეღწია, მაგრამ უარესი ისაა, რომ სინამდვილეში ვერც ვერაფერს მოიმოქმედებდი. ვერც მომავალში გააკეთებ ვერაფერს, რათა შენი ქალიშვილი ან ვაჟიშვილი იმავე უბედურებისგან იხსნა და მანაც ისევე არ დაასრულოს, როგორც შენ. მოდით, მივუბრუნდეთ საწყის დებულებას. ამერიკული ოცნების ზანგების ხარჯზე მიღწევას. ჩემი აზრით, აუცილებელია იმის განმარტება, თუ როგორ ვიყენებთ სიტყვას „ხარჯზე," მისი განმარტება კი რამდენიმე გზით შეგვიძლია. ეს სიტყვა პირდაპირი გაგებით რომ გამოვიყენოთ, დავინახავთ, რომ ამ ქვეყანაში ნავსადგურები და პორტები, რკინიგზის რელსები, მთელი ეკონომიკა და განსაკუთრებით, სამხრეთის შტატები სრულიად ვერ იქნებოდა ისეთი, როგორიც დღესაა, დიდი ხნის მანძილზე და დღესაც რომ არ არსებულიყო იაფი მუშახელი შავკანიანების სახით. ამას მე მთელი სერიოზულობით ვამბობ და არც ვაჭარბებ. ამ ხნის მანძილზე ვიღაცის მათრახქვეშ მე ვკრეფდი ბამბას, მე დამქონდა ბაზარში, მე ვაშენე რკინიგზის რელსები და სამაგიეროდ მივიღე სრულიად არაფერი. არაფერი!

სამხრეთში არსებული ოლიგარქია, რომელსაც დღესაც უპყრია ძალაუფლება ვაშინგტონში და შესაბამისად მთელს მსოფლიოშიც, ჩემი შრომისა და ჩემი ოფლის შედეგადაა შექმნილი, ჩემი ქალების შებღალვაზე და ჩემი შვილების მკვლელობაზეა დაშენებული. ეს ხდებოდა და ხდება აქ, თავისუფლების ამ მიწაზე, მამაცთა სამშობლოში. ვერავინ უარყოფს ამ ფაქტებს, ეს ისტორიის არქივშია ჩაწერილი.

ეს ოცნება ამერიკელი ზანგის ხარჯზე არსებობს. ალბათ ღრმა სამხრეთში განვითარებულ ამბებს ადევნებდით თვალყურს, მაგრამ ეს მხოლოდ ღრმა სამხრეთში არ ხდება. ღრმა სამხრეთში თქვენ საქმე გაქვთ შერიფთან ან ბინის მეპატრონესთან ან უესტერნ იუნიონის მოლარე გოგონასთან, თვითონ აზრზე არაა, თქვენ რას წარმოადგენთ. მაგალითად, როდესაც ჩრდილოეთელი ზანგი ხარ, სამხრეთის ქალაქის ნაწილი არ ხარ, ეს ბევრ რამეში იკითხება და ამ ადამიანმა მხოლოდ ის იცის, რომ შენ უცხო ხარ, ამიტომ არც დაგელაპარაკება და იძულებული ხარ, ტელეგრამის მიღებას ელოდო. კარგი, ეს ფაქტები ყველამ ვიცით, ყველას გამოგვიცდია. ზრდასრულობას როგორც კი მივაღწევთ, ამ ყველაფერს როგორმე მარტივად გავუმკლავდებით. მაგრამ ამ საწყალი კაცს ან ქალს დარწმუნებით ჰგონია, რომ რაც არ უნდა საშინელი იყოს მისი ცხოვრება (და დარწმუნებული ვარ, რომ ბევრ მათგანს დიდი ტანჯვა გამოუვლია), რაც არ უნდა ბედკრული ყოფა ჰქონდეთ, რა უბედურებაც არ უნდა დაატყდეთ თავზე, ის ფაქტი აძლევთ ნუგეშს და ღვთის წყალობად ის ევლინებათ, რომ სულ ცოტა, შავკანიანები მაინც არ არიან.

მე ვფიქრობ, რომ იმ უბედურებებიდან, რაც ადამიანს შეიძლება დაემართოს, ყველაზე უარესი სწორედ ეს არის. მე ვფიქრობ, რომ რაც თეთრკანიან სამხრეთელებს დაემართათ, რაღაც კუთხით, უარესია, ვიდრე ის, რაც იქ ზანგებს დაემართათ. მაგალითად ავიღოთ შერიფი კლარკი[13] ქალაქ სელმადან, ალაბამას შტატიდან. ჩვენ არ შეიძლება მას მხოლოდ ისე ვუყუროთ, როგორც მონსტრს. დარწმუნებული ვარ, მას თავისი ცოლიც და თავისი შვილებიც ძალიან უყვარს. დარწმუნებული ვარ, მას დალევაც ეყვარება. რომ შეხედავ, ისიც ისეთივე ადამიანია, როგორიც მე. მაგრამ

[13] შერიფი კლარკი 1955-1966 წლებში ძალადობრივად აკავებდა სამოქალაქო მოძრაობის მშვიდობიან აქტივისტებს და ის ღიად უპირისპირდებოდა რასობრივი ინტეგრაციის პროცესს (მთარგმნ.).

თავადაც ვერ ხვდება რა ძალა აიძულებს, რომ აიღოს თავისი ხელკეტი, დაიმუქროს სასროლი იარაღით ან საქონლის წკეპლა დაიკავოს ხელში. რაღაც საშინელება უნდა მოუვიდეს ადამიანს, რომ, მაგალითად, საქონლის წკეპლა გადაარტყას ქალს მკერდზე. რასაკვირველია, საზარელია ის, რაც ქალს ემართება, მაგრამ ამის გამკეთებელ კაცს რაც ემართება, რაღაც მხრივ ბევრად, ბევრად უარესია. ახლა ასი წლის წინანდელ ფაქტებზე კი არ ვსაუბრობ, არამედ 1965 წელს მომხდარზე და ეს იმ ქვეყანაში, რომელიც ჩემულობს კეთილდღეობას (ამ სიტყვის მნიშვნელობას დღეს ღრმად არ განვიხილავ), სოციალურ ერთიანობას, თავის თავს ცივილიზებულ ერს ეძახის, რომელიც ცდილობს ამ სამყაროში თავისუფლების ტიტული მიიკეროს. ამ დროს ამერიკელი ზანგი, ნებისმიერი ამერიკელი ზანგი, რომელიც ამ ყველაფერს უყურებს ჰარლემიდან (რომელიც საშინელი ადგილია), ფიქრობს, რომ მართალია მთავრობა აცხადებს, რომ ის უძლურია, მაგრამ თეთრკანიანები რომ კვდებოდნენ მისისიპის ფერმებში, ციხეებში გადაყვანისას, თეთრკანიანი ბავშვები რომ დარბოდნენ ქუჩაში, მთავრობა რაიმე გზას იპოვიდა, რამეს შეცვლიდა. ჩვენ ახლახანს მივიღეთ სამოქალაქო უფლებების აქტი, არადა ასი წლის წინ უკვე გვქონდა კონსტიტუციის მეთხუთმეტე შესწორება. არ მინდა, რომ ძველი აღთქმის წინასწარმეტყველივით გამომივიდეს, მაგრამ თუ მეთხუთმეტე შესწორება მაშინ არ შესრულდა, რა მიზეზით უნდა დავიჯერო, რომ სამოქალაქო უფლებების აქტი მოვა სისრულეში? თუ ადამიანთა ჯგუფი იქამდე სახლობდა იმ მიწაზე, სანამ სხვები მივიდოდნენ, დღეს მათ ამ მიწაზე თავიანთი უფლება რატომ უნდა ამტკიცონ? განა ოთხასი წელი საკმარისი არ არის? მთელი ოთხასი წელი! მათ ზურგზე მინიმუმ სამმა ომმა გადაიარა - ამერიკული მიწა სავსეა ჩვენი წინაპრების ძვლებით. ახლა რატომ დგას ეჭვქვეშ ჩემი თავისუფლება, ჩემი მოქალაქეობა ან ჩემი უფლება რომ ამ მიწაზე ვიცხოვრო? ვიტყოდი, რომ ჭირმა, სახელად კანის ფერის გარჩევამ, ალაბამას მკვიდრი შერიფების და ალაბამას მკვიდრი ღარიბი ქალების, თეთრკანიანი ქალების, მორალი გაანადგურა და ამერიკის რეალობის შეგრძნება შებღალა.

ვიაზრებ რა რისკს, რომ უკიდურესობას დამწამებენ, მაინც ვიტყვი, რომ როდესაც ეს ქვეყანა დავტოვე და საზღვარგარეთ ვცხოვრობდი, იქ ყოფნისას ყოველთვის თვალს ვადევნებდი ამერიკელებს, ჩემს თანამემამულეებს და მე მაღელვებდა მათი ბედი. მაგრამ ეს რომ ასე არც ყოფილიყო, მაინც რაღაც უხილავი კავშირი არსებობს ჩვენს შორის - საერთო კონტექსტის აღქმის. მაგალითად, ტენესის შტატში დაბადებულ გოგოს ან ბიჭს როდესაც ვუყურებთ, ორივეს გვესმის თუ საიდან არის ის და რას ნიშნავს იყო ტენესიდან. არცერთმა ინგლისელმა ეს არ იცის, არცერთმა ფრანგმა, მსოფლიოში სხვა არავინ იცის იმ შავკანიანი კაცის გარდა, რომელიც იმავე ქვეყნიდანაა. ამ დროს კი უყურებ, როგორ ამბობენ თეთრკანიანები უარს იმ ერთადერთ ახლო ნათესავებზე, რომლებიც მათ გააჩნიათ. ჩვენ ამერიკაში ინტეგრაციაზე ისე ვსაუბრობთ, თითქოს მისი შესრულება დიდ თავსატეხს წარმოადგენდეს. არადა ამერიკაში ჩვენ უკვე ძალიან დიდი ხანია ინტეგრირებულები ვართ და სწორედ ესაა ამერიკის პრობლემა. მიმაყენეთ ნებისმიერი აფრიკელის გვერდით და მიხვდებით რასაც ვგულისხმობ. ბებიაჩემს არავინ გაუპატიურებია. ამერიკელები კი თვალს არ ვუსწორებთ იმ შედეგს, რაც ჩვენმა ქმედებებმა გამოიწვია. ის ნაბიჯი, რაც ამერიკელმა ხალხმა ყველასთვის სასიკეთოდ უნდა გადადგას არის ის, რომ უბრალოდ მიიღოს მთლიანი ისტორია, როგორც ჩვენი, ყველას, ნაწილი. მე ისტორიის ნაწილი ვიყავი არა მხოლოდ როგორც მონა, არამედ როგორც მხევალი.

ადამიანი ძალაუფლების მასშტაბს მაშინ შეიცნობს, როდესაც მეორე ადამიანზე აბსოლუტური ძალაუფლება აქვს.

ევროპაში მყოფ ამერიკელებს როდესაც ვაკვირდებოდი, ასე მეჩვენებოდა, რომ ჩემზეც ისევე არ ჰქონდათ წარმოდგენა, როგორც ევროპელებზე. მაგალითად, ისინი ძალით კი არ ცდილობდნენ ფრანგ გოგონასთან ცუდად მოპყრობას, ან ფრანგ მიმტანთან უხეშობას, მათ არც იცოდნენ რომ თავიანთი ქცევით გულს ვინმეს ტკენდნენ. ვერ იაზრებდნენ, რომ ეს ქალი ან ეს კაცი, იმის მიუხედავად, რომ სრულიად სხვა ენაზე საუბრობდა, სხვა მანერები და ქცევები ჰქონდა, ადამიანი იყო. ამერიკელები ფეხქვეშ თელავდნენ უცხოელების ღირსებას იმავე უცოდინრობით, ქედმაღლობით, მომხიბვლელობითა და მხიარულებით, როგორც ჩემთან მოპყრობისას: როდესაც თავზე ხელს მისვამდნენ, მანათობელს მეძახდნენ და ჩემი გაბრაზებისას ბრაზდებოდნენ. მაგრამ მნიშვნელოვანია გავიგოთ ის, რასაც ჩაგრული ხმამაღლა არასდროს ლაპარაკობს და რასაც არასდროს ეტყვის თავის ბატონს. 40 წლის წინ, როდესაც მე დავიბადე, ძალიან შორ პერსპექტივაშიც კი ვერ ვხედავდით ამ პრობლემების გამოსწორებას. ამაზე არავინ ფიქრობდა. ბავშვობაში ამერიკული ისტორიის წიგნები მასწავლიდა, რომ აფრიკას არ ჰქონდა ისტორია და შესაბამისად, არც მე მქონდა ისტორია. ეს წიგნები მასწავლიდა, რომ მე ვიყავი ველური. რაც უფრო ნაკლებად გამოვთქვამდი ჩემს აზრებს, მით უკეთესი. ამ წიგნებიდან ვსწავლობდი, რომ აფრიკელები ევროპელებმა გამოიხსნეს და ამერიკაში ჩამოიყვანეს და, რა თქმა უნდა, მე ამის მჯეროდა. სიმართლე ითქვას, არჩევანი არც მქონია. ეს იყო ერთადერთი სახელმძღვანელოები და ეს იყო საყოველთაოდ მიღებული აზრები.

თუ ჰარლემიდან ქალაქის ცენტრისკენ გზას გაუყვები, მარტივია დასანახია, რომ სამყარო უფრო სუფთა, თეთრი, მდიდარი და უსაფრთხო ხდება. ქუჩები ნაგვისგან გაწმენდილია, იოლი შესამჩნევია, რომ ადამიანებს ჯანმრთელობის დაზღვევის ყიდვა შეუძლიათ, ბავშვები ბედნიერები ჩანან, უსაფრთხოდ არიან. მაგრამ შენ არც ბედნიერი ხარ და არც უსაფრთხოდ ხარ. სახლში ბრუნდები და ფიქრობ, რომ ყველაფერი ასეც უნდა იყოს, ეს ღმერთის ნებაა. შენ იმ სივრცეს ეკუთვნი, სადაც თეთრკანიანმა ადამიანებმა მოგიჩინეს ადგილი.

მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის მერე აღმოცენდა სამყაროს ალტერნატიული სურათი. ეს წარმოდგენა არ შექმნილა არც ამერიკული კანონმდებლობის და არც ამერიკული ხელისუფლების დამსახურებით. ის წარმოჩინდა მას შემდეგ, რაც აფრიკა მსოფლიო სცენაზე აღმოჩნდა და აფრიკელებთან გამკლავება საჭირო გახდა ახალი, აქამდე არნახული გზებით. ამან ამერიკელ ზანგს ისტორიაში პირველად მისცა შესაძლებლობა, თავისი თავი აღექვა არა მხოლოდ როგორც ველური ან ტაკიმასხარა. ამ პროცესებმა გამოიწვია ბევრი უთანხმოება და ალბათ კიდევ გამოიწვევს პრობლემებს. ერთ-ერთი ყველაზე დიდებული რამ, რაც თეთრკანიანმა სამყარომ არ იცის, ჩემგან განსხვავებით ისაა, რომ შავკანიანი ადამიანები სხვების მსგავსები არიან. აქამდე მითი ზანგებისა და ფერადკანიანების შესახებ იმისთვის გამოიყენებოდა, რომ ისინი სრულიად უსაფუძვლოდ მიეჩნიათ ეგზოტიკურ, უჩვეულო არსებებად, რომლებიც, ადამიანური კანონების მიხედვით, უცხოები იყვნენ. მაგრამ, ვაი, რომ ეს სიმართლე არ არის. ჩვენც ვართ ანგარებიანები, ჩვენც ვართ დიქტატორები, მკვლელები, მატყუარები. ჩვენც ჩვეულებრივი ადამიანები ვართ.

ჩვენ ძალიან დიდი დაბრკოლებები შეგვექმნება, სანამ არ ვაღიარებთ, რომ საჭიროა რაიმე სახის დიალოგის დაფუძნება იმ ადამიანებს შორის, რომლებმაც ამერიკული ოცნებისთვის ხარკი გადაიხადეს და მათ შორის, ვისაც ამერიკული ოცნებისთვის ჯერაც არ მიუღწევიათ. სიმართლე გითხრათ, ყველაზე მეტად ეს მაწუხებს. ჩვენ, ახლა ამ ოთახში მსხდომებს რადგან თავი მეტნაკლებად ცივილიზებულები გვგონია და რაღაც ეტაპამდე ერთმანეთთან საუბარიც შეგვიძლია, ამ ყველაფრის გამო შეიძლება გვჯეროდეს, რომ დღეს აქედან გასვლის შემდეგ ჩვენი განათლებულობით (ან, ზრდილობით) სამყაროს შეცვლა შეგვეძლება, მაგრამ შეიძლება ამ ყველაფერს არც არანაირი გავლენა ჰქონდეს.

მაგალითად, მახსოვს, რომ ყოფილმა იუსტიციის მინისტრმა, მისტერ რობერტ კენედიმ აღნიშნა, რომ 40 წელიწადში ამერიკის პრეზიდენტი შესაძლოა ზანგიც გახდეს. ჩემი აზრით, ეს ნამდვილად ემანსიპატორული განცხადება იყო... თეთრკანიანებისთვის. თეთრკანიანები ამ განცხადების გაჟღერების დროს ჰარლემში არ იმყოფებოდნენ, ალბათ ვერც იმ სიცილს, სიმწარეს და დაცინვას ისმენენ, რომელიც ამ განცხადებას მოჰყვა. ჰარლემის საპარიკმახეროში მყოფი კაცისთვის ბობი კენედი მხოლოდ გუშინ გამოჩნდა არეალზე და ის უკვე პრეზიდენტობისკენ მიმავალ გზაზეა. ჩვენ კი აქ 400 წელია ვართ და ახლა ის ჩვენ გვეუბნება, რომ კარგად თუ მოიქცევით, 40 წელიწადში შეიძლება გაპრეზიდენტების უფლება მოგვცენ?

აქ საშიში ისაა, რომ ზოგიერთმა შავკანიანმა შეიძლება ყველაფერს, რასაც თეთრკანიანი ამერიკელი ამბობს, ზურგი აქციოს. ამ ადამიანებისთვის ყოყმანის მიზეზი, ჯონსონის[14] გამარჯვების მიუხედავად, ისაა, რომ მათ იმედს ამერიკელი პოლიტიკოსები საკმაოდ დიდი ხანია უცრუებენ. მე ზრდასრული ადამიანი ვარ და ჩემთან შეთანხმების მიღწევა ალბათ შესაძლებელია. ყოველ შემთხვევაში, იმედი მაქვს, რომ შესაძლებელია. მაგრამ არც მე და არც მარტინ ლუთერ კინგმა არ ვიცით და რეალურად, არავინ ვიცით, თუ როგორ გავუმკლავდეთ იმ ადამიანებს, რომლებსაც თეთრკანიანი სამყარო დიდი ხანია არაფრად აგდებს. როგორ გავუმკლავდეთ ადამიანებს, რომლებსაც არ სჯერათ არაფრის, რასაც თეთრკანიანი სამყარო ამბობს და არც ჩემი ან მარტინის სიტყვების სჯერათ. მათ ამის გამო ვერავინ გაკიცხავს. ნახეთ, რა დღეში ჩაცვივდნენ ისინი 20 წელზე ნაკლებ დროში.

ჩემი ბოლო თვალსაზრისი კი ნიუ იორკს ეხება. ნიუ იორკში ზანგები ძალიან დიდი ხანია ცხოვრობენ. ნიუ იორკს აშკარად აქვს ფუნდამენტურად საკუთარი თავის გარდაქმნის უნარი. ეს ბოლო 15 წელში ძველი შენობების ნგრევით და ახლების აშენებითაც დასტურდება, ოღონდ ეს აღმშენებლობა მხოლოდ ქალაქის ცენტრში ხდება, ფულის მოსახვეჭად. გეტოში ზანგებისთვის კი სხვადასხვა მშენებლობებითი პროექტების გარდა არაფერი გაკეთებულა. და, რა თქმა უნდა, ზანგებს ეს უსამართლობა ეზიზღებათ. ამჟამად გეტოში საკუთრება ფუჭდება, რადგან ახალგაზრდებს მისი მოვლა არ შეუძლიათ, მათ გეტოდან გაღწევა უნდათ. ამერიკის პრეტენზიები რომ უფრო თანმიმდევრულ, ცხოვრების და საკუთარი თავის

[14] ლინდონ ბ. ჯონსონი იყო ამერიკის პრეზიდენტი 1963-1969 წლებში. სამოქალაქო უფლებების კანონი მიღებული იყო პრეზიდენტ ჯონსონის პრეზიდენტობისას (მთარგმნ.)

კეთილსინდისიერ განსჯაზე იყოს დაფუძნებული, მაშინ „ქალაქის განახლებაში“ არ ვიგულისხმებდით ზანგების ქუჩაში გაყრას, ახლა კი სწორედ ამას ნიშნავს. ეს ღვთის ნება არ არის. ახლა ჩვენ ადამიანების შექმნილ და მართულ საზოგადოებაში ვცხოვრობთ. ამერიკაში ზანგები რომ არ ყოფილიყვნენ, დარწმუნებული ვარ, ამერიკული შრომის დაცვის მოძრაობას ბევრად უფრო მოუსმენდნენ, ვიდრე ახლა. საშინელებაა, რომ ყველა მაცხოვრებელი იმ აზრით ცხოვრობს, რომ ქვეყნის მოსახლეობის ერთი მეათედი მისი დაქვემდებარებულია. და იმ წუთამდე, სანამ ჩვენ, ამერიკელები, ჩვენ, ამერიკელი ხალხი, არ მივიღებთ იმ ფაქტს, სანამ მეც არ მივიღებ იმ ფაქტს, რომ ჩვენი წინაპრები თეთრკანიანებიც არიან და შავკანიანებიც. სანამ არ დავიჯერებთ, რომ კონტინენტზე, რომელზეც ახალი იდენტობა უნდა შევქმნათ, ჩვენ ერთმანეთი გვჭირდება. სანამ არ მივხვდებით, რომ მე ამერიკამ კი არ უნდა მიხსნას, მისი სამისიონერო მოწყალების ობიექტი კი არ ვარ, არამედ ერთ-ერთი ის ადამიანი ვარ, ვინც ეს ქვეყანა ააშენა, იქამდე ამერიკული ოცნების აღსრულების იმედი ძლივს არსებობს. სანამ ადამიანების ნაწილს ეკრძალება იყოს ამერიკული ოცნების თანაბარუფლებიანი თანამონაწილე, ამერიკულ ოცნებას უბრალოდ მათი არსებობაც კი დაამტვრევს და თუ ის ნამდვილად დაიმსხვრევა, დასავლეთისთვის ძალიან მძიმე მომენტი დადგება.

გმადლობთ.

ბიულეტენი ან ტყვია - მალკოლმ იქსი

მთარგმნელი: *ქამრან მამედლი*

მალკოლმ იქსის ეს გამოსვლა გაიმართა 1964 წლის 12 აპრილს ქ. დეტროიდში (მიჩიგანის შტატი). აღნიშნულ წელს, ამერიკაში საპრეზიდენტო არჩევნები იმართებოდა და პრეზიდენტი ლინდონ ჯონსონი მეორედ იყრიდა კენჭს. ამ გამოსვლიდან დაახლოებით ერთი წლის შემდეგ, 1965 წლის 21 თებერვალს მალკოლმ იქსი ერთ-ერთი საჯარო გამოსვლის დროს მოკლეს.

მოგესალმებით ბატონო მოდერატორო, ბატონო რევერენდ ქლიგ, დებო და ძმებო, მეგობრებო. ასევე, ვხედავ ზოგიერთ მტერსაც! უფრო მეტიც, სულელია ის ვინც ფიქრობს, რომ ამ მასშტაბის შეხვედრაზე ჩვენი მტრები ჩვენს გვერდით არ არიან მოკალათებულნი.

დღევანდელ ჩვენს თემას ჰქვია „ბიულეტენი ან ტყვია“. მგონი, ასეთ სათაურს დამატებითი გამარტებები არ სჭირდება. რადგანაც ეს წელი ჩვენთვის „ბიულეტენის ან ტყვიის“ წელია. ამიტომ, სანამ ამ თემაზე საუბარს დავიწყებ, მინდა განვმარტო რამდენიმე საკითხი, რაც ჩემს პირად პოზიციას ეხება.

მე ახლაც მუსლიმი ვარ. ჩემი მრწამსი ისევ ისლამია. ახლაც, ბატონ მუჰამედს ვუმადლი იმას, რაც ვიცი და ვინც ვარ. იგი იყო ადამიანი, რომელმაც თვალები ამიხილა. ამჟამად, მე მუსლიმების მიერ ახლად შექმნილი ორგანიზაციის წინამძღვარი გახლავართ. ამ ორგანიზაციის ოფისები სასტუმრო ტერესაშია, ჰარლემის ცენტრში, რომელიც ქალაქ ნიუ-იორკის შავი ზოლია.

როგორც იცით, ადამ კლეიტონ ფოველი ქრისტიანი მოძღვარია აბისიანურ ბაპტისტურ ეკლესიაში, მაგრამ ის უფრო მეტად ცნობილია მისი პოლიტიკური მოღვაწეობით. ხოლო დოქტორი მართინ ლუთერ ქინგი ასევე არის ქრისტიანი მოძღვარი ატლანტადან, ჯეორჯიის შტატიდან, მაგრამ ის მისი სამოქალაქო უფლებებისთვის ბრძოლითაა ცნობილი. ასევე, ნიუ-იორკში სხვა ქრისტიანი სასულიერო პირებიც არიან. მაგალითად, რევერენდ გალმისონი, შესაძლოა არ იცნობდეთ მას. ის ქრისტიანი მოძღვარია ბრუკლინიდან, მაგრამ ის ბრუკლინის სეგრეგირებული სკოლების სისტემის წინააღმდეგ ბრძოლითაა უფრო ცნობილი. ჩემს გვერდით მჯდომი რევერენდ ქლიგიც ქრისტიანი მოძღვარია დეტროიდში. ის „თავისუფლება ახლა პარტიის“ თავმჯდომარეა. ყველა ეს ადამიანი ქრისტიანი სასულიერო ლიდერია, მაგრამ ჩვენ მათ არ აღვიქვამთ მხოლოდ ქრისტიან სასულიერო ლიდერებად. ჩვენ მათ სხვადასხვა სფეროს მებრძოლებად აღვიქვამთ. ასე, რომ როგორც ისინი არიან ქრისტიანი სასულიერო ლიდერები, მეც სასულიერო ლიდერი ვარ, ოღონდ მე ვარ მუსლიმი სასულიერო ლიდერი. ხოლო თუ ნამდვილად გვინდა არსებული უსამართლობების შეცვლა, მაშინ ერთობლივი ძალებით უნდა ვიბრძოლოთ, რადგანაც ცალ-ცალკე ვერაფერს ვცვლით. სწორედ, ამგვარ გაერთიანებას ქადაგებს შავკანიანთა ნაციონალიზმი და მე შემიძლია გითხრათ, რომ მე ვარ თავისუფლებისთვის მებრძოლი შავკანიანი ნაციონალისტი.

ისლამი ჩემი რელიგიაა. მაგრამ ვფიქრობ, რომ ჩემი რელიგია ჩემი პირადი საქმეა. ის მართავს ჩემს პირად ცხოვრებას, პირად მორალს. ჩემი რელიგიური ფილოსოფია ჩემსა და ღმერთს შორის უნდა დარჩეს. ისევე როგორც, ზემოთ ჩამოთვლილი სასულიერო

ლიდერების რელიგიური ფილოსოფია მათსა და მათ ღმერთს შორის უნდა დარჩეს. ეს საუკეთესო გზა. თუ დავიწყებთ რელიგიის განხილვას, აღმოვაჩენთ ძალიან ბევრ განსხვავებულობას. შედეგად, კი ჩვენ ვერასდროს ვერ შევძლებთ გაერთიანებას. ასე რომ, თუმცა, ჩემი რელიგიური ფილოსოფია არის ისლამი. ჩემი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ფილოსოფია არის შანკანიანთა ნაციონალიზმი. როგორც აღვნიშნე, თუ მე და თქვენ რელიგიაზე საუბარს დავიწყებთ, გვექნება განსხვავებები, გვექნება კამათი და ვერასდროს შევძლებთ გაერთიანებას. ჩვენ ჩვენი რელიგიები სახლში, კარადაში უნდა შევინახოთ. რელიგია ჩვენსა და ჩვენს ღმერთს შორის უნდა დარჩეს, აქ კი საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლოსითვის უნდა გამოვიდეთ.

მაგრამ რას არის შავკანიანთა ნაციონალიზმი? შავკანიანთა ნაციონალიზმის პოლიტიკური ფილოსოფია გულისხმობს იმას, რომ შავკანიანმა კაცმა საკუთარ თემში პოლიტიკა და პოლიტიკოსები თავად უნდა მართოს. დიდი ხანია წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა თეთრკანი ხალხი მოდიოდა ჩვენს თემში, გვაიძულებდა მისთვის ხმის მიცემას, ხდებოდა ჩვენი პოლიტიკური ლიდერი და გვკარნახობდა, თუ რისი გაკეთება შეიძლებოდა და რისი არა. იგივე გაგებით, ის დროც წარსულს ჩაბარდა, როცა იგივე თეთრკანიანი კაცი, იმის ცოდნით, რომ ჩვენ ფართედ გახელილი თვალები გვქონდა, ჩვენს პოლიტიკურ ლიდერად ვინმე შავკანიანს გამოგვიგზავნიდა, რომელიც ისევ და ისევ არასწორი მიმართულებით წაგვიყვანდა. შავკანიანთა ნაციონალიზმის პოლიტიკური ფილოსოფია გულისხმობს იმას, რომ თუ მე და თქვენ ერთად უნდა ვიცხოვროთ შავკანიანთა თემში - და ეს არის ის ადგილი, სადაც ვიცხოვრებთ ყოველთვის, რადგანაც როგორც კი თქვენ მათ სამეზობლოში გადადიხარ საცხოვრებლად, ის სამეზობლო ცოტა ხნის გამნავლობაში შერეულია, მაგრამ ისინი მალევე ტოვებენ ამ სამეზობლოს და შენ ისევ მარტო რჩები - ჩვენ უნდა გავიგოთ ჩვენი თემის პოლიტიკა. უნდა ვიცოდეთ, თუ რას აწარმოებს პოლიტიკა. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, თუ რა როლს თამაშობს პოლიტიკა ჩვენს ცხოვრებაში. მეგობრებო, სანამ, ჩვენ პოლიტიკურად მოვმწიფდებით, ყოვეთვის მოგვატყუებენ, დაგვაბნევენ, ან დაგვარწმუნებენ, რომ მხარი დავუჭიროთ ისეთ ვინმეს, რომელსაც ჩვენი თემის კეთილდღეობა არ აქვს განზრახული. შესაბამისად, შავკანიანთა ნაციონალიზმის პოლიტიკური ფილოსოფია ნიშნავს იმას, რომ ჩვენ უნდა გავატაროთ პოლიტიკური პროგრამა, რომელიც ჩვენს ხალხს ხელახლა გაანათლებს და თვალს აუხელს, რომელიც პოლიტიკურად ცნობიერს გაგვხდის, პოლიტიკურად მომწიფებულს. მხოლოდ ამის შემდეგ ვიქნებით მზად ბიულეტენისთვის და საარჩევნო ურნისთვის. მხოლოდ ამის შემდეგ, შევძლებთ ავირჩიოთ ადამიანი, რომელსაც ჩვენი თემის კეთილდღეობა აქვს განზრახული.

შანკანიანთა ნაციონალიზმის ეკონომიკური ფილოსოფია გულისხმობს იმას, რომ ჩვენს თემში ჩვენ უნდა ვიყოთ მესაკუთრეები, ჩვენ უნდა ვმმართვდეთ და ვაკონტროლებდეთ ეკონომიკას. იცით რატომ არ არსებობს შავკანიანთა მაღაზია თეთრების სამეზობლოში? რადგანაც, თეთრკანიანი კაცები შენი მომხმარებლები არასდროს იქნებიან. თქვენ წარმოიდგინეთ და ისინი ამაში მართლებიც არიან. რადგანაც, მათ აქვთ საკმარისი ჭკუა, რომ იზრუნონ საკუთარ ხალხზე. ხოლო, თქვენ არ გაქვთ საკმარისი ჭკუა, რომ იზრუნოთ საკუთარ თავზე. თეთრკანიანი კაცი იმდენად ჭკვიანია, რომ ის არ დაუშვებს ვინმე უცხომ მისი თემის ეკონომიკა

გააკონტროლოს. მაგრამ თქვენ უშვებთ, რომ უცხომ გააკონტროლოს თქვენი თემის ეკონომიკა, გააკონტროლოს სახლის იჯარის ფასები, გააკონტროლოს განათლების სისტემა, გააკონტროლოს სამუშაო ადგილები, გააკონტროლოს ბიზნესები. ეს ყველაფერი ეფუძნება წინასწარ მომზადებულ ტყუილს, რომ თქვენ გინდათ ინტეგრაცია. არა, მეგობრებო, სინამდვილეში, თქვენ, თავში ჭკუა არ გაქვთ.

შავკანიანთა ნაციონალიზმის ეკონომიკური და პოლიტიკური ფილოსოფია გულისხმობს იმას, რომ ჩვენ იძულებული ვართ ჩავერთოთ ხელახალი სწავლების პროგრამაში, სადაც ჩვენ ხალხს ავუხსნით, რომ როცა დოლარს ხარჯავენ არა საკუთარ თემში, არამედ სხვა თემში, მაშინ ის სხვა თემი მდიდრდება, ხოლო მათი საკუთარი თემი ღარიბდება. და რადგანაც ეს დაბნეული და გზა აბნეული შავკანიანები წელებზე ფეხს იდგამენ, რომ ფული მათ მჩაგვრელ თეთრებთან დახარჯონ, შედეგად მათი მჩაგვრელები უფრო და უფრო მდიდრდებიან, ხოლო თქვენ უფრო და უფრო ღარიბდებით. რა ხდება ამის შემდეგ? ის სამეზობლო, რომელშიც შენ ცხოვრობ ხდება ჭაობი, ხდება გეტო. ხოლო შენ ურცხვი გამბედაობით აკრიტიკებ შენს ცუდ საცხოვრებელ პირობებს. სინამდვილეში, შენს საცხოვრებელ პირობებს თემიდან და სამეზობლოდან ფულის გატანით შენ თავად აუარესებ.

უფრო მეტიც, მე და თქვენ ორმაგ პრობლემასთან გვაქვს საქმე. რადგანაც, მაშინაც კი როცა ჩვენს ფულს ვხარჯავთ ჩვენივე სამეზობლოში, ამ ფულს ჩვენთან ვერ ვინარჩუნებთ. იცით რატომ? იმიტომ, რომ ჩვენს სამეზობლოში მაღაზიები და ეკონომიკა ჩვენ არ გვეკუთვნის. ის, ვინც ჩვენთან მაღაზიებს მართავს, არ არის ჩვენიანი. ის ჩვენ არ გვგავს. ის არც კი ცხოვრობს ჩვენთან. შედეგად, მე და თქვენ რომც მოვინდომოთ და დავხარჯოთ ჩვენი ფულები ჩვენს სამეზობლოში, მაინც ვხარჯავთ ისეთ კაცთან, რომელიც შებინდებისას შეავსებს ფულით სავსე კალათას და წავა სხვაგან.

ასე რომ ჩვენ ხაფანში ვართ, ორმაგ ხაფანგში, სამმაგ ხაფანში. სადაც არ უნდა წავიდეთ აღმოვაჩენთ, რომ ხაფანგში ვართ. და ყველა ახლად შემოთავაზებული გამოსავალი უბრალოდ სახე შეცვლილი ხაფანგია, გარდა შავკანიანთა ნაციონალიზმისა. შავკანიანთა ნაციონალიზმის ეკონომიკური ფილოსიფია გვაჩვენებს, თუ რა მნიშვნელობა აქვს ჩვენივე მცირე მაღაზიების გახსნას, განვითარებას და მათი ოპერაციების გაფართოებას. ვულვორთმა (სუპერმარკეტების ქსელი - თარჯ.) თავის დროზე, საქმიანობა ასე ფართო მასშტაბებით არ დაიწყო. მათ ათცენტიანი მაღაზიიდან დაიწყეს, მაგრამ შემდეგ გაფართოვდნენ და გაძლიერდნენ დღევანდელ დღემდე. ხოლო დღეს, ისინი მთელს მსოფლიოში არიან წარმოდგენილნი. დღეს უკვე ისინი ყველა ჩვენგანის ფულების მოზიარენი არიან. მე და თქვენ ახლა უნდა გადავდგათ პირველი ნაბიჯები, ხოლო ამისთვის საუკეთესო ადგილი ის სამეზობლოა, სადაც ჩვენ თვითონ ვცხოვრობთ. შესაბამისად, ჩვენი ხალხი არამხოლოდ ხელახლა უნდა განათლდეს შავკანიანთა ბიზნესების მხარდაჭერის მნიშვნელობისთვის, არამედ შავკანიანებმა თავად უნდა იფიქრონ ბიზნესის დაწყებაზე. და როცა მე და თქვენ დავიწყებთ ბიზნესს, როგორც მინიმუმ, ჩვენივე თემში ბიზნესებს ჩვენ გავაკონტროლებთ. ისეთ სიტუაციას ჩამოვაყალიბებთ, რომ ჩვენი ხალხისთვის სამუშაო ადგილებს ჩვენ თვითონ შევქმნით. და როცა ეს მოხდება, მაშინ შემცირდება სულელური და სამარცხვინო მოქმედებების საჭიროებაც, ბოიკოტირების და

პიკეტირების პრაქტიკები, რაც სინამდვილეში სამსახურების გამო მტრისთვის ხვეწნაა. ხოლო, ნებისმიერ დროს, როცა სამუშაო ადგილებისთვის შენს მტერზე ხარ დამოკიდებული, მაშინ შენ ხარ ცუდ ფორმაში. და ის ნადვილად არის შენი მტერი. ნება მიბოძეთ გითხრათ, რომ თქვენ ამ ქვეყანაში არ იქნებოდით, თქვენს მტერს თქვენი წინაპრები რომ არ მოეტაცა და აქ არ წამოეყვანა.

ამასთანვე, ზოგიერთი თქვენგანი ფიქრობს, რომ თქვენ აქ მეიფლოვერით (გემის სახელწოდება, რომელიც პირველი ჩავიდა ამერიკის კონტინენტზე, იგულისხმება რელიგიური ბედნიერება - თარჯ.) მოხვედით. როგორც გახსოვთ, დებო და ძმებო, დღეს ჩვენი განზრახვა რელიგიაზე საუბარი არ არის. დღეს რელიგიას გვერდი უნდა ავუაროთ. რელიგიაზე საუბარი კამათისკენ გვიბიძგებს, ხოლო საუკეთესო გზა ამის თავიდან ასაცილებლად, როგორც უკვე ვთქვი, ჩვენი რელიგიების სალხში დატოვებაა. შეინახე შენი რელიგია შენსა და შენს ღმერთს შორის, რადგანაც არ აქვს მნიშვნელობა ქრისტიანი ხარ, მუსლიმი, თუ ნაციონალისტი. ჩვენ ყველას ერთი და იგივე პრობლემა გვაქვს. ისინი (იგულისხმება რასისტი თეთრკანიანები - თარჯ.) ბაპტისტობის გამო არ გკიდებენ თოკზე, არამედ იმიტომ რომ თქვენ ხართ შავკანიანები. ისინი ჩემი მუსლიმობის გამო კი არ მებრძვიან, არამედ იმიტომ რომ მე ვარ შავკანიანი. ყველა ჩვენგანს ჯოჯოხეთი ერთი მტრისგან გვერგო. ჩვენ ყველანი ერთ კალათში ვართ, ერთ ნავში ვზივართ. ჩვენ განვიცდით პოლიტიკურ ჩაგვრას, ეკონომიკურ ექსპლოატაციას და სოციალურ დეგრადაციას. ეს ყველაფერი მხოლოდ ერთი მტრისგან მომდინარეობს. სახელწიფომ იმედები გაგვიცრუა. ამას ვერ უარყოფთ. როცა ცხოვრობ მეოცე საუკუნეში, 1964 წელს, დადიხარ და მღერი „We Shall overcome", ნიშნავს იმას, რომ სახემწიფომ იმედები გაგვიცრუა. ესეც ერთ-ერთი მაგალითი იმისა, თუ რას აკეთებთ არასწორად. თქვენ ბევრს მღერიხართ. მაგრამ ახლა დროა, რომ მღერა შეწყვიტოთ და მოძრაობა დაიწყოთ. სიმღერით თავისუფლებას ვერ მიაღწევთ. მაგრამ მოძრაობით შეგიძლიათ თავისუფლებას მიაღწიოთ. კასიუს კლეის სიმღერა შეეძლო, მაგრამ ის მძიმე წონაში მსოფლიოს ჩემპიონი სიმღერით არ გახდა. ის ჩემპიონი მოძრაობით გახდა. მართლაც და, სახელმწიფომ იმედები გაგვიცურა. ასეთ სიტუაციაში სახელწიფომ თავად ჩაგვაგდო. ხოლო თეთრკანიანმა ლიბერალებმა, რომლებიც პოზიციონირებდნენ ჩვენს მეგობრებად, მათაც იმედები გაგვიცრუეს. და როცა ჩვენ ვხედავთ, რომ ყველამ იმედები გაგვიცურა, უნდა შევწყვიტოთ სხვის იმედზე ყოფნა და მხოლოდ საკუთარი თავის იმედზე ყოფნა ვისწავლოთ. ჩვენ გვჭირდება საკუთარი თავის დახმარების პროგრამა, გააკეთე შენ თვითონ ფილოსოფია, გააკეთე ახლავე ფილოსოფია, უკვე ძალიან დაგვინებულია ფილოსოფია. ეს არის ის, რაც მე და თქვენ გვჭირდება. ერთადერთი გზა, რითიც ჩვენ შეგვიძლია მოვაგვაროთ ჩვენი პრობლემები არის საკუთარი თავის დახმარების პროგრამა. ხოლო სანამ საკუთარი თავის დახმარების პროგრამა გვექნება, ჩვენ უნდა დავიწყოთ საკუთარი თავის დახმარების ფილოსოფიის კულტივირებით.

შავკანიანთა ნაციონალიზმი საკუთარი თავის დახმრების ფილოსოფიაა. რატომაა შავკანიანთა ნაციონალიზმი საუკეთსო გზა? იმიტომ რომ შენ შეგიძლია დარჩე შენს ეკლესიაში და გქონდეს შავკანიანთა ნაციონალიზმის ფილოსოფია. შენ შეგიძლია დარჩე ნებისმიერ სამოქალქო საზოგადოებაში და გქონდეს შავკანიანთა ნაციონალიზმის ფილოსოფია. შენ შეგიძლია იყო ათეისტი და გქონდეს შავკანიანთა ნაციონალიზმის ფილოსოფია. ეს არის ფილოსოფია, რომელიც ანადგურებს

ყველანაირი დაყოფის და კამათის საჭიროებას. რადგანაც, თუ შენ ხარ შავკანიანი, მაშინ შენ უნდა იფიქრო, როგორც შავკანიანმა, და თუ შენ ხარ შავკანიანი და დღემდე არ ფიქრობ როგორც შავკანიანი, მაშინ ვწუხვარ შენთვის მეგობარო.

როცა შეცვლი შენს ფილოსოფიას, მაშინ შენი აზროვნების პატერნიც იცვლება, ხოლო აზროვნების პატერნის ცვლილება შენს განწყობებს ცვლის. განწყობები თავის მხრივ შენს ქცევის პატერნებს ცვლის. შედეგად, შენ მოქმედებაში გადადიხარ. მაგრამ სანამ გაქვს მჯდომიარე პროტესტის ფილოსოფია, შენ გაქვს მჯდომიარე აზროვნების პატერნი. ხოლო სანამ ფიქრობ, რომ ამ მოძველებული მჯდომიარე პროტესტის აზროვნებით რაიმე მოქმედებას განახორციელებ, იქამდე სულ იჯდები. როცა აცხადებ, რომ აორგანიზებ მჯდომარე აქციას, ეს არ არის კარგი. ეს მაშინვე კასტრაციას გიკეთებს. ეს მაშინვე მიწასთან გასწორებს. რა მოაქვს ამას? წარმოდგინე სურათი, სადაც ვიღაცა ზის. ბებერ ქალსაც შეუძლია იჯდეს. ბებერ კაცსაც შეუძლია იჯდეს. სულელს შეუძლია იჯდეს. მშიშარას შეუძლია იჯდეს. ყველას შეუძლია იჯდეს. მე და თქვენ დიდი ხანია ვსხედვართ, და ახლა დროა ფეხზე წამოვდგეთ და შევებრძოლოთ.

თუ სამყაროში სხვა ქვეყნებს დავაკვირდებით, აღმოვაჩენთ, რომ შავკანიანი, ფერადკანიანი, და ყვითელკანიანი ხალხები აფრიკაში და აზიაში საკუთარ თავისუფლებებს აღწევენ. ისინი ამას აკეთებენ არა სიმღერით „We Shall overcome“, არამედ ნაციონალიზმით. ნაციონალიზმია, რამაც აზიელ ხალს დამოუკიდებლობა მოუტანა. აზიის კონტინენტის ყველა ერმა დამოუკიდებლობას ნაციონალიზმის ფილოსოფიით მიაღწია. აფრიკის კონტინეტის ყველა ერმა საკუთარი დამოუკიდებლობა ნაციონალიზმის ფილოსოფიით მიიღო. ამ ქვეყანაში, კი შავკანიანთა ნაციონალიზმი 22 მილიონიან აფრო-ამერიკელ ხალხს თავისფულებას მოუტანს, სადაც ჩვენ ბოლო 400 წლის გამავლობაში კოლონიზაციის მსხვერპლნი ვიყავით. ამერიკა ისეთივე კოლონიური ძალაა, როგორიც ინგლისი და საფრანგეთია. უფრო მეტიც, ამერიკა უფრო ბოროტი კოლონიკური ძალაა, ვიდრე ისინი, რადგანაც ამერიკის უკან ფარისეველი კოლონიური ძალა დგას. რას ნიშნავს მეორეხარისხოვანი მოქალაქე? სწორედ, ეს არის კოლონიალიზმი. მეორეხარისხოვანი მოქალაქეობა მე-20 საუკუნის თანამედროვე მონობაა. როგორ უნდა მითხრა, რომ მე მეორე-ხარისხოვანი მოქალაქე ვარ. დედამიწის ზურგზე, სხვა არც ერთ ქვეყანაში მეორეხარისხოვანი მოქალაქეობა არ არსებობს. სხვაგან მხოლოდ არიან მონები და თავისუფალი ადამიანები. ასე, რომ ეს ქვეყანა არის ფარისეველი. ისინი ცდილობენ და გვაფიქრებინებენ, რომ გაგვანთავისუფლეს, როცა გვიწოდებენ მეორეხარისოვან მოქალაქეებს. სინამდვილეში კი, შენ ხარ მე-20 საუკუნის მონა. როგორც ნაციონალიზმმა შეძლო აფრიკის და აზიის ქვეყნების კოლონიალიზმისგან განთავისუფლება, ასევე, ამ ქვეყანაში შავნაკნიანთა ნაციონალიზმიც 22 მილიონიანი აფრო-ამერიკელი ხალხის მხრებს და გონებას კოლონიალიზმისგან გაანთავისუფლებს.

მიმაჩნია, რომ 1964 წელი ბიულეტენის ან ტყვიის წელი იქნება. რატომ ვფიქრობ, რომ ეს წელი ბიულეტენის ან ტყვიის წელი იქნება? იმიტომ რომ, შავკანიანები უკვე ძალიან დიდი ხანია თეთრკანიანი კაცის ტყულებს და ცრუ დაპირებებს უსმენენ. და მათ ეს უკვე მოსწყინდათ. ისინი იმედგაცრუებულნი და დამცირებულნი არიან. ისინი უკმაყოფილოები არიან. ეს ყველაფერი კი შავკანიანთა ფრუსტრაციას ემატება,

რომელიც ამერიკაში შავკანიანებს უფრო ფეთქებად საშიშს ხდის, ვიდრე რუსეთის ყველა ატომური ბომბი ერთად აღებული. როცა მუხლზე რასიზმის დენთით სავსე ბარელი გიდევს, ეს უფრო საშიშია, ვიდრე მაშინ როცა მუხლზე ატომური დენთით სავსე ბარელი გიდევს. რადგანაც, როცა რასიმიზის ბარელი ფეთქდება, ის არ ითვალისწინებს იმას, თუ გზაში ვის დააზიანებს. გაიაზრეთ, რომ ის საშიშია. ხოლო 1964 წელი თითქოს ამის გააზრების წელია. რადგანაც, ვაშინგტონის მარშის არად ჩაგდების შემდეგ, თეთრკანიან კაცი თქვენს გასულელებას ვეღარ შეძლებს. თეთრკანიანმა კაცმა თქვენ მოგატყუათ. ჩაგიყვანათ ვაშინგტონში. თქვენ, კი ერთი მკვდარი თეთრკანიანი კაცის საფლავიდან სახელად ლინკოლნი მეორე თეთრკანიანი კაცის საფლავამდე სახელად ჯორჯ ვაშინგტონი, „We Shall overcome”-ის მღერით იარეთ. მაგრამ მან თქვენ გაგასულელათ. გაფიქრებინათ, რომ სადმე მიდიოდით, მაგრამ აღმოაჩინეთ, რომ ლინკლონისა და ვაშინგტონის საფლავებს ვერ გაცდით. ასე რომ დღეს, ჩვენი იმედგაცრუებული და დამცირებული ხალხი, უკმაყოფილოცაა. ხოლო ამ ფრუსტრაციაში, მათ მოქმედება სწყურიათ. იცოდეთ, რომ წელს თქვენ ახალგაზრდა შავკანიან კაცს ნახავთ, ახალ თაობას, რომელიც ითხოვს ან ბიულეტენს, ან ტყვიას. ბებერი ბიძია თომას მოქმედებები წარსულს ჩაბარდა. ახალგაზრდა თაობას აღარ უნდა გაიგოს, რომ შანსები ჩვენს წინააღმდეგა. საერთოდ რაში გვაინტერესებს ჩვენ შანსები?

სანამ ამერიკა შეიქმნებოდა, აქ იყო 13 კოლონია. მაშინ თეთრკანიანი ხალხი თავად იყო კოლონიზირებული. მაგრამ მათ წარმომადგენლობის გარეშე გადასახადების გადახდა მობეზრებული ჰქონდათ. შესაბამისად, ზოგიერთი მათგანი წამოდგა და დაიძახა „თავისუფლება ან სიკვდილი“. მე თეთრკანიანების სკოლაში დავდიოდი, ქალაქ მაისონში, მიჩიგანში. უნდა გითხრათ, რომ თეთრკანიანებმა შეცდომა დაუშვეს, როცა მათი ისტორიის წიგნები წამაკითეს. მათ შეცდომა დაუშვეს, როცა მასწავლეს, რომ პატრიკ ჰენრი და ჯორჯ ვაშინგტონი პატრიოტები იყვნენ. არც ბებერი პატი და არც ჯორჯ ვაშინგტონი არაძალადობრივები არ ყოფილან. თავისუფლება ან სიკვდილი იყო ის დევიზი, რამაც ამ ქვეყანას ინგლისისგან დამოუკიდებლობა მოუტანა. მათ არ აინტერესებდათ მათი შანასები. რატომ დაუპირისიპირდნენ უზარმაზარ ბრიტანეთის იმპერიის რისხვას? იმ დღეებში ბრიტანეთის იმპერია იყო იმდენად ძლიერი და ძლევამოსილი, რომ მას უწოდებდნენ იმპერიას, სადაც მზე არასდროს ჩადიოდა. ხედავთ რამდენად ძლიერი იყო ის, და მაინც, ამ პატარა 13-მა შტატმა, დაღლილმა წარმომადგენლობის გარეშე გადასახადების გადახდისგან, დაღლილმა ექსპლოატაციისგან, ჩაგვრისგან და დეგრადაციისგან, დიდ ბრიტანეთის იმპერიას განუცხადა „თავისუფლება, ან სიკვდილი“. ხოლო, ახლა თქვენ გყავთ 22 მილიონი აფრო-ამერიკელი შავკანიანი ხალხი, რომელიც უფრო დიდ ჯოჯოხეთს განიცდის, ვიდრე პატრიქ ჰენრის ოდესმე ენახა. თუ უკვე ვერ გაიგეთ, გეტყვით, რომ ამ ქვეყანაში თქვენ შავკანიანების ახალი თაობა გყავთ, ვისაც არ აინტერესებს შანსები. მათ არ უნდა ბიძია თომას ზღაპრების მოსმენა. არა, ეს არის ახალი თაობა. თუ სახლემწიფო ამ ახალგაზრდა შავკნაიან კაცებს კორეაში, ან სამხრეთ ვიეტნამში 800 მილიონიანი ჩინეთის წინააღმდეგ საბრძოლველად აგზავნის, ხოლო თქვენ იქაური შანსები არ გაშინებთ, მაშინ აქაური შანსებიც არ უნდა გაშინებდეთ.

რატომ უნდა იყოს ეს წელი პოლიტიკურად ფეთქებადი წელი? იმიტომ, რომ ეს საარჩევნო წელია. ეს არის წელი, როცა ყველა თეთრკანიანი პოლიტიკოსი მოვა

შავკანიანთა სამეზობლოებში. არჩევნებამდე თქვენ მათ ვერასდროს ხედავთ და ვერსად იპოვით. მაგრამ როცა არჩევნების დრო დგება, ისინი ჩვენთან ცრუ დაპირებებით მოდიან. მაგრამ წელს, როცა ისინი დაიწყებენ ამ ცრუ დაპირებების გაცემას, ჩვენი ფრუსტრაცია უფრო გაძლიერდება და სიტუაციაც უფრო გაუარესდება. მე პოლიტიკოსი არ ვარ. მე პოლიტიკის მეცნიერების სტუდნეტიც კი არ ვარ. მე არც დემოკრატი ვარ, არც რესპუბლიკელი, და არც ამერიკელი ვარ. მაგრამ საკმარისი ცოდნა მაქვს, რომ ეს ვიცოდე. მე რესპუბლიკელების მიერ ჩაგრული 22 მილიონიანი აფრო-მაერიკელი მსხვერპლიდან ერთ-ერთი ვარ. მე დემოკრატების მიერ ჩაგრული 22 მილიონიანი აფრო-მაერიკელი მსხვერპლიდან ერთ-ერთი ვარ. მე ამერიკანიზმის მიერ ჩაგრული 22 მილიონიანი აფრო-მაერიკელი მსხვერპლიდან ერთ-ერთი ვარ. დღეს მე არ ვსაუბრობ როგორც დემოკრატი, არც როგორც რესპუბლიკელი და არც როგორც ამერიკელი. მე ვსაუბრობ, როგორც მსხვერპლი ამერიკის ე.წ. დემოკრატიის. მე და თქვენ დემოკრატია არასდროს გვინახავს. ჩვენ მხოლოდ ფარისევლობა ვნახეთ. როცა ჩვენ დღეს თვალებს ვახელთ და ამერიკას ვათვალიერებთ, ვხედავთ, რომ ჩვენ არასდროს გვისარგებლია ამერიკანიზმის პრივილეგიებით, ჩვენ ყოველთვის ვიყავით ამერიკანიზმის მსხვერპლები. ჩვენ არასდროს გვინახავს ამერიკულ ოცნება (სიზმარი). ჩვენ მხოლოდ ამერიკულმა კოშმარმა დაგვტანჯა. ჩვენ ამერიკული დემოკრატიით არ გვისარგებლია. ჩვენ ამერიკულმა ფარისევლობამ გვაწამა. ის თაობა კი, რომელიც ახლა მოდის, ხედავს ამ ყველაფერს და არ ეშინია ამაზე ხმამაღალი საუბრის. თუ ამის გამო ციხეში წახვალ, მერე რა? თუ შავკანიანი ხარ, შენ ციხეში ხარ დაბადებული სამხრეთშიც და ჩრდილოეთშიც. შეწყვიტეთ სამხრეთზე საუბარი. თუ კანადის საზღვრის სამხრეთით ხარ, შენ ხარ სამხრეთში.

არ დაუძახო გუბერნატორ ვალასს (ალაბამას შტატის გუბერნატორი - თარჯ.), რომ ის დიქსი (სამხრეთელი რასისტი - თარჯ.) გუბერნატორია. სინამდვილეში, რომნია (მიჩიგანის შტატის გუბერნატორი - თარჯ.) დიქსი გუბერნატორი. დღეს ამერიკანიზმის 22 მილიონიანი შავკანიანი მსხვერპლი იღვიძებს და ისინი ახალ პოლიტიკურ ცნობიერებას ითვისებენ. ისინი პოლიტიკურად მწიფდებიან და იზრდებიან. ამ პროცესში, კი ისინი არჩევნებზე მიმდინარე ტრენდებს კარგად ხედავენ. ისინი ხედავენ, რომ თეთრების ხმები ისე თანაბრად არის გადანაწილებულები, რომ ხშირად გამარჯვებულის გამოსავლენად მიღებული ხმების ხელახალი დათვლა ხდება საჭირო. რაც გულისხმობს იმას, რომ ადამიანთა ნებისმიერ ჯგუფს, ნებისმიერი უმცირესობას, რომელიც ერთნაირად აძლევს ხმას, გააჩნია სტრატეგიული პოზიცია. გაიმარჯვებს ის, ვისაც შენ დაუჭერ მხარს. თქვენ შეგიძლიათ განსაზღვროთ, თუ ვინ წავა თეთრ სახლში და ვინ დარჩება ძაღლის სახლში. ზუსტადაც, თქვენ გაქვთ ეს ძალა. თქვენ შეგიძლიათ დატოვოთ ჯონსონი თერთ სახლში, ან თქვენ შეგიძლიათ გაუშვათ ის უკან ტექსასში, ბამბების სამკერვალოში. თქვენ იყავით ის, ვინც კენედი ვაშინგტონში გაამწესა. თეთრების ხმები თანაბრად იყო გაყოფილი. ფაქტია, რომ თქვენი ხმების 80% გაუშვით დემოკრატებთან და ამან განაპირობა დემოკრატების ყოფნა თეთრ სახლში. თუ ამას ხედავთ, ისიც დაინახეთ, რომ შანკანიანების ხმები არის გადამწყვეტი ფაქტორი. მაგრამ რას იღებთ ამის სანაცვლოდ? დღეს დემოკრატები ვაშინგტონში არიან მხოლოდ შავკანიანების ხმების გამო. ისინი იქ იყვნენ ბოლო 4 წლის განმავლობაში. ყველა კანონმდებლობა, რაც მათ ნამდვილად უნდოდათ რომ მიეღოთ, მიიღეს. ახლა კი ისევ თქვენზე დაიწყეს საუბარი. თქვენ მაშინ ისინი გაიყვანეთ პირველ ადგილზე, ხოლო მათ თქვენ ბოლო ადგილზე ჩაგაყენეს. იმიტომ

რომ თქვენ ხართ სულელები. პოლიტიკური სულელები. ვაშინგტონში, კონგრესში 257 დემოკრატია და მხოლოდ 177 - რესპუბლიკელი. სენატში 67 დემოკრატია და 33 - რესპუბლიკელი. პარტია, რომელსაც თქვენ მხარი დაუჭირეთ აკონტროლებს სენატის და კონგრესის ორ მესამედს. და მაინც, მათ არ შეუძლიათ რომ თქნვეთვის მიცემული დაპირება შეასრულონ. იცით რატომ? იმიტომ, რომ თქვენ სულელები ხართ. როცა თქვენ მთელი თქვენი ძალით მხარს უჭერთ პოლიტიკურ პარტიას, რომელიც აკონტროლებს ხელისუფლების ორ მესამედს და ამ პარტიას არ შეუძლია თქვენთვის წინასაარჩევნოდ გაცემული დაპირების შესრულება, და მაინც თქვენ ჩლუნგებივით აგრძელებთ აქეთ-იქით სიარულს და საკუთარი თავის იდენტიფიცირებას ამ პარტიასთან, მაშინ არამხოლოდ სულელი ხარ, არამედ თქვენი ხალხის მოღალატეც ბრძანდებით.

და რა სახის გამამართლებელი საბუთი, ალიბი აქვთ მათ? მათ დიქსიკრატიის უმნიშვნელო კანონებიც კი მიიღეს. როცა თქვენ ბრმა, ყრუ, სულელი, უცოდინარი და პოლიტიკურად უმწიფარი იყავით. ბუნებრივია, რომ თქვენ ამაში პრობლემას ვერ ხედავდით. მაგრამ დღეს, როცა თვალები ფართედ გაქვთ გახელილი, როცა თქვენ პოლიტიკურად მომწიფდით და ხედავთ ყველაფერს, მიხვდებით, რომ დემოკრატი კარგად შენიღბული დიქსიკრატია.

თუ დააკვირდებით სახელისუფლებო სტურუქტურებს, აღმოაჩენთ, რომ ამ ქვეყანას სენატის 16 და კონრესის 20 კომიტეტი მართავს. აღსანიშნავია, რომ სენატის 16 კომიტეტიდან 10 სამხრეთელი რასისტების ხელშია. ხოლო კონგრესის 20 კომიტეტიდან 12 სამხრეთელი რასისტების ხელშია. რა ნამუსით გვეუბნებიან, რომ სახმრეთმა წააგო ომიო. დღეს, თქვენ სამხრეთელი სეგრეგაციის მომხრეების, რასისტების, თეთრკანიანთა უპირატესობის მხარდამჭერების ხელში ხართ. ისინი წარმოადგენენ დემოკრატთა პარტიას, მაგრამ სინამდვილეში ისინი შენიღბული დიქსიკრატები არიან. დიქსიკრატი კარგად შენიღბული დემოკრატია. ვინც მართავს დემოკრატებს, ისიც დიქსიკრატია. ხოლო ყველა დიქსიკრატის მამამარჩენალი თეთრ სახლში ზის. კიდევ და კიდევ ვამბობ; თქვენ გყავთ პრეზიდენტი, რომელიც სამხრეთელი სეგრეგაციონისტია ტექსასის შტატიდან. თქვენ ტექსასშიც ისევე სწრაფან ჩაგქოლავენ, როგორც - მისისიპიში. მხოლოდ ერთი განსხვავებით, ტექსასში ტექსასური აქცენტით ჩაგქოლავენ, ხოლო მისისიპიში მისისიპური - აქცენტით.

ხოლო, როცა ის რასისტი ძალაუფლების სათავეში მოვიდა, უპირველეს ყოვლისა ყველა შავკანიანი ლიდერი ყავაზე დაპატიჟა. ამით უნოდა ყველასთვის ეჩვენებინა, რომ ის რასისტი არ არის. ჩვენმა ბიძია თომებმა კი ერთ ჭიქა ყავაზეც უარი ვერ თქვეს. შეხვედრის შემდეგ, კი ჩვენ გვიხსნიან, რომ ის კარგი კაცია, იმიტომ რომ ის არის სამხრეთიდან. და რადგანაც ის სამხრეთიდანაა, მას შეუძლია სამხრეთის საკითხი კარგად დაალაგოს. ხედავთ რა ლოგიკას ავითარებენ? და ისთლანდზე (მისისიპის სენატორი, რომსაც „თეთრი სამხრეთის“ ხმას უწოდებდნენ - თარჯ.) რას ფიქრობენ? ისთლანდიც სამხრეთიდანაა, ბარემ ის გახადეთ პრეზიდენტი. თუ ჯონსონზე ამბობთ, რომ ის კარგი კაცია, რადგანაც ის ტექსასიდანაა და მისი ტექსასური წარმოშობა მას მისცემს შესაძლებლობას, რომ სამრეთში სიტუაცია დაალაგოს. მაშინ ისთლანდი ხომ ჯონსონზე უკეთ შეძლებს სამხრეში სიტუაციის დალაგებას. ოჰ, მეგობრებო, გეუბნებით, რომ შეცდომაში ხართ შეყვანილნი, მოტყუებულნი ხართ.

რამნდენიმე კვირის წინ ვაშინგტონში, სენატში, სამოქალაქო უფლებების შესახებ კანონპროექტის განხილვას ვესწრებოდი. როცა სენატორები დემაგოგობდნენ, სენატის უკანა ნაწილში დიდი რუკა შევნიშნე, რომელზეც ამერიკაში შავკანიანთა გადანაწილება იყო ნაჩვენები. საინტერესოა, რომ ის სენატორები რომლებიც ყველაზე მეტად დემაგოგობდნენ, იყვნენ იმ შტატებიდან სადაც ყველაზე ბევრი შავკანიანი ცხოვრობს. რატომ დემაგოგობნენ ისინი ყველაზე მეტად ამ კანონის განხილვისას? იმიტომ, რომ აღნიშნული კანონპროექტი შავკანიანებს გარანტირებულად ხმის მიცემის უფლებას აძლევს. ხოლო, ამ სენატორებმა კარგად იციან, რომ თუ შავკანიანებს გარანტირებული ექნებათ ხმის მიცემის უფლება, მაშინ ისინი წარსულს ჩაბარდებიან. ამ შტატების დღევანდელი წარმომადგენლები სახლში წავლენ. ამერიკის კონსტიტუცია ამბობს, რომ, თუ რომელიმე ტერიტორიაზე კონკრეტული ხალხის საარჩევნო უფლება ირღვევა, მაშინ აღნიშნული ტერიტორიის წარმომადგენელი კონგრესიდან დათხოვნილი უნდა იყოს. და ახლა, კონსტიტუციის ეს კონკრეტული ნაწილი რომ განხორციელდეს, რატომ უნდა გყავდეს რასისტები და სეგრეგაციონისტები ვაშინგტონში? მაგრამ პრობლემა იმაშია, რომ ამ დიქსიკრატების დათხოვნა დემოკრატების დათხოვნას ნიშნავს. როცა დიქსიკრატების ძალას ანადგურებ, მაშინ დემოკრატების პარტიის ძალასაც ანადგურებ.

არ მესმის, როგორ შეუძლია დემოკრატების პარტიას გულწრფელად ჩვენი ხალხის მომხრეც იყოს სამხრეთში, და ამავე დროს, მათი მთელი ძალაუფლება სამხრეთზე იყოს დაფუძნებული? სინამდვილეში, ჩრდილოელი დემოკრატებიც სამხრეთელ დემოკრატებთან ტანდემში არიან. ისინი ძალიან დიდ პოლიტიკურ თამაშს თამაშობენ. ხომ იცით როგორ ხდება? ერთ-ერთი იმათთაგანი მოდის თქვენთან და გარწმუნებს, რომ თქვენ მხარეზეა, მაგრამ ის ასევე თანამშრომლობს იმასთან, ვინც თქვენი მტერია. რატომ? იმიტომ რომ არც ერთი მათგანი თქვენიანი არ არის. უბრალოდ იძულებულნი არიან, დაგარწმუნონ და რომელიმე მათგანს მხარი დაუჭიროთ. შესაბამისად, ეს უბრალოდ თამაშია. ეს ასე ხდება ამდენი წლის განმავლობაში.

როცა ჯონსონი პრეზიდენტი გახდა, თვითმფრინავიდან ჩამოვიდა, თუ არა იკითხა „სად არის დიკი“? იცით ვინ არის „დიკი“? დიკი სამხრეთელი ბებერი რასისტია, სახელად რიჩარდ რასელი. ხედავთ? ჯონსონის საუკეთესო მეგობარი, დიკი, იყო ერთ ერთი მთავარი დემაგოგი სამოქალაქო უფლებების შესახებ კანონპროექტის განხილვისას. შეგიძლიათ მითხრათ, როგორ შეიძლება ის ჯონსონის საუკეთესო მეგობარი იყოს? ან როგორ შეუძლია ჯონსონს იყოს მისი მეგობარიც და თქვენი მეგობარიც? არა, ის კაცი ძალიან დიდი მატყუარაა. როცა შავკანიანები დემოკრატებს ხელისუფლებაში ინარჩუნებთ, მაშინ თქვენ ხელისუფლებაში დიქსიკრატებსაც ინარჩუნებთ. ერთი ხმა დემოკრატებისთვის არის ერთი ხმა დიქსიკრატებისთვის. მესმის, რომ არ მოგწონთ, როცა ამას გეუბნებით. მაგრამ მე არ ვარ ადამიანი, რომელიც მოვა და გეტვყით იმას, რაც მოგწონთ. მე გეუბნებით სიმართლეს. მოგწონთ თუ არა ის.

ჩრდილოეთშიც ზუსტად იგივე რასისტი დემოკრატები არიან. თუმცა, აქ მათ სხვა მეთოდები გააჩნიათ. მათი მეთოდი აქ ჯერიმენდერინგია. ისინი ყველაფერს აკეთებენ, რომ ძალაუფლების სივრციდან გაგაგდონ. ჯერიმენდერინგით, ისეთ საარჩევნო სისტემას ქმნიან, სადაც თქვენი ხმა იკარგება და არავისთან მიდის. სამხრეთში ისინი პოლიტიკური მგლები არიან, ხოლო ჩრდილეოთში - პოლიტიკური მელიები. მელიაც

და მგელიც, ორივე ძაღლია, ორივე ძაღლისებრთა ოჯახს ეკუთვნის. ახლა არჩევანი თქვენზეა, ირჩევთ ჩრდილოელ ძაღლს, თუ სამხრეთელ ძაღლს? რომელი ძაღლიც არ უნდა აირჩიოთ, მე გაძლევთ გარანტიას, რომ თქვენ ძაღლის ხელში აღმოჩნდებით. ამიტომაც, დღეს ვაცხადებ: ბიულეტენი ან ტყვია. თავისუფლება ან სიკვიდლი. თავისუფლება ყველასთვის, ან თავისუფლება არავისთვის.

ამერიკამ დღეს საკუთარი თავი უნიკალურ სიტუაციაში აღმოაჩინა. ისტორიულად რევოლუციები ყოველთვის სისხლიანი იყო. არასდროს არ ყოფილა უსისხლო, ან არაძალადობრივი რევოლუცია. ეს ჰოლივუდშიც კი არ ხდება. არ არსებობს რევოლუცია, სადაც შენი მტერი გიყვარს. არ არსებობს რევოლუცია, სადაც ექსპლოატატორს ეხვეწები, რომ შენი ინტეგრაცია მოახდინოს. რევოლუციები ატრიალებენ სისტემებს. რევოლუციები ანადგურებენ სისტემებს. რევოლუციები სისხლისნია. მაგრამ დღეს ამერიკა უნიკალურ სიტუაციაშია. ამერიკა ერთადერთი ქვეყანაა ისტორიის გამავლობაში, რომელსაც შეუძლია უსისხლო რევოლუცია ჰქონდეს. რუსეთის, ჩინეთის, საფრანგეთის, კუბის რევოლუციები სისხლიანი იყო. ხოლო, ამერიკის რევოლიუციაზე უფრო სისხლიანი რევოლუცია არც კი ყოფილა. თუმცა, დღეს ამ ქვეყანას შეუძლია, რომ ჩაერთოს უსისხლო რევოლუციაში. ამისთვის, ამერიკამ შავკანიან კაცს უნდა დაუბრუნოს ყველაფერი, რაც მას წაართვა.

იმედი მაქვს, რომ თეთრკანიანი კაცი ამას ხედავს. იმიტომ, რომ თუ ისინი ამ პროცესს ვერ ხედავენ, მაშინ მათი საქმე წასულია. შენი საქმე ცუდადაა, თუ ვერ ხედავ, რომ მოგიწევს ჩაერთო ისეთ პროცესში, რომელშიც გამარჯვების შანსი არ გაქვს. მით უმეტეს, მაშინ როცა ჩვენ არ გვეშინია შენი ატომური ბომბის. ეს ბომბი არაფერში გამოგადგება, რადგანაც ატომური ბომბი სხვა ქვეყნებსაც აქვთ. როცა ორ ან სამ ქვეყანას ატომური ბომბი აქვთ, არავის არ შეუძლია მისი გამოიყენება. რაც ნიშნავს იმას, რომ დღეს თეთრკანიანი კაცი იარაღის გარეშეა დარჩენილი. თუ მოქმედება გინდა, მიწაზე უნდა დაეშვა. მაგრამ აქ უფრო მეტი შავკანიანია, ვიდრე თეთრკანიანი.

მე მხოლოდ რამდენიმე წუთი დამრჩა. ამიტომ მოკლედ ვისაუბრებ.

თეთრკანიანები ხმელეთზე ომს ვეღარასდროს მოიგებენ. მათი გამარჯვების დღეები წარსულს ჩაბარდა. შემიძლია, თუ არა ამის დამტკიცება? რა თქმა უნდა, კი. შევხედოთ ყველა ომს, სადაც ისინი ჩართულნი არიან. მითხარით, სად იმარჯვებენ? არსად. ბრინჯის ყანების გლეხებმა გააგდეს ისინი კორეიდან. დიახ, თეთრკანიანები კორეიდან გაიქცნენ. სავარჯიშო ფეხსაცმელში გამოწყობილმა გლეხებმა, თოფით და ერთი თეფში ბრინჯით ხელში, თეთრკანიანები გააგდეს. ტანკებმა და ბომბებმა ვერ უშველა თეთრკნაიანებს. რატომ? იმიტომ, რომ ის დღეები, როცა ისინი ხმელეთზე ომს იგებდნენ წარსულს ჩაბარდა. ფრანგულ ინდო-ჩინეთში იმ პატარა სოფლელებმა, ბრინჯის ფერმერებმა ფრანგული ჯარი დაამარცხეს და ყველა ფრანგი გააქციეს. გახსოვთ დიენ ბიენ ფუ. არა.

ზუსტად იგივე მოხდა ალჟირშიც, აფრიკაში. ალჟირელებს არაფერი ჰქონდათ, გარდა თოფისა. ფრანგებს კი ომის წარმოებისთვის მაღალტექნოლოგიური იარაღები ჰქონდათ. მაგრამ როცა ალჟირელებმა პარტიზანული მოქმედებები დაიწყეს, თეთრკანიანმა კაცმა ვეღარ იბრძოლა პარტიზანების წინააღმდეგ. პარტიზანული ომი მოითხოვს გულს, მოთხოვს ნერვებს, ხოლო თეთრკანიანებს ის არ აქვთ.

თეთრკანიანები გულადები არიან, როცა მათ აქვთ ტანკები. ისინი უშიშრები არიან, როცა მათ გვერდით ძალიან ბევრი ადამიანია. მაგრამ როცა აფრიკელი და აზიელი „სუსტი“ კაცები ხმალს იმარჯვებენ, ყველაფერი თანაბრდება.

შესაბამისად, ჩვენ ვითხოვთ: ბიულეტენი ან ტყვია. დღეს ჩვენი ხალხი ხედავს, რომ ჩვენ სახელისუფლებო კონსპირაციის წინაშე ვართ. სახელმწიფომ იმედები გაგვიცრუა. სენატორები, რომლებიც დემაგოგობენ ჩემი და თქვენი საარჩევნო უფლებების წინააღმდეგ, აი, ესაა ჩვენი სახელმწიფოს დღევანდელი სახე. არ თქვათ, რომ ისინი სამხრეთელი სენატორები არიან. მთელი სახელმწიფო ასეთია. ეს სახელმწიფო დემაგოგიაა. ეს სეგრეგაციონისტების დემაგოგია არ არის. ეს სახელწიფო დემაგოგიაა. ნებისმიერ ქმედება, რაც კონგრესში, ან სენატში ხორციელდება, წარმოადგენს სახელმწიფოს. ნებისმიერი ქმედება, რაც მიზნად ისახავს წაგვართვას ჩემი და თქვენი უფლებები, სახელმწიფოს პასუხისმგებლობაშია. ხოლო, როცა სახელმწიფოს კონსპირაციას ხედავ, რომელიც ჩაგრავს მოქალაქეების უფლებებს და ხალხის სამოქალაქო უფლებებს, დროს ფუჭად ხარჯავ იმის ლოდინში, რომ ეს სახელმწიფო შეიცვლება. ნაცვლად ამისა, შენ ეს სახელწიფო მსოფლიოს სასამართლოს წინაშე უნდა დააყენო და ბრალი წარუდგინო გენოციდში და სხვა დანაშაულებებში, რაზეც ის დღეს პასუხისმგებელია.

შესაბამისად, ისინი, ვინც საკუთარ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ ფილისოფიად შავკანიანთა ნაციონალიზმს მიიჩნევს, ჩართულნი ვართ სამოქალაქო უფლებებისთვის ბრძოლაში. ჩვენ დავაჯერეთ საკუთარ თავს სამოქალქო უფლებებისთვის ბრძოლა. ახლა კი, ეს ბრძოლა სამოქალაქო უფლებების დონიდან ადამიანის უფლებების დონეზე უნდა გადავიყვანოთ. რადგანაც, როცა შენ იბრძვი სამოქალაქო უფლებების დონეზე, მაშინ ბიძია სემის იურისდიქციის ქვეშ ხარ. შენ მიდიხარ მის სასამართლოში და ელოდები, რომ მან გამოასწოროს პრობლემა, რომელიც თვითონ შექნა. ამ შემთხვევაში, ის თავად არის დამნაშავე. დანაშაული დამნაშავეს კი არ უნდა მისცე განსახილველად. პირიქით, დამნაშავე უნდა წარადგინო სასამართლოს წინაშე. როცა სამხრეთ აფრიკის მთავრობამ დაარღვია ადამიანის უფლებები სამხრეთ აფრიკაში, მაშინ ხალხმა მთავრობა წარადგინა გაეროს წინაშე. როცა პურტუგალიის ხელისფულებამ დაარღვია ჩვენი ანგოლელი ძმების და დების უფლებები, მაშინ პორტუგალია გაეროს წინაშე წარადგინეს. რატომ შეუძლიათ თეთრკანიანებს უნგრეთის საკითხიც კი გაეროს წინაშე დააყენონ? ამ კვირაში, მთავარმა მოსამართლემ, გოლბერგმა რუსეთში სამი მილიონი ებრაელის უფლებების შესახებ საკითხი გაეროში დააყენა. მას უნდა ადამიანის უფლებების უგულებელყოფისთვის რუსეთის დასაჯონ, იმიტომ რომ რუსეთში ებრაელებს არასწორად ექცევიან.

ნებისმიერი ხალხის ხმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებში ისმის. გაეროში ყველას საკუთარი წუხილების გახმოვანება შეუძლია. მაგრამ 22 მილიონიანს აფრო-ამერიკელს ხმა არ ისმის, რომლეთა საარჩევნო უფლებაც შეზღუდულია, რომელთა გოგონებსაც ხოცავენ, რომელთა ლიდერებსაც მზის სინათლეზე კლავენ. მითხარით, აქამდე რატომ არ დააყენეს ჩვენმა ლიდერებმა ეს საკითხი გაეროში? ჩვენი შემდეგი ნაბიჯი სამოქალქო უფლებების საკითხის გაეროში გატანა უნდა იყოს, უნდა

ვანახოთ მთელს მსოფლიოს, რომ ბიძია სემი 22 მილიონიანი აფრო-ამერიკელს ჩაგრავს და მათ უფლებებს სასტიკად არღვევს.

თუმცა, ბიძია სემი ურცხვი გამბედაობით საკუთარ თავს თავისუფალი სამყაროს ლიდერად წარმოგვიდგენს. ის არამოხლოდ მატყურაა, არამედ - ფარისეველიცაა. ბიძია სემი, რომელსაც ჩემი და თქვენი წინაპრების სიხლით აქვს ხელები დასვრილი, რომლის კბილებიდან, პირსისხლიანი მგლის მსგავსად, ჩვენი სისხლი წვეთავს, ურცხვად, სხვა ქვეყნებისკენ უშვერს თითებს. ჩვენ აქ სამოქალქო უფლებებიც კი არ გვაქვს უზრუნველყოფილი და ის ურცხვად სამხრეთ აფრიკაზე და ფაშისტურ გერმანიაზე საუბრობს.

მე, ჩემს შემაჯამებელ სიტყვაში გთავაზობთ, რომ გავერთიანდეთ. ხოლო, ამ ერთიანობაში შავკანიანთა ნაციონალიზმი იყოს ამოსავალი ფილოსოფია. როგორ უნდა გადავლახოთ ერთმანეთის მტრობა? საერთოდ, რატომ არსებობს ეს მტრობა? იმიტომ, რომ ეს მათი სტრატეგიაა: დაყავი და იბატონე. ისინი გადაგვკიდებენ ერთმანეთს, რომ იბატონონ ჩვენზე. გეუბნებიან, რომ მე სეპარაციას (გაყოფას) ვემხრობი, ხოლო თქვენ ინტეგრაციას. არა, მე არ მინდა სეპარაცია, ხოლო, თქვენ არ გინდათ ინტეგრაცია. მე და თქვენ გვინდა თავისუფლება. უბრალოდ, თქვენ ფიქრობთ, რომ თავისუფლებამდე ინტეგრაცია მიგიყვანთ, ხოლო მე ვფიქრობ, რომ თავისუფლებამდე სეპარაცია მიგვიყვანს. ჩვენ ერთი და იგივე მიზანი გვაქვს, ჩვენ მხოლოდ, მიზნამდე მისასვლელი გზები გვაქვს განსხვავებული.

მინდა გითხრათ, რომ მე ვაკვირდებოდი რელიგიურ ლიდერს, ბილი გრაჰამს, რომელიც თეთრკანიანთა ნაციონალიზმს ქადაგებს. ისე, რომ იცოდეთ, ამ ქვეყანაში ყველა ეკლესია ეფუძნება თეთრკანიანთა ნაციონალიზმს. შედით, დაათვალიერეთ თეთრკანიანთა ეკლესიები. იქ იესოც, მარიამიც და ღმერთიც კი თეთრკანიანია. აი, ეს არის თეთრკანიანთა ნაციონალიზმი. შესაბამისად, გრაჰამის თეთრკანიანთა ნაციონალიზმის ქადაგება ადვილად იმალება ამ ეკლესიებში. სხვა შემთხვევაში დაპირისპირება ექნებოდა სხვა ეკლესიების წინამძღვრებთან. მაგრამ ის დადის სხვადასხვა ეკლესიებში და ქადაგებს თეთრკანიანთა ნაციონალიზმს და არავინ არ ეწინააღმდეგება მას.

ჩვენც იგივე უნდა გავაკეთოთ. უბრალოდ, მისგან განსხვავებით, ჩვენი სახარება შავკანიანთა ნაციონალიზმი იქნება. როგორც უკვე გითხარით, თქვენ უნდა მართოთ თქვენი თემის და სამეზობლოს პოლიტიკა და ეკონომიკა. საზოგადოების ყველა სფერო, სადაც თქვენ ცხოვრობთ უნდა იყოს თქვენი კონტროლის ქვეშ. და როცა იგრძნობთ, რომ ეს ფილოსოფია დაგეხმარებათ თქვენი პრობლემების მოგვარებაში, წადით და შეუერთდით ნებისმიერ ეკლესიას, სადაც ამას ქადაგებენ. მაგრამ არ შეურთდეთ ეკლესიას, სადაც თეთრკანიანთა ნაციონალიზმს ქადაგებენ. თუ ხართ შავკანიანთა ეკლესიაში, მაგრამ ხედავთ თეთრკანიან მარიამს და თეთრ ანგელოზებს, მაშინ შავკანიანთა ეს ეკლესია თეთრკანიანთა ნაციონალიზმს ქადაგებს. შორს დადექით ასეთი ეკლესიებისგან. მაგრამ როცა მიდიხარ და ხედავ, რომ პასტორს გააჩნია ფილოსოფია და პროგრამა, რომელიც მიმართულია იქეთ, რომ შავკანიანი ხალხი გააერთიანოს და გაამლიეროს, გაწევრიანდი ამ ეკლესიაში. თუ ხედავ რომ NAACP (ფერადკანიანი ხალხის გამლიერების ეროვნული ასოციაცია - თარჯ.) ქადაგებს და მუშაობს იმისთვის, რომ შავკანიანთა ნაციონალიზმის ხელშესახები

გახადოს, შეურთდი NAACP-ს. გაწევრიანდი ნებისმიერ სამოქალქო, რელიგიურ, საწევრო, პოლიტიკურ ან სხვა ტიპის ორგანიზაციაში, რომელიც მიზნად ისახავს შავკანიანების გაძლიერებას.

ეს იქნება ბიულეტენი, ან ეს იქნება ტყვია. ეს იქნება თავისუფლება, ან ეს იქნება სიკვდილი. და თუ მზად არ ხარ, რომ გადაიხადო ეს ფასი, მაშინ აღარ ახსენო სიტყვა „თავისუფლება“.

ერთი საკითხიც: ამას წინათ, ილინოისში სენატორ პოლ დუგლასთან ერთად ერთ-ერთ შეხვედრაზე ვიყავი. როგორც ე.წ. ლიბერალმა, ე.წ. დემოკრატმა, ე.წ. თეთრკანიანმა კაცმა, მან მითხრა, რომ ჩვენი აფრიკელი დები და ძმები ჩვენით დაინტერესებულნი არ არიან. მან მითრა, რომ აფრიკელებს შავკანიანი ამერიკელები არ აინტერესებთ. მე ვიცი, რომ ის ტყუის, მაგრამ გადავწყვიტე, რომ შემდეგი ორი-სამი კვირის განმავლობაში დავგეგმო ტური ჩვენს სამშობლოში, აფრიკაში. იმედი მაქვს, როცა დავრბუნდები, შევძლებ მოგახსენოთ, თუ ჩვენს მიმართ რას განიცდიან ჩვენი აფრიკელები. სანამ წავალ იქ, ზუსტად ვიცი, რომ ვუყვარვართ. ჩვენ ერთნი ვართ. ჩვენ მსგავსნი ვართ. იგივე კაცმა, რომელმაც მოახდინა მათი კოლონიზება, მოახდინა ჩვენი კოლონიზებაც. შესაბამისად, ჩვენ გავიღვიძებთ და ვიმუშავებთ ერთიანობაში და ჰარმონიაში. შედეგად ომიც დამთავრდება.

მე მინდა მადლობა გადავუხადო „თავისუფლება ახლა პარტიას“. მინდა მადლობა გადავუხადო მილთონ და რიჩარდ ჰენლის ჩემი აქ დაპატიჟებისთვის. ასევე, რევერენ ქლიგს. და მინდა მათ იცოდნენ, რომ ერთი ზარია საკმარისი, რომ ჩავჯდე თვითმფრინავში და მოვიდე აქ. რათა გავანადგუროთ პოლიტიკური, ეკონომიკური, და სოციალური ბოროტებები, რომელიც ბარიერებს უქმნის ჩვენს ხალხს, დეტროიდში, თუ ნებისმიერ ადგილას.

ასაკი, რასა, კლასი და სქესი: განსხვავებულობის გადაფასება ქალების მიერ - ოდრი ლორდი

მთარგმნელი: *მარიამ შალვაშვილი*

ოდრი ლორდი (1934 – 1992) *იყო ამერიკელი პოეტი, მწერალი, თეორეტიკოსი და აქტივისტი. ის ამტკიცებდა, რომ ადამიანებს შორის არსებობს განსხვავებები, რომლებიც აუცილებლად უნდა ვაღიაროთ, მაგრამ არ განვსაჯოთ. ლორდი ეწინააღმდეგებოდა იმ აზრს, რომ ქალებსა და კაცებს შორის არსებობს მარტივი ბინარულობა და მიიჩნევდა, რომ რეალობა ბევრად უფრო კომპლექსურია, ამიტომ დიდი მნიშვნელობა უნდა ენიჭებოდეს ადამიანის კლასს, რასას, ასაკს, სექსუალობას. ხოლო მოგვიანებით, როდესაც დაავადდა სიმსივნით, იგი საუბრობდა შეზღუდული შესაძლებლობების ასპექტზეც. ოდრი ლორდი ფემინისტურ თეორიაში ინტერსექციულობის ერთ-ერთ ფუძემდებლად მიიჩნევა.*

ოდრი ლორდის ეს ტექსტი წარმოადგენს 1980 წელს ამერსტის კოლეჯში საჯარო გამოსვლის ჩანაწერს, რომელიც 1984 წელს დაიბეჭდა ლორდის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილ კრებულში: "Sister Outsider." იმის მიუხედავად, რომ ოდრი ლორდის ეს გამოსვლა, ძირითადად, გამდიდრებულია ხელოვნებასთან დაკავშირებული მაგალითებით, ის მაინც აშკარად აჩვენებს ფემინისტური მოძრაობების, შავკანიან თემში არსებული დისკურსების და ზოგადად, მთლიანი საზოგადოების კრიტიკას, ადამიანთა გარიყვისა და გათიშულობების მიზეზებს და მათი გადაწყვეტის გზებს.

დასავლური ისტორიის დიდი ნაწილის ზეგავლენით, ადამიანთა შორის განსხვავებულობას მარტივ, ერთმანეთთან დაპირისპირებულ ცნებებად ვხედავთ: გაბატონებული/დამორჩილებული, კარგი/ცუდი, ზემდგომი/დაქვემდებარებული. იმ საზოგადოებაში, სადაც, ადამიანთა საჭიროებების მაგივრად, სიკეთეები ეკონომიკური სარგებლის მიხედვით იზომება, ყოველთვის იარსებებს ადამიანთა ჯგუფები, რომლებიც გამუდმებული ჩაგვრის მეშვეობით წარმოისახებიან როგორც ზედმეტები, ნარჩენები, რათა დაიკავონ ადამიანობადაკარგული და დაქვემდებარებული ადგილი. ჩვენს საზოგადოებაში ეს ჯგუფი წარმოადგენს შავკანიანებს, მესამე სამყაროს ადამიანებს, მუშათა კლასს, მოხუცებსა და ქალებს.

როგორც ორმოცდაცხრა წლის შავკანიანი ლესბოსელი ფემინისტი სოციალისტი და ორი შვილის დედა (რომელთაგან ერთ-ერთი ბიჭია) და როგორც სხვა რასის წარმომადგენელთან რომანტიკულ ურთიერთობაში მყოფი, მე ხშირად მოვიაზრები ხოლმე უცხო, ნორმებიდან გადახრილი, დაქვემდებარებული ან უბრალოდ, მიუღებელი ჯგუფის წევრად. ტრადიციულად, ამერიკულ საზოგადოებაში, ჩაგრული წევრებისგან, განივთებული წევრებისგან ელიან, რომ სწორედ ჩვენ უნდა მოვინდომოთ და აღვადგინოთ ჩატეხილი ხიდი ჩვენს ყოველდღიურ რეალობასა და მჩაგვრელის შეგნებას შორის. ჩვენ, ვისთვისაც ჩაგვრა ამერიკაში ცხოვრების ყოველდღიური ნაწილია, თავის გადასარჩენად ყოველთვის იძულებულები ვიყავით, ახლო დამკვირვებლის როლი მოგვერგო, მჩაგვრელის ენა და ზნე შეგვესწავლა და ხანდახან მისი ქცევა გაგვემეორებინა კიდეც ილუზორული დაცულობის იმედით. როდესაც ჩვენს შორის მოჩვენებითი კომუნიკაციის საჭიროება დგება, ისინი, რომლებიც ჩვენი ჩაგვრით ხეირობენ, ჩაგრულებს მოგვიწოდებენ, მათ შეცდომებზე მივუთითოთ. მე მიწევს ის მასწავლებლები განვანათლო, რომლებიც სკოლაში ჩემი შვილების კულტურას უგულებელყოფენ. შავკანიანი და მესამე სამყაროში მცხოვრები ადამიანებისგან ელიან, რომ თეთრკანიანები გაანათლონ. ქალებისგან ელოდებიან, რომ ისინი მამაკაცებს გაანათლებენ. ლესბოსელი და გეი ადამიანებისგან კი ელიან,

რომ ჰეტეროსექსუალურ სამყაროს შეგნებას აუმაღლებენ. ამ დროს კი მჩაგვრელები საკუთარ პოზიციებს ინარჩუნებენ და საკუთარი ქმედებებისთვის პასუხისმგებლობას ირიდებენ. ეს მუდმივად გვაცლის ჩაგრულ ჯგუფებს ძალას, რომელიც საკუთარი თვითგამორკვევისთვის, რეალური გეგმების შემუშავებისთვის, აწმყოს ცვლილებისა და მომავლის შენებისთვის შეგვეძლო გამოგვეყენებინა.

განსხვავებულობის ინსტიტუციონალიზებული მიუღებლობა აუცილებელია ეკონომიკურ სარგებელზე დაშენებული ეკონომიკისთვის, რომელიც ადამიანების გარკვეულ ჯგუფს უცხოებად აქცევს და მათ „ნარჩენად“ მოიაზრებს. ამ ეკონომიკური წესრიგის მონაწილეები მიჩვეულები ვართ, ადამიანებს შორის განსხვავებულობებს შიშითა და ზიზღით ვუპასუხოთ და გავუმკლავდეთ სამიდან ერთ-ერთი საშუალებით: ან დავაიგნოროთ ისინი, ხოლო თუ ეს შეუძლებელია, გადმოვიღოთ და გავიმეოროთ ის ნიშნები, რომლებიც დომინანტური გვგონია და მოვსპოთ ის ნიშნები, რომლებიც ქვემდგომი გვგონია. ჩვენ არ გვაქვს ადამიანურ განსხვავებულობებს შორის თანასწორუფლებიანი კავშირების დამყარების მაგალითები. ამიტომაც, ადამიანთა შორის განსხვავებებს არასწორი სახელი ერქმევა და გამოიყენება ჩვენს შორის გათიშულობისა და გაურკვევლობების ჩამოყალიბებისთვის.

რა თქმა უნდა, არსებობს განსხვავებები ჩვენს რასას, ასაკსა და სქესს შორის, მაგრამ ერთმანეთს ჩვენ ეს განსხვავებები არ გვაშორებს. სინამდვილეში, ერთმანეთს გვაშორებს განსხვავებების არაღიარება და გაუცნობიერებლობა უთანასწორობისა, რომელსაც იწვევს განსხვავებულობისთვის არასწორი სახელის დარქმევა და უთანასწორობის გავლენა ადამიანების ქცევასა და მოლოდინებზე.

რასიზმი, რწმენა იმისა, რომ ერთი რასა უპირობოდ მეორეზე უფრო მაღლა დგას და აღმატებულობის უფლება აქვს. სექსიზმი, რწმენა იმისა, რომ ერთი გენდერი უპირობოდ მეორეზე მეტია და აღმატებულობის უფლება აქვს. ასაკობრივი დისკრიმინაცია. ჰეტეროსექსიზმი. ელიტიზმი. კლასიზმი.

თითეული ჩვენგანისთვის ცხოვრებისეული მიზანი უნდა იყოს, რომ ყოველდღიურობაში ამოვიცნოთ უთანასწორობები, რომლებიც თავს მოხვეულია ჩვენს შორის განსხვავებულობების საფუძველზე. განსხვავებები კი ჩვენვე უნდა ვაღიაროთ, ჩვენ განვსაზღვროთ და ჩვენსავე სასიკეთოდ გამოვიყენოთ. ჩვენ იმ საზოგადოებაში გავიზარდეთ, სადაც უთანასწორობა ყოველდღიურობის განუყოფელი ნაწილია. ძალიან ხშირად ენერგიას, რომელსაც უნდა ვიყენებდეთ განსხვავებულობის ძიებაში, აღმოჩენასა და გამოვლენაში, ვხარჯავთ თავის მოტყუებაში - თითქოს განსხვავებები ან გადაულახავი ბარიერია, ან სრულიად არ არსებობს. ამას შედეგად მოაქვს ნებაყოფლობითი გათიშულობა, ან დამღუპველი და არასანდო კავშირების ფორმირება. არცერთ აღნიშნულ შემთხვევაში ადამიანებს შორის განსხვავებულობას არ ვიყენებთ, რომ რეალობა შევცვალოთ შემოქმედებითი გზებით. ჩვენ ხშირად ადამიანებს შორის განმასხვავებელ ნიშნებზე კი არ ვსაუბრობთ ხოლმე, არამედ ნორმიდან გადახრაზე.

სადღაც, ცნობიერების რომელიღაც კუნჭულში, არსებობს ნორმები, რომლებსაც მე „მითიურს“ ვუწოდებ. თითოეულმა ჩვენგანმა გულის სიღრმეში იცის, რომ ამ ნორმისგან განსხვავებულია. ამერიკაში, როგორც წესი, ნორმას წარმოადგენს

თეთრკანიანი, გამხდარი, ახალგაზრდა, ჰეტეროსექსუალი, ქრისტიანი და ფინანსურად უზრუნველყოფილი მამაკაცი. ჩვენს საზოგადოებაში არსებული ძალაუფლება თავმოყრილია ამ მითიურ ნორმაში. ისინი კი, რომლებიც ამ ძალაუფლების მიღმა ვდგავართ, ხშირად ვირჩევთ მხოლოდ ერთ ნიშანს, რომელიც ნორმისგან განსგვასხვავებს და მივიჩნევთ, რომ სწორედ ეს ნიშანია ყველანაირი ჩაგვრის მთავარი წყარო, მაგრამ გვავიწყდება, რომ არსებობს სხვა უთანასწორობებიც, რომლებიც დაშენებულია განსხვავებულობაზე და შეიძლება რაღაც შემთხვევებში ჩვენც წარმოვადგენდეთ მჩაგვრელებს. ქალთა მოძრაობებში დღეს თეთრკანიანი ქალები უმეტესწილად ყურადღებას ამახვილებენ ჩაგვრაზე, რომელსაც ქალები განიცდიან ქალად ყოფნის გამო. ეს მოძრაობები ყურადღების მიღმა ტოვებენ ქალებს შორის განსხვავებულობას რასის, სექსუალური პრეფერენციების, კლასისა და ასაკის მიხედვით. არსებობს პრეტენზია ქალთა გამოცდილებების ერთგვაროვნების შესახებ, რასაც ხშირად ნიღბავენ ტერმინით „დობა“ [sisterhood], თუმცა, სინამდვილეში, ჩვენს შორის დობა არ არსებობს.

არაღიარებული კლასობრივი განსხვავებები ქალებს საშუალებას ართმევს, ერთმანეთს ძალა და საკითხების შემოქმედებითი ცოდნა გაუზიარონ. ამ ბოლო დროს ქალების ერთ-ერთი ჟურნალის კოლექტივმა მიიღო გადაწყვეტილება, ჟურნალში მხოლოდ და მხოლოდ პროზა დაებეჭდათ, რაც იმ არგუმენტით ახსნეს, რომ პოეზია უფრო ნაკლებად „სრულყოფილი“ და ნაკლებ „სერიოზული“ ხელოვნების ფორმაა. მაგრამ ისიც კი კლასობრივი საკითხია, თუ რა ფორმით გამოვხატავთ ჩვენს შემოქმედებით უნარს. ყველა სხვა ხელოვნების ფორმასთან შედარებით, პოეზია ყველაზე ეკონომიურია. ის ყველაზე მეტად მალულია და ყველაზე ნაკლებ ფიზიკურ შრომას მოითხოვს, ყველაზე ნაკლებ მატერიალურ მასალას. ის შეიძლება შეიქმნას სამსახურში - შესვენების დროს, ან საავადმყოფოს ბუფეტში ან მეტროში და ჩაიწეროს ქაღალდის ნაგლეჯზე. ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე რომანის დაწერა ხელმომჭირნე პირობებში რომ მიწევდა, დავაფასე ის უზარმაზარი განსხვავება, რაც პოეზიისა და პროზის დაწერისას საჭირო მატერიალურ მასალას შორის არსებობს. ლიტერატურის გადაფასების პროცესში, სწორედ პოეზია აღმოჩნდა ღარიბების, მუშათა კლასის, ფერადკანიანი ქალების ყველაზე ძლიერი ხმა. პროზის დასაწერად ადამიანს სჭირდება ცალკე ოთახი, ქაღალდების დასტა, საბეჭდი მანქანა და ძალიან ბევრი თავისუფალი დრო. ვიზუალური ხელოვნების ნიმუშის შესაქმნელად საჭირო მასალები რომ ჩამოვთვალოთ, მივხვდებით, თუ ვის, რომელ კლასს ეკუთვნის ეს კონკრეტული ხელოვნების დარგი. დღეს, როდესაც ხელოვნების მატერიალური რესურსების ფასები ასეთი მაღალია, ვინ წარმოადგენენ ჩვენს მოქანდაკეებს, მხატვრებს, ფოტოგრაფებს? როდესაც ქალების მიერ შექნილ კულტურაზე ვსაუბრობთ, ინფორმაცია უნდა გვქონდეს კლასობრივი და ეკონომიკური განსხვავებების შესახებ, რომლებიც ხელოვნების შესაქმნელად საჭირო რესურსებზე წვდომას განსაზღვრავს.

როდესაც ისეთი სოციუმის შექმნისკენ მივისწრაფით, სადაც თითოეულ ჩვენგანს განვითარების საშუალება გვექნება, ასაკი უთანასწორობის კიდევ ერთი შეუმჩნეველი წყაროა. წარსულის უგულებელყოფის გამო ჩვენ განწირული ვართ გავიმეოროთ წარსული შეცდომები. სოციუმში „თაობათა შორის უფსკრულის“ გაჩენა ხმების ჩახშობის ერთ-ერთი ძირითადი მექანიზმია. თუ საზოგადოების ახალგაზრდა წევრები მოხუც წევრებს უყურებენ ეჭვის თვალით ან ზიზღით და მიიჩნევენ, რომ ისინი

საზოგადოებისთვის ტვირთს წარმოადგენენ, მაშინ ისინი ვერასდროს შეძლებენ გაერთიანებას, საზოგადოების ცოცხლად შემორჩენილი მოგონებების შესწავლას ან ყველაზე მნიშვნელოვანი კითხვის დასმას, „რატომ ხდება ასე?“ უფროსი თაობის უგულებელყოფა ხელს უწყობს ისტორიის მიმართ ამნეზიას და ყოველ ჯერზე ველოსიპედის ახლიდან გამოგონება გვჭირდება.

ჩვენ იმავე შეცდომებზე გვიწევს ხელახლა სწავლა, რაზეც ჩვენს დედებს უწევდათ. ამის მიზეზი ისაა, რომ თაობები ცოდნას ერთმანეთს ან არ გადავცემთ, ან კიდევ ერთმანეთს არ ვუსმენთ. დავფიქრდეთ, ეს ყველაფერი წარსულში რამდენჯერ ყოფილა ნათქვამი? და ვინ იფიქრებდა, რომ ჩვენი ქალიშვილები კვლავ დაუშვებდნენ, მათი სხეულები შეებოჭათ კორსეტებს, მაღალქუსლიან ფეხსაცმელებსა და კოჭებთან გაკვანძულ კაბებს?

ქალებს შორის რასის გამო არსებული განსხვავებების და ამ განსხვავებების მიღმა ნაგულისხმები შინაარსების არაფრად ჩაგდება ქალების ერთიანი ძალის მობილიზებას ყველაზე დიდ საფრთხეს უქმნის.

როცა თეთრკანიანი ქალები არად აგდებენ მათი თეთრკანიანობისგან განუყოფელ პრივილეგიებს და როცა ქალობას განსაზღვრავენ მხოლოდ და მხოლოდ თავიანთი გამოცდილებით, ფერადკანიანი ქალები ხდებიან „სხვები,“ გარეშე პირები, რომელთა გამოცდილება, ან ტრადიცია დანარჩენებისთვის გასაგებად უკიდურესად უცხოა. ამის მაგალითი არის ქალთა კვლევების სწავლებისას კურსებში ფერადკანიანი ავტორების ნაშრომების სიმწირე. ფერადკანიანი ქალების ლიტერატურა იშვიათად არის გამოყენებული ქალთა ლიტერატურის კურსებში და თითქმის არასდროს არის შეყვანილი ზოგადი ლიტერატურის კურსებში, ან ქალთა კვლევების სწავლებისას. ძალიან ხშირად ამას იმით ამართლებენ, რომ მათი გამოცდილებები „ზედმეტად განსხვავებულია“ და ამის გამო ფერადკანიანი ქალების ლიტერატურა მხოლოდ ფერადკანიანი ქალების მიერ უნდა ისწავლებოდეს, ან რომ ეს ლიტერატურა გასაგებად ძალიან რთულია, სპეციფიკურია და ამას გაკვეთილებზე ღრმად ვერ გაარჩევენ. მე ეს არგუმენტი ხშირად მომისმენია იმ თეთრკანიანი ქალების მიერ, რომლებიც ძალიან ღრმა ინტელექტით გამოირჩევიან და რომლებსაც სრულიად არ უჭირთ, ასწავლონ ან გაარჩიონ ნაშრომები, რომლებიც დაწერილია სრულიად სხვა კონტექსტში, მაგალითად, შექსპირის, მოლიერის, დოსტოევსკის, არისტოფანეს მიერ. ამის გამო ვფიქრობ, პრობლემის ახსნა სხვაგან უნდა ვეძებოთ.

ეს საკმაოდ კომპლექსური საკითხია, მაგრამ მე მჯერა, რომ ერთ-ერთი მიზეზი იმისა, თუ რატომ აქვთ თეთრკანიან ქალებს შავკანიანი ქალების ნამუშევრების კითხვის პრობლემა ისაა, რომ თეთრკანიანი ქალები არ აღიარებენ, რომ შავკანიანი ქალები ქალები არიან და რომ მათგან განსხვავებული ქალები არიან. შავკანიანი ქალების ლიტერატურის გარჩევისთვის საჭიროა, ჩვენ აღგვიქვამდნენ კოპლექსურად - აღგვიქვამდნენ როგორც ინდივიდებს, როგორც ქალებს, როგორც ადამიანებს და არ გვიყურონ პრობლემატური, თუმცა კარგად ნაცნობი სტერეოტიპების თვალით, რომლებსაც საზოგადოება გვთავაზობს შაკვანიანი ქალების ავთენტური სახის მაგივრად. მე მჯერა, რომ იგივე ხდება არა მხოლოდ შავკანიანი ავტორების, არამედ სხვა ფერადკანიანი ქალების შექმნილი ლიტერატურის შემთხვევაშიც.

ყველა ფერადკანიანი ქალის მიერ შექმნილი ლიტერატურა მათი ცხოვრების ქსოვილს გვიხატავს, მაგრამ ბევრი თეთრკანიანი ქალი მოწადინებულია, ნამდვილი განსხვავებები უგულებელყოს. მანამ, სანამ ადამიანებს შორის განსხვავებების არსებობა ავტომატურად რომელიმე მათგანის დაქვემდებარებასაც მოიაზრებს, განსხვავებების აღიარება დანაშაულის გრძნობის გამომწვევიც იქნება. ფერადკანიანებისთვის სტერეოტიპული აღქმებიდან თავის დაღწევა ზედმეტად აღრმავებს სხვების დანაშაულის გრძნობას, რადგან ის საფრთხეს უქმნის თეთრკანიანი ქალების თავდაჯერებულ რწმენას, რომ ჩაგვრა მხოლოდ სქესობრივი ნიშნით და მხოლოდ პატრიარქატის მიერაა გამოწვეული.

განსხვავებების არაღიარება კი ართულებს იმის აღქმას, რომ ქალები, ქალად ყოფნის გამო, სხვადასხვა პრობლემებისა და სიძნელეების წინაშე დგანან.

ამიტომ, პატრიარქალურ ძალაუფლებრივ სისტემაში, სადაც თეთრი კანის ქონა მნიშვნელოვანი პრივილეგიაა, შავკანიანი და თეთრკანიანი ქალების გასანეიტრალებლად ერთი და იგივე მეთოდები არ გამოიყენება. მაგალითად, ხშირად ძალაუფლებრივი სტრუქტურა იყენებს შავკანიან ქალებს შავკანიანი კაცების წინააღმდეგ არა იმიტომ რომ ისინი მამაკაცები არიან, არამედ იმიტომ, რომ შავკანიანები არიან. ამიტომ, შავკანიანი ქალებისთვის ნებისმიერ დროს ძალიან მნიშვნელოვანია, განაცალკევონ მჩაგვრელის მიზნები ჩვენს თემში არსებული ჭეშმარიტი კონფლიქტებისგან. ხოლო თეთრკანიანი ქალები იმავე პრობლემის წინაშე არ დგანან. შავკანიანი ქალები და კაცები დიდი ხანია იზიარებენ რასობრივ ჩაგვრას, მაგრამ ჩაგვრა ჩვენ სხვადასხვანაირად მოგვემართება. საერთო ჩაგვრამ ჩვენ ერთობლივი თავდაცვითი მექანიზმები და ერთმანეთისადმი მგრძნობელობა განგვივითარა, რომლის ანალოგიაც თეთრკანიანების საზოგადოებაში არ არსებობს, ებრაელი ქალებისა და კაცების ურთიერთმიმართების გარდა.

მეორეს მხრივ, თეთრკანიანმა ქალებმა წინააღმდეგობა უნდა გაუწიონ ცდუნებას, რომ მოჩვენებითი საერთო ძალაუფლების იმედით მჩაგვრელებს ზურგი არ გაუმაგრონ. ფერადკანიან ქალებს კი იგივე შესაძლებლობები არ გააჩნიათ, ჩვენზე ძალაუფლების გვერდით დგომის შემოთავაზება არ ვრცელდება, ჩვენი რასობრივად „უცხოდ“ ყოფნა თვალხილული რეალობაა და ხელს გვიშლის ძალაუფლების მოპოვებაში. თეთრკანიანი ქალებისთვის მოჩვენებითი არჩევანის ფარგლები უფრო ფართოა და არსებობს ჯილდოც, თუ ისინი პატრიარქალურ ძალაუფლებას და მის იარაღებს გამოიყენებენ.

დღეს, „თანასწორი უფლებების აქტის“ ჩავარდნის, მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობისა და გაზრდილი კონსერვატიზმის პირობებში, მარტივია თეთრკანიანი ქალებისთვის იმის დაჯერება, რომ თუ ისინი საკმარისად კარგები, საკმარისად ლამაზები, საკმარისად თავაზიანები, საკმარისად წყნარები იქნებიან, ბავშვებს თუ სათანადო მოქცევას ასწავლიან, საჭირო ადამიანებს თუ მოიძულებენ, და საჭირო ადამიანებზე დაქორწინდებიან, მათ პატრიარქატში შედარებით მშვიდობიანი თანაარსებობის უფლება მიეცემათ. იქამდე მაინც, სანამ მამაკაცს შენი სამსახური არ დასჭირდება, ან შენს სამეზობლოში არ აიწევს გაუპატიურებების რიცხვი. სანამ ადამიანი სანგრებში ცხოვრობს, რთულია იმის გახსენება, რომ საჭიროა განუწყვეტელი ბრძოლა ადამიანობის დაკარგვის წინააღმდეგ.

მაგრამ შავკანიანმა ქალებმა და ჩვენმა შვილებმა ვიცით, რომ ჩვენი ყოველდღიურობის ქსოვილი ნაკერია ძალადობითა და სიძულვილით და ჩვენ შესვენების დრო არ გვაქვს. ჩვენ ყოველდღიურობასთან გამკლავება მხოლოდ საგუშაგოებიდან, შუაღამის ბნელი შესახვევებიდან ან იმ სივრცეებიდან კი არ გვიწევს, სადაც წინააღმდეგობაზე ხმამაღლა საუბრის საშუალება გვექნება, არამედ ჩვენი ყოველდღიურობა უფრო და უფრო იჟღინთება ძალადობით - მაღაზიაში, საკლასო ოთახში, ლიფტში, საავადმყოფოსა და სკოლის ეზოში, ძალადობითაა გამსჭვალული ყველა: სანტექნიკოსით დაწყებული, მცხობელით, გაყიდვების აგენტი ქალით, ავტობუსის მძღოლით, ბანკის მოლარითა და მიმტანით დამთავრებული, რომელიც ჩვენ არაფრის დიდებით მოგვემსახურება.

ზოგიერთ პრობლემას, ქალად ყოფნის გამო, ჩვენც ვიზიარებთ, ზოგს - არა. თქვენ გეშინიათ, რომ თქვენი შვილები გაიზრდებიან, პატრიარქატს შეუერთდებიან და თქვენს წინააღმდეგ გაილაშქრებენ. ჩვენ კი გვეშინია, რომ ჩვენს შვილებს მანქანებიდან გადმოათრევენ, ქუჩაში იარაღს ესვრიან და თქვენც ზურგს შეგვაქცევთ და არ ისაუბრებთ იმ მიზეზებზე, თუ რატომ იღუპებიან ისინი.

განსხვავებულობის საფრთხედ აღქმა არანაკლებ დამაბრმავებელია ფერადკანიანებისთვის. ჩვენ, შავკანიანებმა, უნდა დავინახოთ, რომ ცხოვრებისეული რეალობისა და სირთულეების ატანა არ გვაზღვევს განსხვავებების უგულებელყოფის, ან არასწორი სახელდების შეცდომებისგან. შავკანიან თემში, სადაც რასიზმის განცდა ყოველდღიური რეალობაა, ადამიანებს შორის სხვაობა ხშირად შიშსა და ეჭვს იწვევს. ერთიანობის საჭიროება ხშირად ერევათ ერთგვაროვნების საჭიროებაში, ხოლო შავკანიანი ქალის მიერ მისი შეხედულებების დაფიქსირება შეცდომით ჩვენი ერთიანი ინტერესების ღალატი ჰგონიათ. რადგან შავკანიან ქალებსა და შავკანიან კაცებს მუდმივად ერთად უწევთ ბრძოლა, რომ რასობრივი ნიშნით მათი ამოშლა არ მოხდეს, ზოგიერთი შავკანიანი ქალი ჯერ კიდევ არ აღიარებს, რომ ისინი ჩაგვრას განიცდიან ქალობის გამოც და შავკანიანი ქალებისადმი მიმართული სქესობრივი მტრობა არა მხოლოდ თეთრკანიანი, რასისტი საზოგადოების იარაღია, არამედ შავკანიან თემშიც გამოიყენება. ეს სენი შავკანიანი საზოგადოების შუაგულში არსებობს და გაჩუმება ამ პრობლემას ვერ აღმოფხვრის. ძალაუფლების არქონისა და რასიზმის გამოცდილებით გამწვავებული ძალადობა შავკანიანი ქალებისა და ბავშვების მიმართ ხშირად გამხდარა ჩვენსავე თემში ქცევის სტანდარტი, რასაც კაცობის გასაზომად იყენებენ. თუმცა ქალების მიმართ სიძულვილით ჩადენილი ეს აქტები იშვიათად მიიჩნევა შავკანიანი ქალების წინააღმდეგ ჩადენილ ქმედებებად.

ფერადკანიანი ქალები ამერიკაში ყველაზე ნაკლები ანაზღაურების მქონე ჯგუფია. ჩვენ აბორტისა და სტერილიზაციის ბოროტად გამოყენების პირდაპირი მსხვერპლი ვართ ამ ქვეყანაშიც და საზღვარგარეთაც. აფრიკის ზოგიერთ კუთხეში პატარა გოგონებს ფეხებშუა კერავენ იმის გამო, რომ ისინი მორჩილები გაიზარდონ და რომ მათი სხეული მხოლოდ კაცების სიამოვნებისთვის იყოს გამოყენებული. ეს ფენომენი ცნობილია ქალების წინადაცვეთის სახელით და აფრიკული კულტურის ნაწილი კი არ

არის, როგორც ამას გარდაცვლილი ჯომო კენიატა[15] ამტკიცებდა, არამედ დანაშაულია შავკანიანი ქალების წინაშე.

შავკანიანი ქალების ლიტერატურა სავსეა ხშირი ძალადობით მიყენებული ტკივილით, რომელიც არა მხოლოდ რასისტული პატრიარქატის, არამედ შავკანიანი კაცების მიერაც არის გამოწვეული. თუმცა საზიარო ბრძოლის საჭიროებისა და ისტორიის გამო შავკანიან ქალებს აბრალებენ იმასაც, თითქოს სექსიზმთან დაპირისპირება შავკანიანების წინააღმდეგ წასვლაა. სინამდვილეში, ძალაუფლების არმქონეების მიერ ქალებზე ნადირობის აქტები შავკანიანი თემიდან სიცოცხლისუნარიანობის ძალას გამოწვევს. ოფიციალურად გაცხადებული თუ დამალული გაუპატიურების რაოდენობა ზრდადია, გაუპატიურება კი აგრესიული სექსუალობა კი არა, სექსუალური ტიპის აგრესიაა. როგორც კალამუ ია სალამი,[16] შავკანიანი კაცი პოეტი აღნიშნავს, „გაუპატიურება იარსებებს მანამ, სანამ მამაკაცების დომინაცია არსებობს. მხოლოდ ქალების წინააღმდეგობას და მამაკაცების შეგნებულ პასუხისმგებლობას, დაუპირისპირდნენ სექსიზმს, შეუძლია კოლექტიურად შეაჩეროს გაუპატიურებები.“

შავკანიან ქალებს შორის განსხვავებებსაც არასწორი სახელი ერქმევა და გამოიყენება ჩვენი ერთმანეთისგან ჩამოშორებისთვის. როგორც ჩემი იდენტობის მრავალ ელემენტთან კომფორტულად მყოფ შავკანიან ლესბოსელ ფემინისტს და როგორც ქალს, რომელიც თავდადებულია რასობრივი და სექსუალური ჩაგვრისგან გათავისუფლებისთვის, მე ძალიან ხშირად მომიწოდებენ, ერთ-ერთი ასპექტი ამოვიგლიჯო და ისე მოვიქცე, თითქოს ეს ნაწილი ჩემს მთლიანობას სრულყოფილად წარმოადგენს, ჩემს სხვა ნაწილებზე კი უარი ვთქვა ან მივაჩუმო. თუმცა ასე მოქცევა დამახინჯებულ და დანაწევრებულ ყოფას ნიშნავს. მე ყველაზე მეტად მოზღვავებულ ძალას მაშინ ვგრძნობ, როდესაც ჩემს ყველა ნაწილს ერთობლიობაში განვიხილავ და გარედან მოხვეული შეზღუდვებისა და განსაზღვრებების გარეშე, ჩემი ცხოვრების სხვადასხვა ასპექტებს შორის ენერგია ღიად, თავისუფლად მოძრაობს. მხოლოდ მაშინ შემიძლია ჩემი პიროვნება და ჩემი ენერგია ერთ მთლიანობად შევკრა და თავდაუზოგავად ჩავერთო იმ ბრძოლების სამსახურში, რომლებიც ჩემი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია.

ლესბოსელების შიშმა, ან ლესბოსელობის დაბრალების შიშმა ბევრი შავკანიანი ქალი საკუთარი თავის წინააღმდეგ განაწყო, რამდენიმე ჩვენგანს საზიანო კავშირების დამყარებისკენ უბიძგა, სხვებს კი სასოწარკვეთისა და მარტოობისკენ. თეთრკანიან ქალებში ჰეტეროსექსიზმი ხანდახან თეთრკანიანი პატრიარქატის მხარდაჭერითაა გამოწვეული. ქალებისა და კაცების ურთიერთდამოკიდებულების უკუგდება ქალების იდენტობის მქონე ადამიანებს საშუალებას აძლევს, ეკუთვნოდნენ თავიანთ თავს და არ იყვნენ გამოყენებულები კაცების მსახურებისთვის. ზოგჯერ ლესბოსელების შიშში არეკლილია ჰეტეროსექსუალური ურთიერთობების დაცვის თავგადაკლული რწმენა,

[15] ჯომო კენიატა (1891-1978) იყო კენიელი აქტივისტი, რომელიც კოლონიალიზმის წინააღმდეგ იბრძოდა. მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში ის იყო ჯერ კენიის პრემიერ მინისტრი და შემდეგ კენიის პირველი პრეზიდენტი.

[16] კალამუ ია სალამი არის ამერიკელი პოეტი და აქტივისტი, რომელიც აქტიურად საუბრობს რასობრივ საკითხებზე.

ზოგჯერ კი ქალების გაშინაგნებული სიძულვილი საკუთარი თავის მიმართ, რომელსაც დაბადებიდან გვასწავლიან და რომელსაც ყველა ქალი უნდა ებრძოდეს.

იმის მიუხედავად, რომ ეს სიძულვილი ყველას მიემართება, განსაკუთრებით მწვავედ გამოიყენება შავკანიანი ქალებისადმი ჰეტეროსექსიზმისა და ჰომოფობიის კუთხით. აფრიკულ და აფრო-ამერიკულ საზოგადოებებში გვაქვს ქალთა შორის ურთიერთკავშირების დამყარების ძალიან გრძელი და ღირსეული ისტორია, ასევე უხვადაა პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ ასპარეზზე ბევრი ძლიერი და შემოქმედებითი შავკანიანი ქალის ცოდნისა და მიღწევების მაგალითები, მაგრამ ჰეტეროსექსუალი შავკანიანი ქალები ხშირად მაინც ყურადღების მიღმა ტოვებენ, ან აიგნორებენ შავკანიანი ლესბოსელების არსებობასა და შრომას. ამ დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში რაღაც წვლილი იმასაც მიუძღვის, რომ შავკანიანთა თემში ნებისმიერ ქალს, რომელიც სიმტკიცეს გამოიჩენს, ლესბოსელობას აბრალებენ, რაც ირიბად იმას ნიშნავს, რომ ის არ იმსახურებს შავკანიანი კაცის ყურადღებას და მხარდაჭერას. მაგრამ შავკანიანი ქალების არასწორი სახელდებისა და უგულებელყოფის ძირითადი მიზეზი ისიც არის, რომ შავკანიანი ქალის იდენტობის მქონე ადამიანებს, რომლებსაც საკუთარი თავის განსაზღვრისთვის კაცები აღარ სჭირდებათ, ძალა შესწევთ, სოციალური ურთიერთობების კონცეფცია მთლიანად გარდაქმნან.

შავკანიანი ქალები, რომლებიც ოდესღაც ამტკიცებდნენ, რომ ლესბოსელობა მხოლოდ თეთრკანიანი ქალების პრობლემა იყო, ახლა ამბობენ, რომ შავკანიანი ლესბოსელები შავკანიანთა ერთობას ემუქრებიან, მტრებთან თანამშრომლობენ და ფაქტიურად, არ არიან შავკანიანები. ეს ბრალდებები სწორედ იმ ქალებიდან მოდის, რომლებსაც ჩვენ ღრმა და ჭეშმარიტი ურთიერთგაგების იმედით შევყურებთ. მათი ბრალია, რომ ძალიან ბევრი შავკანიანი ლესბოსელი დღეს იმალება და იჭყლიტება ერთის მხრივ თეთრკანიანი ქალების რასიზმის, მეორეს მხრივ კი მათი დების ჰომოფობიური განწყობების გამო. მათი შრომა კი ხშირად უგულებელყოფილია, მიჩნეულია უმნიშვნელოდ, არასწორი სახელი ერქმევა ანჯელიკა გრიმკის,[17] ელის დანბარ-ნელსონის,[18] ლორეინ ჰანსბერის[19] მსგავსად. თუმცა შავკანიანი საზოგადოებისთვის ქალებს შორის ურთიერთგაგება ერთ-ერთი მთავარი ძალაუფლება იყო და ეს ჩვენი დაუქორწინებელი დეიდებისა თუ დეიომის ამორძალების[20] მაგალითებიდანაც აშკარაა.

შავკანიანი ლესბოსელები ნამდვილად არ ძალადობენ ფიზიკურად ქალებზე და ბავშვებსა და ბებიებს ჩვენს ქუჩებში არ აუპატიურებენ.

მთელს ჩვენს ქვეყანაში, როგორც, მაგალითად, 1979 წლის გაზაფხულზე ბოსტონში, როდესაც თორმეტი შავკანიანი ქალი მოკლეს და მკვლელობები არავინ გამოიძია, შავკანიანი ლესბოსელები სათავეში ედგნენ შავკანიანი ქალების მიმართ ძალადობის

---

[17] ანჯელიკა კრიმკი (1805-1876) - ამერიკელი პოლიტიკური აქტივისტი, ქალებისა და შავკანიანების უფლებებისთვის მებრძოლი ქალი.

[18] ელის დანბარ-ნელსონი (1875-1935) იყო აფროამერიკელი პოეტი, ჟურნალისტი და პოლიტიკური აქტივისტი, რომელიც ჰარლემის რენესანსის ერთ-ერთი მთავარ ფიგურას წარმოადგენდა.

[19] ლორეინ ჰანსბერი (1930-1965) იყო აფროამერიკელი ლესბოსელი მწერალი და დრამატურგი.

[20] Amazons of Dahomey - ქალების მილიტარისტული დაჯგუფება მეცხრამეტე საუკუნეში, რომელიც ახლანდელი ტოგოსა და ბენინის ტერიტორიაზე იბრძოდა.

საწინააღმდეგო მოძრაობებს. რისი გააზრება და შეცვლა გვჭირდება ჩვენს ყოველდღიურობაში იმისთვის, რომ ძირეული ცვლილებები დაიწყოს? როგორ შეგვიძლია ყველა ქალმა გადავიაზროთ განმასხვავებელი ნიშნები? ქალებს ერთმანეთისგან განსხვავებულობა კი არ გვაშორებს, არამედ განსხვავებების არაღიარება და გაუცნობიერებლობა უთანასწორობისა, რომელსაც იწვევს განსხვავებულობის იგნორირება და მისთვის არასწორი სახელის დარქმევა.

სოციალური კონტროლის მიზნით, ქალებს მხოლოდ ერთადერთ სფეროში წააქეზებენ ხოლმე, ადამიანებს შორის ლეგიტიმური განსხვავებები გააცნობიერონ - როცა საქმე ეხება განსხვავებებს ქალებსა და კაცებს. ყველა დაქვემდებარებულმა ვისწავლეთ, თუ როგორ გავუმკლავდეთ ამ განსხვავებულობას, ყველამ ვისწავლეთ თანაარსებობა, ცხოვრება და მუშაობა კაცების გვერდით, ჩვენი მამებით დაწყებული სხვა კაცებით დამთავრებული. ჩვენ ვაცნობიერებთ ამ განსხვავებებს და თანაარსებობას ვაგრძელებთ მაშინაც, როდესაც ეს განსხვავება ადამიანური ურთიერთობების ძველ - ზემდგომი/დაქვემდებარებულის სტრუქტურას იმეორებს და როდესაც ქვემდგომი იძულებულია, ბატონის განსხვავებულობა გააცნობიეროს იმისთვის, რომ თავი გადაირჩინოს.

თუმცა ჩვენი თვითგადარჩენა დამოკიდებულია ერთმანეთთან თანასწორუფლებიანი კავშირების დამყარებაზე. თუ გვინდა, რომ როგორმე მოჩვენებით სოციალურ ცვლილებებს გავცდეთ, ქალებმა ჩვენი სხეულებიდან ჩაგვრის გაშინაგნებული სქემები უნდა ამოვიძირკვოთ. აუცილებელია, აღმოვაჩინოთ ის ნიშნები, რომლებიც განგვასხვავებს სხვა ქალებისგან, თუმცა უნდა გავითვალისწინოთ, რომ განსხვავებები არ გვხდის არც ქვემდგომებს და არც ზემდგომებს, არამედ თანასწორებს. განსხვავებულობა უნდა გამოვიყენოთ თითოეული ჩვენგანის ხედვის არეალის გასაფართოვებლად და საერთო ბრძოლების დანახვისთვის. მგონი, ჩვენი სამყაროს მომავალი დამოკიდებულია ქალებზე, რომლებიც, ერთმანეთისგან განსხვავებების მიუხედავად, შეიმუშავებენ და სრულყოფენ ძალაუფლების ახალ განმარტებასა და ახალ სქემებს. ძველი განმარტებები უსარგებლო აღმოჩნდა ჩვენთვისაც და ჩვენი მასაზრდოებელი დედამიწისთვისაც. ძველმა სქემებმა, რაც გინდა შენიღბული ყოფილიყო პროგრესის სახელით, ძველი და მჩაგვრელი ურთიერთობების მხოლოდ გარეგნულად შელამაზებული ფორმები შემოგვთავაზა და მოგვისაჯა ძველებური დანაშაულის გრძნობა, სიძულვილი, დისკრიმინაცია, წუხილი, ეჭვი.

რადგან თითოეულ ჩვენგანში ჩაბეჭდილია მოლოდინებისა და საპასუხო ქმედებების ძველი მოდელები და ჩაგვრის ძველი სტრუქტურები, ცვლილება, ჩვენი ცხოვრების წესთან ერთად, აზროვნების ამ მოდელებმაც უნდა განიცადოს. სწორედ მათი გამოწვეულია ჩვენი ყოველდღიურობა. ბატონის იარაღს კი არ შესწევს ძალა, ბატონის სახლი დაანგრიოს.

როგორც პაულო ფრეირე აჩვენებს ასე კარგად „ჩაგვრის პედაგოგიკაში," რევოლუციური ცვლილების ჭეშმარიტ ფოკუსში მხოლოდ ჩაგვრის ის შემთხვევები კი არ უნდა მოექცეს, საიდანაც თავის დაღწევას ვლამობთ, არამედ უნდა გავიაზროთ, რომ ჩვენში ასე ღრმად არის დამარხული მჩაგვრელის ნაწილი, რომელიც იცნობს მხოლოდ მჩაგვრელის ქცევის ტაქტიკებსა და მჩაგვრელის ურთიერთობის ფორმებს.

ცვლილება ნიშნავს განვითარებას და განვითარება შესაძლოა მტკივნეულიც იყოს. მაგრამ ჩვენ საკუთარი თავის განსაზღვრა უნდა მოვახერხოთ მათ გვერდით, ვინც ჩვენგან ძალიან განსხვავდებიან, მაგრამ ჩვენს მიზნებს იზიარებენ. ეს იმედს მოგვცემს ერთდროულად შავკანიანებსა და თეთრკანიანებს, მოხუცებსა და ახალგაზრდებს, ლესბოსელებსა და ჰეტეროსექსუალ ქალებს თვითგადარჩენის ახალი გზების საპოვნელად.[21]

[21] აღნიშნული გამოსვლა მთავრდება ლექსით:
We have chosen each other
and the edge of each others battles
the war is the same
if we lose
someday women's blood will congeal
upon a dead planet
if we win
there is no telling
we seek beyond history
for a new and more possible meeting.

ინტერვიუ მიშელ ალექსანდერთან

მთარგმნელი: *მარიამ შალვაშვილი*

მიშელ ალექსანდერი (1967) *არის იურისტი, უფლებადამცველი და ავტორი. ის ჩართული იყო სტრატეგიული სამართალწარმოების გზით რასობრივი და გენდერული დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლაში და სასამართლო დავებში წარმოადგენდა დისკრიმინირებულ ჯგუფებს. მისი წიგნი „ახალი ჯიმ ქროუ: მასობრივი დაპატიმრება კანის ფერის განურჩევლობის ეპოქაში“ (2010) აღწერს მეოცე და ოცდამეერთე საუკუნეში სტრუქტურული რასიზმის ახალ ასპექტებს. ჯიმ ქროუს კანონები წარმოადგენდა შტატების ფარგლებში მოქმედ კანონმდებლობას, რომელიც ამერიკის სამხრეთ შტატებში რასობრივ გამიჯვნას და სეგრეგაციას აძლიერებდა. ეს კანონები მეცხრამეტე და მეოცე საუკუნეში შეიქმნა და ზოგიერთი მათგანი მოქმედებდა 1965 წლამდე.*

სტატია მოამზადა ჯოდი სოკოლოუერმა. სტატია ინგლისურად შეგიძლიათ იხილოთ აქ და აქ.

ალექსანდერი გვთავაზობს გამჭრიახ და დამაფიქრებელ დებულებას: შეერთებულ შტატებში რასობრივი დისკრიმინაცია ახალი სახით გამოიხატა - მასობრივი თავისუფლების აღკვეთით, რომელიც ორგანიზებული და გამართლებულია ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლის არგუმენტით. 1970 წელთან შედარებით, ქვეყანაში საპყრობილეში მყოფი ადამიანების რიცხვი 600 პროცენტით გაიზარდა. ამ ციფრებთან დაკავშირებით რაც ყველაზე გამაოგნებელია, ეს რასობრივი განზომილებაა. შეერთებული შტატები თავისი შავკანიანი მოსახლეობის უფრო დიდ პროცენტს სვამს ციხეში, ვიდრე სამხრეთ აფრიკაში სვამდნენ აპარტეიდის პიკის დროს. მაგალითად, წინასწარი გამოთვლებით, ვაშინგტონში ახალგაზრდა შავკანიანი კაცების დაახლოებით 75 პროცენტს ციხეში რაღაც პერიოდის გატარება მოუწევს.

ასევე შემაშფოთებელია ალექსანდერის მიერ აღწერა იმ შედეგებისა, რაც პატიმრობას მოსდევს და სამოქალაქო და ადამიანის უფლებების კუთხით აისახება ადამიანების მთელს ცხოვრებაზე თუ იმ საზოგადოებაზე, რომელსაც ჩვენ დღეს „პოსტ-რასობრივს“ ვუწოდებთ. როგორც ავტორი თავის შესავალში განმარტავს:

„ჯიმ ქროუს ნგრევის შემდეგ გამოწვეული ცვლილებები ნაკლებად უკავშირდება ჩვენი საზოგადოების ძირითად სტრუქტურას, ის უფრო მეტად იმ ენის შეცვლასთან არის კავშირში, რომელსაც სტრუქტურის გამამართლებლად ვიყენებთ. კანის ფერის განურჩევლობის ეპოქაში საზოგადოებაში აღარ არის ნებადართული ცხადად აპელირება რასაზე როგორც დისკრიმინაციის, გამორიცხვისა და სოციალური ზიზღის გამამართლებელ ნიშანზე. ამიტომ ამ გზას არ ვიყენებთ. იმის ნაცვლად, რომ რასას დავეყრდნოთ, ჩვენ ვიყენებთ ჩვენს სისხლის სამართლის სისტემას, რათა ფერადკანიანი ადამიანები „კრიმინალებად“ მოვნიშნოთ და შემდეგ სწორედ იმ პრაქტიკებს მივმართავთ, რაც თითქოს წარსულში მოვიტოვეთ. დღეს სავსებით კანონიერია კრიმინალების დისკრიმინაცია თითქმის ყველა იმ საშუალებით, რომლითაც ოდესღაც

აფრო-ამერიკელების დისკრიმინაცია იყო კანონიერი. მას შემდეგ, რაც დამნაშავის იარლიყი მოგეწებება, უეცრად ლეგალური ხდება დისკრიმინაციის ყველა ძველი ფორმა — დასაქმების საშუალებით დისკრიმინაცია, საცხოვრებლის მეშვეობით დისკრიმინაცია, ხმის მიცემის უფლების ჩამორთმევა, საგანმანათლებლო შესაძლებლობებზე უარი, კვების ვაუჩერებისა და სხვა საზოგადოებრივ სიკეთეებზე უარის თქმა და ნაფიც მსაჯულთა სამსახურიდან გამორიცხვა. როგორც ბოროტმოქმედს, სულ ოდნავ უფრო მეტი უფლება გაქვს და, ალბათ, ბევრად ნაკლები პატივისცემა, ვიდრე ჯიმ ქროუს პიკის დროს ალაბამაში მცხოვრებ შავკანიან ადამიანს. ჩვენ კი არ აღვკვეთეთ რასაზე დამყარებული კასტური სისტემა ამერიკაში, ჩვენ უბრალოდ მას ფორმა შევუცვალეთ.“

კითხვა: რა გავლენა აქვს მასობრივი დაპატიმრების პრაქტიკას აფრო ამერიკელ ბავშვებსა და მოზარდებზე?

პასუხი: წარმოუდგენელი გავლენა აქვს. კერძოდ, **აფრო-ამერიკელი ბავშვებისთვის საკმაოდ დიდია ალბათობა, რომ მათ ეყოლებათ მშობელი, საყვარელი ადამიანი, ნათესავი, რომელმაც გარკვეული დრო ან გისოსებს მიღმა გაატარა, ან კიდევ აღრიცხვაზეა. შესაბამისად, ითვლება, რომ ის ქვემდგომთა კასტის წარმომადგენელია, ანუ ადამიანთა იმ ჯგუფის, რომლებიც მთელი დარჩენილი ცხოვრების განმავლობაში ლეგალურ ჩარჩოებში დისკრიმინირებულები შეიძლება იყვნენ.** მრავალი აფრო-ამერიკელი ბავშვის მამაა დაპატიმრებული და ახლა უკვე მზარდი ტენდენციაა ბავშვების დედების გისოსებს მიღმა აღმოჩენის. ბავშვებისთვის მათი მონახულება რთულია. მრავალი ადამიანი პატიმრობაში სახლიდან ასობით ან ათასობით მილის დაშორებით იმყოფება. უზარმაზარი სირცხვილის გრძნობაა მშობლის ან ოჯახის სხვა წევრის პატიმრობასთან დაკავშირებული. შეიძლება ბავშვებს ეშინოდეთ, რომ სკოლაში სხვები ამ ფაქტს გაიგებენ.

თუმცა, ამასთან ერთად, **ამ ბავშვებისთვის ცხოვრებაში შესაძლებლობები მნიშვნელოვნად არის შემცირებული. უფრო მეტია ალბათობა, რომ ისინი უკიდურეს სიღარიბეში გაიზრდებიან, ნაკლებ სავარაუდოა, რომ მათმა მშობლებმა სამუშაოს ან საცხოვრებლის პოვნა შეძლონ, ნასამართლეობის გამო ხშირად მათ უარს ეუბნებიან საკვების ვაუჩერებზეც.** ბავშვებისთვის მასობრივი დაპატიმრების ეპოქა ნიშნავდა დიდი რაოდენობით ოჯახის დაშორების, დანგრევის შემთხვევებს, სიღარიბეს და უიმედობის გაცილებით, გაცილებით უფრო მაღალ დონეს, რადგან ისინი თავიანთი საყვარელი ადამიანების ციხეში დაბრუნების და ციხიდან გამოსვლის განმეორებადი ციკლის მომსწრენი არიან. ბავშვები, რომელთაც ნასამართლევი მშობლები ჰყავთ, გაცილებით უფრო მეტი ალბათობით მოხვდებიან ციხეში თავად.

როდესაც ახალგაზრდა შავკანიანი ბიჭები გარკვეულ ასაკს მიაღწევენ, იმის მიუხედავად, ჰყოლიათ თუ არა პატიმრობაში ოჯახის წევრები, ისინი თავად იქცევიან უმიზეზოდ პოლიციის მიერ შემოწმებების, დაკითხვების, ჩხრეკვის სამიზნედ. რა თქმა უნდა, შევიწროების ამხელა ხარისხი ადრეულ ასაკში მათ მიანიშნებს: „არ აქვს მნიშვნელობა ვინ ხარ ან რას აკეთებ, ამ გზით თუ არა სხვა საშუალებით შენ მაინც აღმოჩნდები გისოსებს მიღმა.“ ეს აძლიერებს იმ აზრს, რომ ციხე მათი ბედისწერაა და იქ მოხვედრა არაა დამოკიდებული ადამიანების გადადგმულ ნაბიჯებზე.

<u>გალია, როგორც მეტაფორა</u>

კითხვა: „ახალ ჯიმ ქროუს“ ერთ ნაწილში თქვენ სტრუქტურული რასიზმის აღწერისთვის ახსენებთ ფრინველის გალიის მეტაფორას და მას მასობრივ პატიმრობას უკავშირებთ. როგორ უკავშირდება სკოლებში აფრო-ამერიკელი ახალგაზრდების მდგომარეობა ამ სურათს?

პასუხი: ამ მეტაფორის იდეა ისაა, რომ შეიძლება არსებობდეს მრავალნაირი გისოსები, მავთულხლართები, რომლებიც ადამიანს ხაფანგში გამოკეტავს. ყოველი მათგანი იმ მიზნით კი არ შექმნილა, რომ ფრინველის დაზიანება ან მისი გალიაში გამოკეტვა გამოეწვია, მაგრამ ისინი მაინც ამ ფუნქციას ასრულებენ. **აშკარაა, რომ ფერადკანიანი ახალგაზრდები, განსაკუთრებით გეტოში მცხოვრებლები, უკვე გალიაში იბადებიან. ისინი იმ საზოგადოებაში იბადებიან, სადაც წესები, კანონები, პოლიტიკა — სხვადასხვა სტრუქტურები მათ ცხოვრებაში — პრაქტიკულად, იმის საწინდარია, რომ ისინი მთელი სიცოცხლის მანძილზე ხაფანგში დარჩებიან. ეს იწყება ძალიან ადრეულ ასაკში, როდესაც მათი მშობლები ან თავად იმყოფებიან გისოსებს მიღმა, ან მუდმივად მეორე კლასის მქონე სტატუსის საზღვრებში არიან მოქცეულები და იმ შესაძლებლობებზე წვდომა არ აქვთ, რაზეც უნდა ჰქონოდათ.** მაგალითად, მათ, ვისაც ნასამართლეობა აქვთ, უარს ეუბნებიან საზოგადოებრივ საცხოვრებელში განთავსებაზე, მათ არ აქვთ წვდომა იმ ასობით პროფესიაზე, რომლებიც საჭიროებენ სერტიფიკატებს, მათ უარს ეუბნებიან განათლების ფინანსურ მხარდაჭერაზე და ზოგჯერ ხმის მიცემის უფლებაზეც კი. ათასობით ადამიანი ვერ ახერხებს საკვების ვაუჩერების მიღებას, რადგან ისინი ოდესღაც ნარკოტიკებით დაიჭირეს.

გალია თავის თავს გამოავლენს გეტოს სახით, რომელიც რასობრივად სეგრეგირებულია, იზოლირებულია, მოწყვეტილია სოციალური და ეკონომიკური შესაძლებლობებიდან. გალიას წარმოადგენს ის არათანაბარი საგანმანათლებლო შესაძლებლობები, რომელსაც ამ ბავშვებს ძალიან ადრეულ ასაკში აწვდიან. ამას ემატება მუდმივი საპოლიციო კონტროლი და ეს უფრო მეტად სავარაუდოს ხდის იმას, რომ მათ მოუწევთ პატიმრობაში ყოფნა — ალბათ მათ დაიჭერენ სხვადასხვა მცირე ტიპის დანაშაულის ჩადენისთვის, განსაკუთრებით ნარკოტიკებთან დაკავშირებული დანაშაულებისთვის, რომლებიც დაახლოებით თანაბარი სიხშირით გვხვდება საშუალო კლასის თეთრკანიან საზოგადოებებში, მაგრამ იქ დიდწილად იგნორირებულია.

ამიტომ, ბევრი ფერადკანიანისთვის მათი ციხეში წასვლა-არ წასვლის საკითხი გაცილებით ნაკლებად არის დამოკიდებული მათ ცხოვრებისეულ არჩევანზე და ბევრად მეტად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რა სახის გალიაში დაიბადნენ ისინი. საშუალო კლასის თეთრკანიანებს, პრივილეგირებული კლასის შვილებს ბევრად მეტი შეცდომის დაშვების უფლება აქვთ და შეცდომების მიუხედავად მაინც შეუძლიათ უნივერსიტეტში სწავლა, დიდ ოცნებებზე ფიქრი. მაგრამ იმ ბავშვებისთვის, რომლებიც მასობრივი დაპატიმრებების ეპოქაში გეტოში იბადებიან, სისტემა ისეა მოწყობილი, რომ ისინი ხაფანგში გაებმებიან, საიდანაც, ხშირად მთელი სიცოცხლის განმავლობაში ვერ აღწევენ თავს.

კითხვა: როგორ განსაზღვრავთ და აანალიზებთ „მილსადენს სკოლიდან ციხისაკენ“?

პასუხი: მილსადენი სწორედ იმ დიდი გალიის ან კასტებად შემოფარგვლის ნაწილია, რაც ზემოთ აღვწერე. „მილსადენი სკოლიდან ციხისაკენ“ კიდევ ერთი მეტაფორაა და კარგად ასახავს იმ ფაქტს, თუ როგორ ხდება ბავშვების გადინება სკოლიდან პირდაპირ ციხეში. იმის მაგივრად, რომ სკოლები შესაძლებლობების მილსადენად იქცეს, სკოლები ჩვენს ციხეებს კვებავენ.

მნიშვნელოვანია გვესმოდეს, თუ რა გავლენა ჰქონდა სკოლის დისციპლინურ პოლიტიკაზე ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლას და მოძრაობას სახელად „გამოიჩინე სიმკაცრე“[22]. ბევრი ფიქრობს, რომ ნულოვანი ტოლერანტობის რიტორიკა თავდაპირველად სასკოლო გარემოდან აღმოცენდა, მაგრამ ეს ასე არ არის. სინამდვილეში, *წინსვლის პროექტმა* გამოაქვეყნა მოხსენება, სადაც ნათქვამია, რომ სკოლის დისციპლინულ სახელმძღვანელოებში ნულოვანი ტოლერანტობის ენის ერთ-ერთ პირველ ნიმუშს წარმოადგენდა აშშ-ს ნარკოტიკების აღსრულების ადმინისტრაციის სახელმძღვანელოდან გადმოწერილი ნაწილები. სადამსჯელო ტალღამ, რომელმაც შეერთებულ შტატებს ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლასთან ერთად და „გამოიჩინე სიმკაცრის“ მოძრაობასთან ერთად გადაუარა, ჩვენი სკოლები ნამდვილად წალეკა. **იმ სკოლებმა, რომლებიც ამ მორევში აღმოჩნდნენ, დაიწყეს ბავშვების აღქმა კრიმინალებად ან ეჭვმიტანილებად. არ ხედავდნენ მათ იმ მოზარდებად, ვისაც უზარმაზარი პოტენციალი აქვთ და სხვადასხვა სახის სირთულეების გადატანა და სხვადასხვა რთულ კონტექსტში არსებობა უწევთ, რომლებიც, იმედია წარმატების მიღწევას შეძლებენ. ჩვენ ახალგაზრდებს ვხედავდით, როგორც პოტენციურ მოძალადეებს და არა ბავშვებს, რომლებსაც ჩვენი დახმარება სჭირდებათ.**

<u>მითოლოგია კანის ფერის დაუნახავობის შესახებ</u>

კითხვა: თქვენს წიგნში ახსენებთ, რომ მასობრივი დაპატიმრების პოლიტიკა, ფორმალურად, „კანის ფერს არ არჩევს“, მაგრამ რეალურად მკვეთრად რასიალიზებულ შედეგებს იწვევს. თქვენი აზრით, როგორ ახდენს ის განსაკუთრებულ გავლენას ფერადკანიან ბავშვებსა და მოზარდებზე?

პასუხი: კანის ფერის დაუნახავობის გარშემო არსებული მითოლოგია ხალხის წარმოდგენაში აყალიბებს იმ აზრს, რომ თუ ღარიბი ფერადკანიანი ბავშვები სკოლაში დიდი რაოდენობით იჭრებიან ან ციხეში მიდიან, ეს მათი ბრალია. ეს იმას იწვევს, რომ ფერადკანიანი ახალგაზრდები გარშემო მიმოიხედავენ და იტყვიან: „მე რაღაც მჭირს. ჩვენ რაღაც გვჭირს. არსებობს რაღაც თანდაყოლილი თვისება, რაც სხვებისგან განსხვავებით მე მახასიათებს — ჩვენ, როგორც ადამიანთა ჯგუფს გვახასიათებს, რაც

[22] “Get-tough on crime” – „გამოიჩინე სიმკაცრე კრიმინალის წინააღმდეგ“ იყო 1960-70-იან წლებში შექმნილი პოლიტიკა, რომელმაც გამოიწვია უფრო ხშირი გაჩხრეკვების პრაქტიკა ნარკოტიკების ამოჩენის მიზნით, თავისუფლების აღკვეთა უფრო დიდი ვადით, არასრულწლოვანების, ფერადკანიანების და დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის უფრო მკაცრი დასჯა.

გვიბიძგებს იმისკენ, რომ ასე ხშირად ჩავიჭრათ საგნებში, რაც გვიბიძგებს ამ უბედურ პირობებში ცხოვრებისკენ, რაც გვიბიძგებს ციხეში ჩაჯდომისკენ?“

კანის ფერის განურჩევლობის შესახებ მითოლოგია რასის საკითხს გვერდით გასწევს. ამიტომ ადამიანებს ამ კითხვების დასმაც კი უჭირთ: შეიძლება რომ მიზეზი ინდივიდუალურ არჩევანზე უფრო დიდი ფაქტორი იყოს? შესაძლოა, არსებობს რაღაც, რაც უკავშირდება რასის ისტორიას ჩვენს ქვეყანაში და რომელიც, გარკვეული გზით, თანამედროვეობაში რასას კვლავაწარმოებს.

ჩემი აზრით, ესაა მითოლოგია, რომლის მიხედვითაც, რა თქმა უნდა, ჩვენ ყველანი რასას ყურადღებას არ ვაქცევთ. რა თქმა უნდა, ჩვენი პოლიციელები არ არიან რასისტები. რა თქმა უნდა, ჩვენს პოლიტიკოსებს არ სურთ ფერადკანიანებს რაიმე ზიანი მიადგეთ. ის მოსაზრება, რომ ჩვენ ეს ყველაფერი უკვე გადავლახეთ (და ამიტომ მიზეზი სხვაგან უნდა ვეძებოთ) ართულებს ახალგაზრდებისთვის, ისევე როგორც ზრდასრულებისთვის, იმის ნათლად და გულწრფელად დანახვას, თუ რა ხდება სინამდვილეში. ეს ართულებს იმის დანახვას, რომ სამოქალაქო უფლებების მოძრაობის წინააღმდეგ მიმართულმა უარყოფითმა ტალღამ გამოვლინება პოვა მასობრივი დაპატიმრებების სახით, ფერადკანიანი ბავშვების სკოლების გაუფასურების და ნაკლები დაფინანსების მიცემის სახით და ასევე სხვა შედეგებით. ბოლო წლების განმავლობაში ჩვენ თავიდან ვირიდებდით ღიად და გულწრფელად საუბარს რასის შესახებ იმის შიშით, რომ ეს გამოიწვევდა გაუცხოებას და პოლარიზაციას. ჩემი აზრით, რასაზე ღიად და გულახდილად საუბარზე უარის თქმაა ის, რაც იწვევს ადამიანების გამორიცხვის, დაყოფის და კასტის-მსგავსი სისტემის დაბადების განმეორებად ციკლს, რომელზეც ვამტკიცებთ, რომ უკან მოვიტოვეთ.

კითხვა: ჩვენ ახლა ვიმყოფებით საჯარო განათლებაზე თავდასხმის ეპიცენტრში - იქნება ეს ჩარტერული სკოლების და ვაუჩერების მეშვეობით მათი პრივატიზება, სტანდარტიზაციის გაზრდა, რეჟიმის წყობის შემოტანა და ტესტირების პროცესი თუ მასწავლებელთა პროფკავშირების განადგურება. ამ ცვლილებების უმეტესობას ამართლებენ ანტი-რასისტული რიტორიკის მეშვეობით, რომ სკოლები ვერ აკმაყოფილებენ შიდა ქალაქებში ბავშვების საჭიროებებს და ამიტომ მათ მშობლებს სხვა სკოლაში გადაყვანის არჩევანი უნდა ჰქონდეთო. როგორ უყურებთ ამ პროცესებს?

პასუხი: ის ადამიანები, რომლებიც მხოლოდ იმაზე აკეთებენ აქცენტს, თუ რა უნდა მოვიმოქმედოთ არსებულ კონტექსტში, თავს არიდებენ კონტექსტის გამომწვევ მიზეზებზე საუბარს. რატომ არის, რომ ეს სკოლები ვერ აკმაყოფილებენ ამ ბავშვების საჭიროებებს? რატომ ხდება, რომ დღეს გეტოებში აფრო-ამერიკელი მოსახლეობის ამხელა პროცენტი ხაფანგშია მომწყვდეული? რა არის უფრო დიდი სურათი?

უფრო დიდი სურათი ისაა, რომ **ბოლო 30 წლის განმავლობაში, ჩვენ დავხარჯეთ $1 ტრილიონი დოლარი ნარკომანიის წინააღმდეგ, რამაც ვერ მოახერხა ნარკომანიის ან ნარკოტიკების მოხმარების მნიშვნელოვნად შემცირება, მაგრამ, ამის მიუხედავად, მაინც გამოაცალა სხვა საჯარო სერვისებს უზარმაზარი რესურსი. ეს განსაკუთრებით განათლებას შეეხო. ჩვენ იმ სოციალურ და პოლიტიკურ კონტექსტში ვართ, რომლის მიხედვითაც ნორმალურია ფერადკანიანი ღარიბი ადამიანების დასჯა მათთვის განათლების მიცემისა და ეკონომიკური შესაძლებლობების მეშვეობით მათი**

გაძლიერების მაგივრად. ეს სწორედ ის პოლიტიკური კონტექსტია, რატომაც ზოგიერთი ადამიანი კითხვებს სვამს: კი მაგრამ, ბავშვებს არ უნდა შეეძლოთ ცუდი ხარისხის სკოლებს რამენაირად თავი დააღწიონ? ცხადია, არავინ უნდა იყოს გამომწყვდეული ცუდ სკოლებში ან ცუდ უბნებში. სრულიად არავინ. მაგრამ ვფიქრობ, რომ ჩვენ უფრო დიდ კითხვებს უნდა ვსვამდეთ: როგორ შევცვალოთ ის ნორმა, ის დიდი კონტექსტი, რომელსაც ადამიანები, როგორც ჩანს, მოცემულობად იღებენ? განა ჩვენ ისე ვხუჭავთ თვალს ჩვენს გარშემო მიმდინარე პროცესებზე, რომ ვერც კი დავიწყებთ სერიოზულ საუბარს იმის შესახებ, თუ როგორ შევქმნათ ის გარემო, რაც უნდა არსებობდეს?

განათლების სამართლიანობის მოძრაობა და ციხის სამართლიანობის მოძრაობა ბევრგან ცალ-ცალკე ოპერირებს, თითქოს მათ შორის დიდი უფსკრული იყოს. მაგრამ **სინამდვილეში ჩვენ ვერ მივცემთ ღირებული განათლების შესაძლებლობს ღარიბ ბავშვებს, ფერადკანიან ბავშვებს მანამ, სანამ ჩვენ არ ვაღიარებთ, რომ ჩვენ ვფლანგავთ ტრილიონ დოლარს წარუმატებელ სისხლის სამართლის სისტემაზე. ბავშვები ისეთ საზოგადოებებში იზრდებიან, სადაც თავიანთი ახლობლები ციხეში მიდიან, გამოდიან და ისევ უკან ბრუნდებიან და სადაც ბავშვებს უთვალავი გზით ეუბნებიან, რომ ისინიც წავლენ ციხეში. ჩვენ ვერ შევძლებთ ავაშენოთ ჯანსაღი, კარგად მომუშავე სკოლები იმ კონტექსტში, სადაც არ არსებობს დაფინანსება, რადგან ფული იხარჯება ციხეების საშენებლად და პოლიციური ძალების გასაძლიერებლად.**

კითხვა: და ომებში, არა?

პასუხი: დიახ, ომებში ბრძოლაში იმ დროს, როცა ამდენი უიმედობა არსებობს მასობრივი დაპატიმრებების გაბატონების გამო. ამავე დროს, სისულელე იქნება ვიფიქროთ, რომ მასობრივი დაპატიმრების პრაქტიკა დასრულდება თუ არ გავითვალისწინებთ იმ რეალობას, რომ ღარიბი ადამიანების უზარმაზარი პროცენტი უმუშევარია და ძირითადი ეკონომიკიდან გამორიცხულია მანამ, სანამ არ მიიღებს ხარისხიან განათლებას, რომელიც მათ ახალ ეკონომიკაში ჩართვისთვის მოამზადებს. ამ ორ მოძრაობას შორის გაცილებით მეტი თანამშრომლობა უნდა იყოს და მათ დამცველ ადვოკატებს ბევრად უფრო მეტი დაფასება ჰქონდეთ თითოეულ საზოგადოებაში. ეს უნდა იყოს მოძრაობა, რომელიც იქნება მიმართული განათლებაზე და არა დაპატიმრებებზე, სამუშაო ადგილებზე და არა ციხეებზე. მოძრაობა, რომელიც, ჩემი აზრით, ამ სხვადასხვა ბანაკში ადამიანების უფლებების პერსპექტივას შეიტანს.

<u>წინააღმდეგობის გაწევა</u>

კითხვა: რა როლი აქვთ მასწავლებლებს ამ კრიზისთან რეაგირებაში? რას უნდა ვაკეთებდეთ საკლასო ოთახებში? რას უნდა ვაკეთებდეთ განათლების აქტივისტები?

პასუხი: ეს მშვენიერი კითხვაა და ახლა მე ერთგვარად ჩემს თავს ვეჯიბრები. ზუსტად ახლა ვცდილობ სხვებთან ერთად შევიმუშავოთ სასწავლო გეგმა და ის მასალა, რაც გაუადვილებს ახალგაზრდებს ამ თემებზე საუბარს იმ გზებით, რაც არ გამოიწვევს მათ პარალიზებას, შიშს ან უკან დახევას, არამედ ამის მაგივრად გაანათლებს და შთააგონებს მათ იმოქმედონ და კრიტიკულად იაზროვნონ მომავალში. ეს ძალიან რთული პროცესია, მაგრამ აუცილებლად უნდა გაკეთდეს.

ჩვენ მზად უნდა ვიყოთ გარკვეული რისკების გასაწევად. ჩემი გამოცდილებით, ბევრი თავს იკავებს ამ საკითხების კლასში განხილვისგან იმის შიშით, რომ სტუდენტები ანერვიულდებიან ან გაბრაზდებიან, ან რომ ეს ინფორმაცია მათში საკუთარი ცხოვრებისა და გამოცდილების შესახებ ამაოების გრძნობას გააღვივებს. მნიშვნელოვანია, მოსწავლეებს დავანახოთ სისტემის რეალური სახე — რომ სინამდვილეში ისინი ნამდვილად უსამართლოდ არიან მიზანში ამოღებულები, რომ წესები ისეა შექმნილი, რომ მათ მიმართ უსამართლო მოპყრობას განაპირობებს და რომ ძალიან რთულია ამ კანონების წინააღმდეგ დავა სასამართლოებში. ჩვენ უნდა ვასწავლოთ მათ, თუ როგორ შეიცვალა ჩვენი პოლიტიკა ბოლო წლებში და რომ სინამდვილეში მას თან ახლდა წინააღმდეგობა. ჩვენ ეს ინფორმაცია უნდა დავუკავშიროთ ადამიანების ისტორიებს, თუ როგორ უპირისპირდებოდნენ წარსულში ადამიანები ამ სახის უსამართლობას და რა როლს თამაშობდნენ ახალგაზრდები ისტორიულად ამ ბრძოლებში.

ვფიქრობ, მნიშვნელოვანია ახალგაზრდების წახალისება, მოყვნენ საკუთარი ისტორიები და ღიად ისაუბრონ სისხლის სამართლის სისტემაში საკუთარი თუ მათი ოჯახის გამოცდილების შესახებ. ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ, რომ საკლასო გარემო მხარს უჭერდეს მათ, რომ სირცხვილი და სტიგმა გაუქრეთ. ამის შემდეგ მასწავლებლებს შეუძლიათ გამოიყენონ ის ისტორიები, რასაც სტუდენტები თავად შეესწრნენ ან თავად გამოსცადეს და დასვან კითხვები: როგორ მოვედით აქამდე? რატომ ხდება ასე? რით განსხვავდება სხვა თემებში არსებული სიტუაცია? როგორ არის ეს პრობლემები დაკავშირებული ჩვენი ერის ისტორიის გარდასულ პერიოდთან? და რისი გაკეთება შეგვიძლია ამის წინააღმდეგ?

მხოლოდ ინფორმაციის მიწოდება იმის შესახებ, თუ რა ცუდია არსებული მდგომარეობა, მხოლოდ პატიმრობის შესახებ სტატისტიკური მონაცემები და პარამეტრები ნამდვილად იწვევს უფრო ღრმა დეპრესიას, არაფრის გაკეთების სურვილს და არ უწყობს ხელს მოსწავლეების გაძლიერებას. ინფორმაცია უნდა იყოს წარმოდგენილი ისე, რომ გაამხნევოს სტუდენტები კრიტიკულად და კრეატიულად იფიქრონ იმაზე, თუ როგორი რეაგირება შეიძლება ჰქონდეთ უსამართლობაზე და იცოდნენ, თუ როგორ რეაგირებდნენ ახალგაზრდები უსამართლობაზე წარსულში.

კითხვა: ზუსტად რას გულისხმობთ?

პასუხი: არსებობს მთელი რიგი შესაძლებლობები. მე ძალიან შთაგონებული ვარ იმ მეთოდებით, რასაც ზოგიერთი სკოლის მოსწავლეები მიმართავენ, იქნება ეს საპროტესტო გაფიცვები თუ ამგვარი აქტივობები, რითაც აპროტესტებენ დაფინანსების სიმცირეს. მოსწავლეებს შეუძლიათ იმ ტიპის საპროტესტო აქციებში ჩაერთონ, როგორიცაა ქუჩაში გასვლა, მაგრამ ასევე არსებობს მთელი რიგი სხვა ფორმები — ლექსების წერა, მუსიკის შექმნა, საკუთარი თავის გამოხატვა, ფორუმების ჩატარება, ერთმანეთის განათლება. მაგალითად, გარკვეული პერიოდის განმავლობაში ელა ბეიკერის ცენტრი ოკლენდში, კალიფორნიაში ორიენტირებული იყო მასობრივ პატიმრობასთან შეწინააღმდეგების მიზნით ახალგაზრდების ჩართულობასა და ადვოკატირებაზე. მათ მოზარდების ჩართულობით წამოიწყეს კამპანია ჩრდილოეთ კალიფორნიაში მოზარდების საპყრობილე ობიექტების დახურვის მიზნით. მათ აჩვენეს, რომ ნამდვილად არის შესაძლებელი ჰიპ-ჰოპის

კულტურის შერწყმა შემოქმედებითი გზებით კონკრეტული სახის ადვოკატირებასთან და ახალგაზრდა ლიდერების განვითარებისთვის. დღეს ახალგაზრდები ძალიან კრეატიულ გზებს მიმართავენ სოციალური მედიის გამოყენებისას და არსებობს უამრავი მეთოდი, რომლის მეშვეობითაც მათ ამ პროცესებში ჩართვა შეუძლიათ.

ამ ეტაპზე ყველაზე მნიშვნელოვანი რამ არის გამოღვიძების შთაგონება. დღეს მასობრივ პატიმრობასთან დაკავშირებით ხშირია დაბნეულობა და დაუჯერებლობა და ეს ყველაზე დიდი ბარიერია ერთიანი მოძრაობის მშენებლობაში. სანამ ჩვენ ამ სისტემის დანახვაზე უარს ვამბობთ, მოძრაობის მშენებლობა შეუძლებელი იქნება. საკლასო ოთახებში ახალგაზრდებისთვის ამ სისტემის შესახებ ჭეშმარიტების დანახება და მათთვის კრიტიკული შესაძლებლობების განვითარება, ვფიქრობ, გააღებს კარს არსებითი ჩართულობისა და შთაგონებული, კოლექტიური ქმედებებისკენ.